თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ყუფარაძე

# ცხოვრებისეული უნარჩვევების ფორმირება ვიქტიმურ ბავშვებსა და მოზარდებში დისჰარმონიული სოციუმის ფონზე

განათლების მეცნიერებაში დოქტორის ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ნანა ცარციძე –პედაგოგიკის მეც-თა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2010

## შინაარსი

შესავალი ---------------------------------------------------------------------------------------------------
---1

თავი I

მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდის თეორიული წინაპირობები

§1 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები --------------------
-10

§ 2. ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების არსი ------------------------------------------------
-14

§3 მოზარდობის ასაკი ---------------------------------------------------------------------------
-21

§4 ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობის მეთოდები -------------------------
-27

§5 მიკროფაქტორების გავლენა მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდაზე -----------------------------------------------------------------------------------------
--30

§6 ვიქტიმური ბავშვები, სოციალური პირობების მსხვერპლნი (ქუჩის ბავშვები)-43

II თავი

ქუჩის ბავშვები საქართველოში: რეალური ვითარება და მათი უფლებების დაცვა

§1 პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები --------------------------------------
--48

§2 საქართველოში ურბანული ქუჩის ბავშვების რაოდენობა და მახასიათებლები -------------------------------------------------------------------------------
--58

§3 ბავშვის უფლებრივი გარემო და სამართლებრივი პრინციპები --------------------64
§4 რეფორმის მიმართულებები საქართველოს ბავშვთა სააღმზრდელო და სამზრუნველო დაწესებულებებში -------------------------------------------------------------69
§5 ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებების ტრადიციული კონცეფცია და მისი ალტერნატივა ----------------------------------------------------------------------------73

## III თავი

## ქუჩის ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების კვლევა და რეკომენდაციები

§1 განათლება, როგორც ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირების საშუალება ------------------------------------------------------------------------------------81
§2 სოციალურ პედაგოგთა მიზანი, ამოცანები, პრინციპები და პროფესიოგრამა ---------------------------------------------------------------------------------83
§3 საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრები ------------------------------------86
§4 კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის მონაცემთა ანალიზი -----98
§5 სსც-ს ბენეფიციართა რეაბილიტაციის ფორმები
ა) სწავლების მეთოდი და პროგრამა -----------------------------------------------107
ბ) სსც-ს პედაგოგ/მასწავლებლებისა და ბავშვების შეხვედრა, როგორც ინტერვენციის ერთ-ერთი მეთოდი ------------------------------------------------116
გ) კონსულტაციები სახლში ------------------------------------------------------------118
დ) მშობლის და სოციალური პედაგოგის შეხვედრები ------------------------118

ე) თავისუფალი დროის ორგანიზება: დასვენება და თამაში ----------------- 122

ვ) ინფორმაციის მიწოდების ხერხები ----------------------------------------------- -123

ზ)კვლევის შედეგად გამოვლენილი ბავშვთა წინაშე არსებული პრობლემები ------------------------------------------------------------------------------------ 124

თ) კვლევის შედეგად გამოვლენილი პედაგოგთა პრობლემები -------------- 126

§6 პროფესიული სწავლების პროგრამა ------------------------------------------------------- 129

§7 კვლევის პროგრამებში პარტნიორობა ----------------------------------------------------- 140

დასკვნები და რეკომენდაციები ------------------------------------------------------------------- 146

გამოყენებული ლიტერატურა ------------------------------------------------------------------ 155

დანართი ------------------------------------------------------------------------------------------------ 167

## გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

**ვიქტიმურობა** – ადამიანის მიდრეკილება, გახდეს სხვადასხვა გარემოების, მათ შორის, სოციალური გარემოების მსხვერპლი (მაგალითად, ქუჩის ბავშვები, უნარშეზღუდული ბავშვები და მოზარდები, ლტოლვილები, ობლები და ბავშვთა ის კატეგორიები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების კმაყოფაზე).

**თემი –** ერთიან (ერთ) დასახლებაში მცხოვრები ხალხის ჯგუფი

**სდც** – (აქ) სასწავლო-დასაქმების ცენტრი; ობიექტი (მშენებლობა, ავტოშემკეთებელი სახელოსნო, სილამაზის სალონი და ა.შ.), სადაც მიმდინარეობდა მოზარდთა პროფესიული სწავლება და დასაქმება

**სოციალურ-პედაგოგიური ვიქტიმოლოგია** – (ლათ. “ვიქტიმე” – მსხვერპლი და ბერძ. “ლოგოს” – სწავლება) სოციალური პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც დისციპლინათშორის დონეზე შეისწავლება სოციალიზაციის არახელსაყრელი პირობების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სოციალური დეფექტების და გადახრების კორექცია.

**სსსმ** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (ბავშვი)

**სსც** – სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრი

**ქუჩის ბავშვები** – სოციალურად დაუცველი ბავშვების ფენა, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩებში და ხელი არ მიუწვდებათ დაცვის, ჯანმრთელობის და განათლების სამსახურებზე და იმყოფებიან ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ.

**ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები** – ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი თვისებები, რომელთა გარეშე ადამიანს უჭირს მოცემულ სოციუმში ღირსეული არსებობა.

# შესავალი

ბოლო ათწლეულებში კაცობრიობა ისეთი მოვლენების მოწმე და მონაწილე გახდა, როგორიცაა ომები, რეგიონალური და ეთნიკური კონფლიქტები, ადამიანთა გატაცებები, ტერაქტებისას ადამიანთა მასობრივი დაღუპვა და სხვ. მიზეზი აგრესიულ სეპარატიზმში, ქსენოფობიში, ფაშისტურ იდეოლოგიაში, რელიგიურ ფანატიზმსა თუ რელიგიურ შეუწყნარებლობაში უნდა ვეძიოთ. ჩვენი სამეტყველო თუ სოციალ-პედაგოგიკური ლექსიკონი შეივსო ისეთი ტერმინებით, როგორიცაა: „ობოლი ბავშვი", «ინვალიდი ბავშვი", „უპატრონო ბავშვი", „ლტოლვილი", „მათხოვარი", „საბაზრო ეკონომიკის მსხვერპლი".

სოციალური და პოლტიკური კატაკლიზმების უპირველესი მსხვერპლი გახდა ქვეყნის ყველაზე პერსპექტიულ კონტინგენტი, უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენა და კატეგორია: ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდები. შედეგად, კი: თაობათა დეფორმირება, დანაშაულთა ზრდის, სისასტიკის, შურისძიების, აგრესიულობის, ცინიზმის, აღვირახსნილობის, ზნეობრივი ინფანტილიზმის პროვოცირება.

ვინ დაეხმარება მოზარდ თაობას, რომელიც მოხვდა ამ „გარდამავალ პერიოდად" წოდებულ კატასტროფაში?

იმ პირობებში, როცა სახელმწიფომ შეზღუდა თავისი მონაწილეობა მოსახლეობის ცხოვრების საბაზო დონის უზრუნველყოფაში, როცა პასუხისმგებლობა საკუთარ ბედზე მთლიანად დაეკისრა თავად ადამიანს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს თითქმის არ გააჩნია ფსიქოლოგიური და სოციალური მზადყოფნა, იცხოვროს და იშრომოს ახალ პირობებში. დაირღვა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, შეუფერხებლად მიიღოს განათლება, დაეუფლოს მისთვის სასურველ პროფესიას.

ცხადია, საზოგადოების ეს ნაწილი, რომელიც სრულიად დაუცველი დარჩა ახალი ცხოვრებისეული რეალიების წინაშე, უნდა გახდეს არა მხოლოდ ერთი დარგის, არამედ აბსოლუტურად ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურათა დაძაბული ყურადღების და, რაც მთავარია, დროული ზემოქმედების ობიექტი.

ამ პრობლემის გადაჭრისთვის უმნიშვნელოვანესია ახალი თაობის აღზრდა, რომელიც დაფუძნებული იქნება ჰუმანიზმის პრინციპებზე. სახელმწიფომ უნდა მოითხოვოს აღზრდის სისტემისგან ისეთი მოქალაქის ფორმირება, რომელიც უპასუხებს საზოგადოებისა და სახელმწიფო დაკვეთას. სამწუხაროდ, სწორედ მოზარდებში გვხვდება ვიქტიმური ბავშვთა დიდი რაოდენობა. ისინი სოციალური პირობების მსხვერპლნი არიან.

სიღარიბე, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზით დანგრეული ოჯახები, საზოგადოების გულგრილობა და სამთავრობო სტრუქტურების არასათანადო ზრუნვა ქმნის ქუჩის ბავშვთა ფენომენს. ქუჩის ბავშვები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყველაზე დაჩაგრული ფენაა, რადგან უკიდურესი სიღატაკის პარალელურად მათ აკლდებათ თავიანთი ასაკის შესატყვისი აღზრდა-განათლება, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. ისინი დაუცველები რჩებიან, ზოგადად, ცხოვრებისეული სირთულეებისა და, ასევე, მათსავე გარემოცვაში გამეფებული სისასტიკის წინაშე.

2007 – 2008 წლის საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით გამოკითხულ ბავშვთა 72% აღიარებს, რომ მათ მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური, ხოლო 70,9% ფსიქოლოგიური ძალადობა (35).

ყოველივე ამის შედეგად ირღვევა ბავშვების ფსიქოლოგიური განვითარების თანმიმდევრობა და რიტმი. ნორმალური, ოჯახური აღზრდის დეფიციტი, ქუჩის ცხოვრების გამოცდილება თავის დაღს ასვამს ბავშვების ფსიქოლოგიაზე. მათ არა აქვთ თავიანთი თანატოლების მსგავსი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, რომელთა გარეშეც გაუძნელდებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.

დღესდღეობით არასაკმარისია კვლევათა ის მოცულობა, რომელიც ვიქტიმური ბავშვების აღზრდის პრობლემას კომპლექსურად განიხილავს: სათანადოდ არ არის შესწავლილი აღნიშნული პრობლემა სპეციალურად, დისციპლინათშორის დონეზე, ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსზე დაყრდნობით, რომელთა შორის პედაგოგიკა წამყვან ადგილს დაიკავებდა.

პრობლემის აქტუალობამ და მისი ცალკეული ასპექტების არასაკმარისმა დამუშავებამ გვიბიძგა კვლევა სწორედ ვიქტიმურ მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდის საკითხთა ძიებისკენ მიგვემართა. საკითხის შესწავლამდე საჭიროა განვამრტოთ, თუ რა ასაკის ადამიანები

იგულისხმებიან ტერმინებში «ბავშვი»და «მოზარდი». 1989 წელს მიღებული გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია ადამიანს დაბადებიდან 18-წლამდე უწოდებს «ბავშვს». კვლევა ეხება არასრულწლოვანთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს და გაეროს კონვენციიდან გამომდინარე, ბავშვებს და მოზარდებს კვლევა მოიხსენიებს ერთი ტერმინით «ბავშვი».

ვიქტიმურ ბავშვებს ინდივიდუალური დახმარება ესაჭიროებათ ცხოვრებისელი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. ასეთ ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამომუშავება კი, თავის მხრივ, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს განათლებას, როგორ მოზარდების, ასევე უფროსი ასაკის ადამიანებისა, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრება მომავალი თაობის აღზრდაზე.

საქართველომ ბავშვთა უფლებების კონვენციას ხელი მოაწერა 1994 წელს, რითაც აღიარა ვალდებულებანი ბავშვის უფლებების გათვალისწინებით გაატაროს სისტემური რეფორმები სიღარიბის, დაავადების, უვიცობის და უწიგნურობის აღმოფხვრის მიზნით.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა პრობლემის მოსაგვარებლად. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა *(სსსმ)* განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის. აღნიშნული პერიოდი განისაზღვრა, როგორც გარდამავალი, მოსამზადებელი ეტაპი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად (37).

ტერმინში «სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი» მოიაზრება ყველა ბავშვი, რომლებიც ხასიათდებიან: 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით; 4. რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს; 6. რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ. ქუჩის ბავშვები

სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელთა შორისაც ზოგს ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევაც აღენიშნება.

გარდამავალი პერიოდის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებით ხელი შეეწყობა სპეციალიზირებული სკოლების მეთოდოლოგიურ და მატერიალურ-ტექნიკურ სრულყოფას და შემდეგი განვითარება მიეცემა ინკლუზიური სწავლების დანერგვას. სსსმ ბავშვთა განათლების სტრატეგიის ძირითადი მიზანია შეიმუშაოს და დანერგოს სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის კონკრეტულ საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემოს შექმნაზე და, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სსსმ ბავშვთა განათლების ყველა შესაძლო ფორმა და შესაბამისი სტანდარტები.

სამთავრობო სტრუქტურების პარალელურად სოციალურად დაუცველ ბავშვთა რეაბილიტაციის პროცესში ჩართულია არასამთავრობო სექტორიც. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებმა (ბავშვი და გარემო, ბილიკი, ათინათი, მომავლის სახლი, ა.შ.) წამოიწყეს საგანმანათლებლო პროგრამები ქუჩის ბავშვებისთვის.

ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ბავშვი და გარემო" 1996 წელს დააარსა ღია ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრი, სახელად "ბედურები", რომელსაც მუშაობაში დახმარებას სხვა დონორთა შორის უწევდა გაეროს ბავშვთა ფონდი. ასეთი ცენტრის დაარსება მიზნად ისახავდა შესწავლილიყო მაღალი რისკის ჯგუფის ბავშვებთან მუშაობის ვარიანტები, მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ინტეგრაციისა და ბავშვების ჩართულობის ანუ ინკლუზიის გზები საბაზისო განათლებაში, პროფესიული განვითარების ცენტრებში და სხვა სკოლისგარეშე აქტივობებში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობდა ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებას, თვითშეფასების და საზოგადოებაში მათი დამკვიდრების ამოცანების რეალიზაციას.

კვლევის მეორე მონაწილე იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია "ბილიკი", რომლის სამუშაო არეალი ვრცელდება გორსა და შიდა ქართლის მიმდებარე ტერიტორიებზე.

კვლევამ “ბავშვი და გარემოს” და “ბილიკის” სპეციალისტებთან გუნდური თანამშრომლობის პრინციპით, შეისწავლა არსებული პრობლემები, ჩამოაყალიბა სტრატეგიული გადაწყვეტილებების ხედვა, დაგეგმა და განახორციელა კვლევის პროგრამული მართვა, შეიმუშავა კვლევის საცდელი ინსტრუმენტები და მეთოდები; კვლევის პროცესში ხდებოდა გამოვლენილი ხარვეზების და სირთულეების იდენტიფიკაცია, ანალიზი და მათზე დაყრდნობით, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება.

წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა კვლევას, რომელიც ჩატარდა დისერტანტის მიერ ორგანიზაციების «ბავშვი და გარემოს» და «ბილიკის» მიერ დაარსებულ სარეაბილიტაციო ცენტრებში თბილისში, გორში, ჭიათურასა და რუსთავში. კვლევა პასუხობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პოლიტიკას: «სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა *(სსსმ)* განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის».

<u>გამოკვლევის მიზანი:</u> ვიქტიმურ ბავშვთა პიროვნული განვითარების პირობების შექმნა; ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირება მათთვის განათლების ხელმისაწვდომობის გზით და მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თანამედროვე საზოგადოებაში; **საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში სწავლების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის ქუჩის ბავშვთა შედარებით უმტკივნეულო ინტეგრაციას საჯარო სკოლებში;** ბავშვთა პოტენციური შესაძლებლობების განვითარების და რეალიზების პირობების შექმნა.

<u>ჰიპოთეზა:</u>

მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირება გულისხმობს:

-შევაიარაღოთ ისინი საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისთვის საჭირო აუცილებელი სოციალური უნარ-ჩვევებით ანუ ჩამოვუყალიბოთ მათ ქცევის საჭირო ნორმები და ფორმები, შევუქმნათ თვითრეალიზების პირობები.

- ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით მოზარდებმა გაიარონ სოციალური ადაპტაციის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირებას. სხვადასხვა ფორმის აქტივობები უნდა დაიგეგმოს და მოერგოს ბავშვთა ფიზიკურ, ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს. ვიქტუმური

ბავშვები და მოზარდები ჩაერთონ შემოქმედებით საქმიანობაში (ხატვა, ძერწვა, მოდელირება, რითმიკა, ქარგვა).

- სოციალურად დაუცველ ჯგუფთა რეაბილიტაციის პროცესი ყველა კომპონენტში უნდა ეყრდნობოდეს პედაგოგიკის, სოციალური პედაგოგიკის, მედიცინის და სხვა მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევებს. აღნიშნული პროცესი პიროვნებაზე ორიენტირებულია და ითვალისწინებს ყოველი კომპონენტის პოტენციურ შესაძლებლობებს მოზარდთა საქმიანობის განვითარებაში.

- ვიქტიმურ ბავშვთა ყველა სოციალურ-საგანმანათლებლო და სოციალურ-აღმზრდელობითი ინსტიტუტების საქმიანობის ლეიტმოტივად უნდა იქცეს: ვიქტიმურ ბავშვთა სულიერების, ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობის სოციალური გადარჩენა; მათში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების, როგორც პიროვნების ინტეგრირებული თვისების აღზრდა (ეს უკანასკნელი შეიცავს ყველა დანარჩენი თვისების ჯამს); ზრუნვა მოზარდთა ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდაზე, მათში თვითგანვითარების, თვითდაცვის, თვითმოქმედების, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

- საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოჯახს, როგორც სოციალიზების წამყვან რგოლს.

- უნდა შეიქმნას პირობები, რომ სოციალურად დაუცველმა ბავშვებმა მიიღონ არა მარტო ელემენტარული განათლება, არამედ ხელი მიუწვდებოდეთ თავიანთი ნიჭისა და ინტერესების რეალიზების უმთავრეს საშუალებებზე

კვლევის მეთოდები: კვლევის ამოცანებიდან და განსახილველი პრობლემის სპეციფიურობიდან გამომდინარე, გამოყენებული გვაქვს კვლევის შემდეგი მეთოდები: სოციალურ-პედაგოგიური ლიტერატურის შემოქმედებითი ანალიზი და სინთეზი; სკოლების, ბავშვთა სახლებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების მუშაობის გამოცდილების მონოგრაფიული კვლევა განსახილველი პრობლემის ასპექტში.

მონაცემთა შეგროვება: კვლევის ფარგლებში მონაცემების შეგროვების მიზნით გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. რაოდენობრივი კომპონენტისათვის ოთხი ტიპის კითხვარი იქნა შემუშავებული ბავშვებთან, პედაგოგებთან, პროფესიული გადამზადების მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუების მიზნით (იხ. დანართი).

კითხვარების საშუალებით შევაგროვეთ ისეთი საკვანძო ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ბავშვების ქუჩაში გასვლის ფაქტორებს, იმ პრობლემებს, რომლებსაც ბავშვებია აწყდებიან ქუჩებში, ინფრომაცია მათთვის ხელმისაწვდომი მომსახურების ფორმებსა და მომწოდებლების შესახებ, ბავშვების მიერ პრობლემებთან შეჭიდების უნარიანობა/სტრატეგიები და ურთიერთობა მშობლებთან, ბავშვთა განათლების ხელშემშლელი ფაქტორების მახასიათებლები, ბავშვების დამოკიდებულება პროფესიული განათლებისადმი და მათი აზრები და წინადადებები განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. თვისობრივი კომპონენტისათვის ინფორმაცია მიღებული იქნა ფოკუს ჯგუფებიდან, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ ბავშვები, პედაგოგები, პროფესიული გადამზადების მასწავლებლები და მშობლები.

<u>მონაცემების სტატისტიკური ანალიზი:</u> კითხვარების საშუალებით შეგრივებული რაოდენობრივი მონაცემების ანალისი მოხდა Excel-ში. ცვლადების ანალიზი წარმოდგენილია პროცენტული მაჩვენებლებით. ფოკუზ ჯგუფების და ინტერვიუების მეშვეობით შეგროვებული თვისობრივი მონაცემების ანალიზი მოხდა შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით.

განსაკუთრებული ადგილი უკავია სოციალურ-პედაგოგიურ დიაგნოსტიკას, რომელიც შეიცავს: ჩართულ და პირდაპირ დაკვირვებას და ექსპრეს-ინტერვიურებას სპეციალურად დამუშავებული ანკეტებისა და დიალოგური ტექნოლოგიების გამოყენებით. მიღებული დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები გაკეთებულია სარეაბილიტაციო ცენტრებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით.

<u>მეცნიერული სიახლე</u>

პირველად:

– დაზუსტებულია ცნება „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები";

– აღწერილია ვიქტიმურ ბავშვთა (კონკრეტულად, ქუჩის ბავშვთა) ფსიქოლოგიური პორტრეტი მათი სოციალურ–პედაგოგიური რეაბილიტაციის სათანადო ზომების დასამუშავებლად;

– გამოკვეთილია განათლების, პროფესიული აღზრდის გადამწყვეტი მნიშვნელობა სოციალურად დაუცველ ბავშვთა ფსიქო-სოციალური იერსახის ცვლილების, მათში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე;

– შემუშავებულია საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში ქუჩის ბავშვთა განათლებისა და სკოლისათვის მზაობის ახლებური მიდგომა;

– დამტკიცებულია, რომ ვიქტიმურ ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად საჭიროა მეცნიერულ-კომპლექსური მიდგომა, რომლის დროსაც საჭიროა მთელ რიგ ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა (პედაგოგიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვათა) ინტეგრირება.

– გამოკვეთილია ჰუმანიზაციის საკითხები ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრებში.

**- ხაზგასმულია სოციალური პედაგოგის, როგორც სპეციალური პედაგოგისა და სოციალური მუშაკის ჰარმონიული სინთეზის მიზანი, როლი და მნიშვნელობა ვიქტიმურ და სოციალურად დაუცველ ბავშვებთან მიმართებაში.**

კვლევის პრაქტიკული ღირებულება.

– შემუშავებულია მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და პროფესიოგრამა სოციალური პედაგოგებისათვის.

– განსაზღვრულია ვიქტიმური ბავშვების პირველადი რეაბილიტირებისთვის სოციალურ-პედაგოგიური მუშაობის თანმიმდევრობა და შინაარსი.

დისერტაციის მასალები შეიძლება გამოიყენონ სარეაბილიტაციო სამსახურების მუშაკებმა, ბავშვთა სახლების სპეციალისტებმა, საშუალო სკოლის მასწავლებლებმა; განათლებისა და სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, საკანონმდებლო და არასამთავრობო სტრუქტურებმა; იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებიც ამზადებენ ან მომავალში მოამზადებენ ვიქტიმურ ბავშვებთან მუშაობაზე ორიენტირებულ სპეციალურ პედაგოგებს, სოციალურ მუშაკებს და სოციალურ პედაგოგებს.

კვლევის ობიექტი:

- ვიქტიმური ბავშვები – სოციალური პირობების მსხვერპლნი;

- განათლება, როგორც საშუალება ვიქტიმურ ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

კვლევის ბაზა:

– ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრები

–ოჯახი (მშობლები ან მეურვეები)

– ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები

– სასწავლო-დასაქმების ცენტრები.

კვლევის შედეგთა  თეორიულ და პრაქტიკულ დონეებზე გააზრებამ შესაძლებლობა მოგვცა განსახილველად გამოგვეტანა შემდეგი დებულებები:

1. გამოვლინდეს იმ პრობლემის დამუშავების დონე, რომელიც დაკავშირებულია სოციალური პირობების მსხვერპლებთან – ვიქტიმურ მოზარდებთან.

2. დაზუსტდეს ცნება „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები" და მისი მახასიათებლები. ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები განიხილება, როგორც რთული, დინამიკურად პიროვნული ახალწარმონაქმნი, რომელიც ვითარდება ფასეულობითი ორიენტაციის საფუძველზე. აგრეთვე დაზუსტდეს პროფესიულ სფეროში შემდგარი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სტრუქტურა.

3. განისაზღვროს ოჯახისა და სკოლის როლი ვიქტიმური ბავშვების აღზრდაში;

4. განისაზღვროს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრების როლი, როგორც ინტერნატული ტიპის დაწესებულებებში მოთავსების ალტერნატივა ვიქტიმური ბავშვების (კონკრეტულად, ქუჩის ბავშვების) რეაბილიტირებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების, ასევე მათში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდაში;

5. ხაზი გაესვას სოციალური პედაგოგის მიზანს, როლსა და მნიშვნელობას ვიქტიმურ და სოციალურად დაუცველ ბავშვებთან მიმართებაში.

კვლევის ეტაპები:

<u>პირველი ეტაპი</u> (2005-2006წწ.) დაკავშირებული იყო პრობლემის გააზრებასთან, ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლების განსაზღვრასთან, კვლევის მიზნის, ამოცანების და ძირითადი ცნებების დაზუსტებასთან, გამოსაკვლევი პრობლემის გააზრებასთან მეცნიერებასა და სოციალური ინსტიტუტების პრაქტიკაში. ამ ეტაპის ძირითადი მეთოდებია: სოციალური, სამართლებრივი და პედაგოგიური ლიტერატურის თეორიული ანალიზი, დაკვირვებები.

მეორე ეტაპი (2006-2008წწ.) მოიცავდა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრებში საცდელ-ექსპერიმენტულ მუშაობას ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების კრიტერიუმების და ძირითადი მაჩვენებლების დადგენის მიზნით. გამოყენებული იყო ანკეტირება, ტესტირება, ექსპრეს-ინტერვიურირება, საუბრები, პირდაპირი და ჩართული დაკვირვება, სარეაბილიტაციო ცენტრების მართვის, სასწავლო გეგმებისა შედგენისა და საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო საქმიანობის წარმართვის ანალიზი.

მესამე ეტაპი (2008-2009წწ.) შეჯამდა ყველა სახის ანკეტური მონაცემი და კითხვარი, განზოგადდა ექსპრეს-ინტერვიუების, პირდაპირი და ჩართულ დაკვირვებათა შედეგები, ერთმანეთს შედარდა კვლევის საწყისი და ბოლო ეტაპების მონაცემები, რომელმაც გამოკვეთა ბავშვთა უნარ-ჩვევების აშკარა თუ ფარული ცვლილების ხარისხი. მოკვლეული მასალის საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის სტრუქტურა: დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნების, ბიბლიოგრაფიისა და დანართისაგან.

# თავი I

# მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდის თეორიული წინაპირობები

## §1 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ადამიანის ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების პრობლემის მეცნიერული კვლევა 1986 წლიდან იღებს სათავეს. გერმანელი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების სიცოცხლის ფილოსოფიურ კონცეფციათა გავლენით (პ. ლაუსტერი, ვ. ლოხი, ი. დესკლერი, ბოლნოვი), „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები", როგორც ცნება განისაზღვრა ადამიანის ისეთი თვისებებით, როგორიცაა სასიცოცხლო ძალა და სიმამაცე, სიცოცხლის სიხარული, სიცოცხლის აზრის რწმენა, ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარ-ჩვევები.

სოციალურმა დაუცველობამ და ბავშვთა ვიქტიმურობამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი იჩინა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ქუჩის ბავშვების პრობლემა ბევრად უფრო ადრე და მასშტაბურად იდგა რუსეთში საბჭოთა კავშირის დაარსებიდანვე. საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც ყოველთვის ძლიერი იყო ოჯახურ-ნათესაობრივი კავშირები და ტრადიციები, რუსეთში მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობას ზრდიდა, ერთი მხრივ, ალკოჰოლიზმის პრობლემა, მეორე მხრივ, სამოქალაქო და მსოფლიო ომები და ბოლოს, ბოლშევიკური რეპრესიები.

საბჭოთა კავშირში პრობლემის სრულყოფილ თეორიულ შესწავლას ხელს უშლიდა იდეოლოგიური წნეხი. პრობლემის მოგვარება ძირითადად ბავშვთა ინტერნატების დაარსებით ამოიწურებოდა, რითაც საბჭოთა

იდეოლოგია ნიღბავდა მიუსაფარ ბავშვთა ცხოვრების რეალურ სურათს. მიუხედავად საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა სხვადასხვა მენტალიტეტისა, ყველგან მოქმედებდა მიუსაფარ ბავშვთა პრობლემის მოგვარების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა. საქართველოშიც დღემდე ფუნქციონირებს იმ სისტემიდან დარჩენილი ბავშვთა სახლები.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში და საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, როდესაც რუსი მკვლევარები გათავისუფლდნენ იდეოლოგიური წნეხისგან, მასიურად დაიწყეს ამ პრობლემის კვლევა და გამოსავლის ძიება. ამიტომაც არის, რომ დღესდღეობით ძალიან ბევრი მასალა/ლიტერატურა არის დაგროვილი ამ მიმართულებით.

სამწუხაროდ, ბავშვთა სოციალურმა დაუცველობამ საქართველოშიც იჩინა თავი და საკმაოდ ინტენსიურად, რამაც გააჩინა ქუჩის ბავშვის ფენომენი. ამიტომ, ევროპული და ამერიკული გამკვლევების პარალელურად, მიზანშეწონილად ვცანით რუსული კვლევების შესწავლა და მათი შედეგების გათვალისწინება.

1997 წელს რუსმა პედაგოგებმა, სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა ცხოვრების სულიერი საფუძვლების კრიზისისა და “გარდამავალ პერიოდში” აღზრდის პირობებისთვის საჭირო ორიენტირის საძიებლად დაიწყეს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების პრობლემის დამუშავება.

„ჰუმანიზმი, როგორც სოციალური პედაგოგიკის თეორიულ მეთოდიკური საფუძველი” (ტ.ფ. იარკინა, 158) არის პირველი წიგნი, რომელიც სიღრმისეულად განიხილავს “ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების” პრობლემას. წიგნის ძირითადი ნაწილი ეძღვნება “ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების” არსის დადგენას დასავლეთის მეცნიერთა აღზრდის ახალი ჰუმანისტური ორიენტირების გათვალისწინებით.

1995-1999 წლებში “ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების” პრობლემას შეეხნენ ა.ი. არდოლნოვი, ლ.ს. ვიგოცკი, ნ.დ. ნიკანდროვი.

დღესდღეობით განსაკუთრებული ტემპით მიმდინარეობს ვიქტიმური ბავშვების ფენომენის, ამ მოვლენის წარმოშობის და მისი საზღვრების გაფართოების მიზეზების კვლევა (ა. ბარანოვი, კ. ბიუტნერი, ვ.ს. მუხინა, ლ.კ. სიდოროვა, ა. იარულოვი); მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვების განვითარების თავისებურებათა შესწავლა (ნ. ანდრეევა, ა. ბატუევი, ს. ბელიჩევა, ა. ვინოგრადოვა, ნ. დენისევიჩი და სხვ.); საქმიანობის სხვადასხვა

სფეროში სოციალურ-პედაგოგიური რეაბილიტაციის გზების ძიება (ლ.ი. ბოჟოვიჩ, ა. ლეონტიევი, ს. გავრილოვი, ს. მრშჩერიაკოვა და სხვ.); სხვადასხვა დაწესებულებებში მათი ადაპტაციის თავისებურებების გამოვლენა (გ. გრიბანოვა, ი. დუბროვინა, მ. ლიხინა და სხვ.); ოჯახური დეპრივაციის პირობებში ბავშვის მდგომარეობის (ბ. აიზერბერგი, ი. ლანგმეიერი, რ. შპიცი და სხვ.) კვლევა.

პირადი არჩევანის საკითხები სოციალური თვითგამორკვევის სიტუაციებში გაშუქებულია ს. ვერშლოვსკის, ვ. ზაგვზიანსკის, ს. მატუშკინის, ი. ლერნერის და სხვათა შრომებში. თვითგამორკვევისა და არჩევანის ასპექტები გამოკვლეულია ვ. აფანასიევას, ვ. ზაიცევის, კ. აბულხანოვის, სლავსკაიას, ა. ასმოლოვის, მ. გინზბურგის, ტ.მალკოვსკაიას, ტ. ნოსოვას და სხვათა შრომებში.

ძნელად აღსაზრდელი მოზარდის ფორმირების პრობლემებზე მუშაობენ ლ. ალქსანდროვი, ს. ალექსეევი, ს. არზრუმანიანი, ბელიჩევა, ვ.გ. ბოჩკარიოვა, ე.მ. დანილინი, ს.ვ. დარმოდეჟინი, ე.ვ. ზაიკა, ვ.ა. მატენკო, ე. კვიატოვსკაია-ტოკოვიჩი, ა.ი. ლიუბლინსკი, მ.ი. როშკოვი, ნ.გ. მაღრაძე.

თანამედროვე მეცნიერებაში დაიწყო სოციალური ობლობის, როგორც ბავშვის განვითარების განსაკუთრებული სიტუაციის ძირეული კვლევის პროცესი. ანალიზი უკეთდება "სოციალურ ობლობას", როგორც ცნებას (ლ.ნ. გალიგლუზოვა, ს.ი. ივანოვი, ნ.ნ. ტოლსტიხი, ლ.ბარანოვი, კ. ბიუტნერი, ვ.ხ. მუხინა), მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფსიქიური განვითარების თავისებურებებს (ნ.ნ. ავდეევა, ს.ი. ბელიჩევა, ა.დ. ვინოგრადოვა, ნ.ნ. დენისევიჩი); ობოლ ბავშვთა სოციალურ-პედაგოგიური რეაბილიტაციის გზებს (ლ.ი. ბოტოვიჩი, ს. გავრილოვი, ა.ნ. ლეონტიევი და სხვ.); მათი ადაპტაციის თავისებურებებს სხვადასხვა დაწესებულებებში (გ.ვ. გრიბანოვა, ი.ვ. დუბროვინა, მ.ი. ლისინა, ე.ვ. ნოვიკოვა); ბავშვთა სახლის აღზრდილის სოციალური პორტრეტის ხარისხობრივ თავისებურებას (ტ.მ. ზემლიანუხინა, ი.პ. პროხინა, ს.ი. მეშჩერიაკოვა და სხვ.).

2004 წელს სამეცნიერო-თეორიულ ჟურნალში "პედაგოგიკა" (№1) გამოქვეყნდა მ.პ. გურიანოვას სტატია "ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების მქონე პიროვნების აღზრდა დისჰარმონიული სოციუმის პირობებში". სტატია ორიენტირებულია პიროვნებაზე, საზოგადოებაზე და სკოლაზე (74).

**დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს კვლევა,** რომელიც ვიქტიმური ბავშვების (კონკრეტულად, ქუჩის ბავშვები) აღზრდის პრობლემას კომპლექსურად განიხილავს: არ არის შესწავლილი აღნიშნული პრობლემა სპეციალურად, დისციპლინათშორის დონეზე, ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსზე დაყრდნობით, რომელთა შორის პედაგოგიკა წამყვან ადგილს დაიკავებდა.

თუმცა, ვიქტიმური ბავშვების სხვა ჯგუფებზე, როგორებიცაა განსაკუთრებული საჭიროებები მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, არის კვლევები, რომლებზეც ქართველი მეცნიერები მუშაობენ: ნანა ცარციძე ( «ინკლუზიური განათლება და ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა», 2004წ ; «შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების აქტუალური პრობლემები», 2005 წ ; «განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა განათლება », 2008 წ; «ინკლუზიური განათლების მომავალი პერსპექტივები საქართველოში », 2008 წ); მამია ყოლბაია ("ინტეგრირებული სწავლების აქტუალური პრობლემები", 2004წ) ; ნათელა იმედაძე ("ფსიქოლოგიის დახმარების როლი ცერებრიალური დამბლით დაავადებულ ბავშვებში" 2004წ) ; დარეჯან კახიანი ( "ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიობის სინდრომის კვლევა ქართულ პოპულაციაში", 2002წ) ; თამარ გაგოშიძე ("ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები", 2007წ, "ინკლუზიური განათლების პრინციპები", 2008წ.); ეთერ ხუფაცარია ("სმენადარღვეულ ბავშვთა განათლებისა და რეაბილიტაციის მდგომარეობა საქართველოში", 2005წ.) ; მანანა რუხაძე ("უნარშეზღუდული ბავშვების რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის ფსიქოლოგიური და სამედიცინო ასპექტები", 2004 წ.) ; დავით ცარციძე (" უნარშეზღუდული ბავშვების ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული კვლევები", 2003წ ; "უნარშეზღუდული ბავშვების საბაზისო უნარ–ჩვევათა სწავლების თავისებურებანი ინკლუზიურ კლასში", 2004წ.) და სხვა.

## § 2. ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების არსი

ადამიანის სიცოცხლე ევოლუციური განვითარების პროცესში ყოველთვის მოძრაობაა, ცვლაა. სიცოცხლე – საქმიანობაა. ამიტომ იცვლება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფერო – საქმიანობის სახეობები, მოთხოვნილებები, ურთიერთობები, სულიერი კულტურა და სხვ.

შესაბამისად უნდა იცვლებოდეს აღზრდა, რომლის გამოყოფა ცხოვრების გამოვლინების მრავალფეროვნებისაგან შეუძლებელია. აღზრდა მოწოდებულია მთელი თავისი შინაარსით: შეაიარაღოს მოზარდი თაობა იმით, რაც აუცილებელია ადამიანის ცხოვრებისათვის საზოგადოებაში, ჩამოუყალიბოს ქცევის საჭირო ნორმები და ფორმები, პიროვნების თვისებები, ფასეულობები, იდეალები, მსოფლმხედველობითი პოზიციები, ხელი შეუწყოს პიროვნების თვითრეალიზებას.

განსაცდელში, ანტროპოლოგიურ კატასტროფაში მოხვედრილ ადამიანს სჭირდება საყრდენი ცხოვრებაში სიმტკიცის მოპოვებისათვის. როცა ასეთ ადამიანს საყრდენი არა აქვს, ის უნდა დაეყრდნოს საკუთარ შინაგან ძალებს, ზნეობრივ სიმტკიცეს, ამისათვის აუცილებელია მოზარდის ასაკიდან ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

იმ მძიმე სოციალურ ვითარებაში, რომელშიც უხდება ცხოვრება მოზარდ თაობას, ყველა სოციალური ინსტიტუტის მოვალეობაა აღზარდოს მასში სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც დაეხმარება მოზარდებს, ახალგაზრდებს დაეყრდნონ საკუთარ ძალებს და სიმტკიცეს, უარი თქვან ყველაფერ ნეგატიურზე, ზედმეტზე, გახდნენ პოზიტიურნი აზროვნებასა და საქმიანობაში.

უცხოურ და სამამულო პედაგოგთა და ფსიქოლოგთა შრომებში 1986 წლამდე ჩვენ ვერ ვნახეთ ცნება „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები“. თავისი მნიშვნელობით იგი ესადაგებოდა ცნებას „თვითმართვა“ და დაკავშირებული იყო პროფესიულ თვითგამორკვევასთან (ა.ვ. აფანასიევი, ა.ი. ჟურკინა, ვ.ა. იადოვი და სხვა); კომუნიკაციური ურთიერთობის სფეროსთან (ა.ა. ბოდალევი, ს.ვ. კრივცოვა, ე.ა. მუხატლუგინა, ვ.ნ. მიასიშჩევა და სხვა); ფასეულობით თვითგამორკვევასთან (ა. მასლოუ, კ. როჯერსი, რ. შტაინერი, ხ. რემშმიტი). ისინი ყურადღებას ამახვილებენ თვითგამორკვევის, არჩევანის, მოტივირების, ადამიანის ცხოვრების პერსპექტივების პრობლემებზე.

გასული საუკუნის სამოციან წლებში გერმანელმა მეცნიერებმა, პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა დაიწყეს მუშაობა სიცოცხლისუნარიანობის პრობლემაზე, მისი არსის დადგენაზე, კრიზისულ სიტუაციებში ადამიანის სიცოცხლისუნარიანობაზე, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებზე,

რომლებიც ხელს უწყობენ ცხოვრებაში სიმტკიცის და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები ჩამოყალიბებას ადამიანში.

გერმანელმა ფსიქოლოგმა პ. ლაუსტერმა (1994წ.) დასახა პიროვნების შემოქმედებითი განვითარების და მის მიერ შინაგანი თავისუფლების მოპოვების ახალი გზები. მან ჩამოაყალიბა პიროვნების სხვისი ნებისადმი მორჩილებისაგან, ცრუ ავტორიტეტებისაგან, სიცოცხლის უსაფუძვლო ფილოსოფიური კონცეფციებისაგან, ემოციური ბლოკირებისაგან განთავისუფლების საშუალებები.

პ. ლაუსტერი თვლის, რომ ამჟამად ადამიანი არ რჩება ბიოავტომატის სტადიაზე. ის ვითარება ცნობიერების მიმართულებით, ეს კი მოითხოვს მის შინაგან ძალებს, სარეზერვო შესაძლებლობების გამოყენებას. მაშასადამე თავის ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს განსაზღვრავს თვით პიროვნება (108).

პროფესორი ვ. ლოხი სტატიაში „მხნეობის პედაგოგიკა“ (1966 წ.) წერდა, რომ ცენტრალური მამოძრავებელი ვიტალიკური გრძნობა არის მხნეობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ძირითადი მდგომარეობა. იგი განსაზღვრავს დამოკიდებულებას გარემოსა და საკუთარი თავის მიმართ. მხნეობა, შიშის საწინააღმდეგოდ, უნერგავს ადამიანს ძალას, აქტიურობას, უხსნის ცხოვრების სამყაროს. მხნეობა შეიცავს სიცოცხლის ქვეცნობიერ, გრძნობად დამტკიცებას. იგი ცხოველქმედების ვექტორია (107).

პროფესორი ი. დექსლერი სტატიაში „სიხარულის პედაგოგიური ადგილი“ ადამიანის სიცოცხლის ძირითად ფენომენად თვლის სიხარულს. ის ასხივებს სამკურნალო ძალას, აცოცხლებს ადამიანს, აძლევს მას სტიმულს. სიხარულშია მოთავსებული ადამიანის სიცოცხლის წყარო. მხოლოდ „გულღიაობის" მდგომარეობაშ შეუძლია ადამიანს დაისახოს მიზნები და ამოცანები და იმედით, სიხარულით აღსავსე მოლოდინით მიაღწიოს მათ განხორციელებას (გამოქვეყნებულია ტ.ფ. იარკანის წიგნში „ადამიანი როგორც სოციალური პედაგოგიკის ობიექტი“ (160).

ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი გერმანელ პედაგოგთა და ფილოსოფოსთა შორის, ო. ბოლონოვი ნაშრომში „განწყობილების არსი“ (გამოქვეყნებულია ტ.ფ. იარკანის წიგნში „ადამიანი როგორც სოციალური პედაგოგიკის ობიექტი“ (160) დაწვრილებით აღწერს ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლის პრობლემას და თვლის მას პედაგოგიკის სერიოზულ ამოცანად. ის წერს, რომ ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები ბევრდაა

დამოკიდებული ადამიანის განწყობაზე როგორც სიცოცხლის საძირკველზე, რომელიც განსაზღვრავს მისი ცხოვრების მთელ შინაგან აგებულებას. ნაშრომში „განწყობილების არსი" (1956წ.) ო. ბოლნოვი დიდ ყურადღებას აქცევს ამაღლებული განწყობილების დადებითი გრძნობების საკითხის დამუშავებას. ასეთია: სიხარული, სიყვარული, იმედი, გულდაჯერებულობა. მეცნიერი თვლის, რომ ამაღლებული განწყობილება სტიმულს აძლევს ადამიანის აქტიურობას, გარდაქმნის მას, უნერგავს ახალ რწმენას, ნდობას საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. ადამიანს შეუძლია ჩაწვდეს საკუთარ არსს მხოლოდ ღრმა შინაგანი კმაყოფილების მდგომარეობაში.

ამგვარად, განწყობილება წყვეტს, თუ როგორი წარმოუდგება ადამიანს სამყარო, სიცოცხლე.

ყოფიერება, ო. ბოლონოვის აზრით, იცვლება ადამიანის განწყობილებების ცვლასთან ერთად. ო. ბოლონოვი მნიშვნელოვან პედაგოგიურ პრობლემად განიხილავს განწყობილების რეგულირებას, მტკიცე ხასიათის გამომუშავების აუცილებლობას, რაც შეაჩერებს განწყობილების ხშირ ცვლას. თავისი ქცევით ადამიანი გამოხატავს განწყობილებაში არსებული სიცოცხლის ფუძეს

არ ვამცირებთ განწყობილების, მხნეობის, სიხარულის როლს, მნიშვნელობას ადამიანის სიცოცხლისუნარიანობაში; მაგრამ, საკმარისად არ მიგვაჩნია შემოვიფარგლოთ ამ გრძნობათა ანთროპოლოგიური ფუნქციების მნიშვნელობით, განვსაზღვროთ ადამიანის სიცოცხლის ძირითად ფენომენად და არ გავითვალისწინოთ ხალხის მენტალიტეტი და სოციალური სინამდვილე.

1986 წელს გერმანიაში გამოვიდა პედაგოგ ვ. ბრეცინკას ნაშრომი „არასაიმედო ფასეულობათა აღზრდა საზოგადოებაში". მასში პირველად იყო ჩამოყალიბებული ცნება „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები". ავტორი ხსნის აღზრდას, როგორც ზემოქმედების საშუალებას მოზარდ თაობაზე, მათში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები გამომუშავებისათვის; ცხოვრებისათვის მათი მრავალმხრივი მომზადება სრული სოციალური აღზრდის გზით.

ცნებაში „ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები" ვ. ბრეცინკამ ჩადო ისეთი თვისებების ფორმირება, როგორიცაა ცხოვრებისეული მხნეობა, სიცოცხლის

სიყვარული, სიცოცხლის აზრის რწმენა, ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა.[1]

მეცნიერი თვლის, რომ ცხოვრებისეული უნარჩვევა – ეს ხელოვნებაა, რომელიც უნდა ასწავლო. სიცოცხლე–შემოქმედებაა, ამიტომ საჭიროა შემოქმედი ადამიანის, საკუთარი ცხოვრების არქიტექტორად აღზრდა და სიცოცხლის „თვითშექმნის" სწავლება.

ადამიანის ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, მისი ცხოვრებისეული წარმატებები ბევრად არის დამოკიდებული საკუთარი შინაგანი პროცესების მართვის უნარზე. თუ ადამიანს ეს უნარი გააჩნია, მას მართავენ სხვები.

ამერიკელი მეცნიერი, ფსიქოლოგი ა. მასლოუ განსაზღვრავს ისეთი ადამიანების დამახასიათებელ 17 თვისებას, რომლებმაც მოახდინეს თვითრეალიზება:

1. ცხოვრების, სინამდვილის ნათელი აღქმა, რეალობის და იმედების, ლოდინის და რწმენის განსხვავების უნარი;

2. საკუთარი თავის მიღება, ისეთად, როგორიც არის;

3. ქცევის უბრალოება და ბუნებრიობა;

4. ორიენტაცია არა თავის თავზე, არამედ სიცოცხლის პრობლემის გადაწყვეტაზე ყველასთვის მნიშვნელოვანი ამოცანის, მიზნის ან მისიის შესრულებისათვის;

5. პასუხისმგებლობით მოქმედება;

6. ე.წ. ბედის უკუღმართობის, გაჭირვების, წარუმატებლობის ადვილად გადატანის უნარი;

7. ძირითადი ცხოვრებისეულ ფასეულობათა გადაფასება;

8. მთლიანობის გრძნობის განვითარება;

9. უფრო სრულფასოვანი ურთიერთობა სხვა ადამიანებთან;

10. დემოკრატიული და ღია ხასიათი, რათა შეიძინოს ცოდნა სხვებისაგა;.

11. ნათელი მორალური წარმოდგენები და მტკიცე ეთიკური პრინციპები;

12. უწყინარი იუმორის ქონა;

13. შემოქმედებითი ნიჭი და მუდმივად ახალი იდეების ძიება;

14. გამტანობა, გაბედულობა, სიმტკიცე;

---

[1] თარგმნილია რუსულად და შეტანილია ტ.ფ. იარკინას წიგნში „ადამიანი, როგორც სოციალური პედაგოგიკის და სოციალური მუშაობის ობიექტი" (148, 17-18).

15. ერთგულება ოჯახისადმი;

როგორც ჩანს, ა. მასლოუმ იცის, რომ სულიერი და ფიზიკური წონასწორობის მოპოვება არ არის ადვილი. მდგომარებიდან გამოსავალს ის ხედავს „ცხოვრების ბუნებრივი წესის და ბუნების უნივერსალური კანონების დაცვაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ადამიანს გამოიმუშაოს ენერგია სიცოცხლის უზრუნველსაყოფად” (112).

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო აკადემიის პროფესორი ვ.გ. ბოჩკარევა ცხოვრებისეული უნარ-ჩვევებში გულისხმობს თვითრეალიზებას, ყველა სიტუაციიდან გამოსავალის პოვნის უნარს; ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის აუცილებელი პირობების შექმნის თავისუფლებას; საქმიანობის არჩევის თავისუფლებას; სწორი, საღი გადაწყვეტილების მიღებას და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. დახმარებას თვითაქტუალიზებაში მას უნდა უწევდეს ღია სოციალური საგანმანათლებლო გარემო. საგანმანათლებლო სივრცის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს შემოქმედი პიროვნების შესაძლებლობების გაფართოება, ყველაფერ მომხდარზე, მათ შორის საკუთარი არსებობის აზრზე პასუხისმგებლობის სტიმულირება, პიროვნების დაყენებას საქმიანობის სუბიექტის მდგომარეობაში რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, მოქმედებს გამომუშავებულ ფასეულობათა შესაბამისად (71).

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ვ.გ. ბოჩკარევა ძირითადად აქცენტს აკეთებს აღზრდის ისეთი ზნეობრივი კომპონენტის როლზე, როგორიცაა პასუხისმგებლობა, მაგრამ არ გამოყოფს ასაკის მიხედვით სოციალური პასუხისმგებლობის აღზრდისათვის ყველაზე სენზიტიურ პერიოდს

პედაგოგიური ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოსი „სოციალური პედაგოგიკის საფუძვლების” ავტორს, ფ.ა. მუსტაევას, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები ესმის, როგორც პიროვნების თვითგამორკვევა, მის მიერ ცხოველმოქმედების სხვადასხვა სფეროში გარკვეული პოზიციის მონახვა მომავლის გეგმების დამუშავება. ამასთან, მისი აზრით, თვითგამორკვევის პროცესი უნდა დაიყოს ასაკის მიხედვით.

ასე რომ, უმცროს სასკოლო ასაკში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები გულისხმობს ახალ სოციალურ სიტუაციაში, სკოლაში პოზიციის მოპოვებას: „მან (ბაშვმა) უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება თანატოლებთან

და უფროსებთან, ამასთან დაკავშირებით გარდაქმნას ურთიერთობის უკვე ჩამოყალიბებული სისტემა” (120).

მოზარდის ასაკში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თავისი სქესის თანატოლებს შორის საკუთარი პოზიციის ძიება, რასაც ადრეულ ახალგაზრდობაში ემატება საწინააღმდეგო სქესის თანატოლებში პოზიციის განსაზღვრა. ახალგაზრდობისთვის აუცილებელია საკუთარი პოზიციის თუ ადგილის პოვნა ოჯახურ და შრომით სფეროებში.

ფ.ა. მუსტაევა, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილი ავტორები, კომპონენტით ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები შინაარსის განსაზღვრისას იფარგლება ერთი კომპონენტით. ამ შემთხვევაში აღნიშნულ კომპონენტს წარმოადგენს პოზიციის ძიება ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებში.

ტ.ფ. იარკინას (საერთაშორისო პედაგოგიური აკადემიის აკადემიკოსი) აზრით, მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდის მიზანია ადამიანის შეიარაღება ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნით შეიარაღება სოციალური გამოცდილების დაგროვებისათვის; მათში ქცევის აუცილებელი ნორმების და ფორმების, პიროვნების თვისებების და ფასეულობების, მსოფლმხედველური პოზიციების ჩამოყალიბება; პიროვნებისათვის თვითრეალიზების პირობების შექმნა (160).

ტ.ფ. იარკინა თვლის, რომ ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირება – აღზრდის ძირითადი ამოცანაა თანამედროვე ეტაპზე. მისი მტკიცებით, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების შეძენისათვის ადამიანს სჭირდება ერთი მხრივ, შინაგანი საყრდენი მშვიდობიან გარემოში ოჯახში, როგორც მცირე სოციალურ ჯგუფებში, სხვა ერთობებში, რომლებთანაც მოზარდს აქვს შეხება. მეორე მხრივ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სანდო ცხოვრებისეული საფუძველი, ავტორიტეტის სიმტკიცე და სხვ.

ამასთან, აუცილებელია საკუთარ ძალებზე დაყრდნობა, საკუთარი ზნეობრივი სიმტკიცე, ყოველივე ნეგატიურზე და ზედმეტზე უარის თქმა, ძალთა კონცენტრირება ყველაზე არსებითსა და პოზიტიურზე.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო პედაგოგიური აკადემიის პროფესორი ა.ი. ხოდაკოვი მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები აღზრდის აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს: ინდივიდუალური და ჯგუფური დახმარების ორგანიზებას; ნებისყოფის და ხასიათის გამტკიცებას წარუმატებლობისას; ცხოვრებისეულ დაბრკოლებებთან შეხვედრისას

გადაწყვეტილებების მიღების უნარს; პიროვნების თვითაღზრდის სტიმულირებას ხანგრძლივი წარუმატებლობისას; მორალურ-ფსიქოლოგიურ მხარადჭერას მასწავლებლის, დამრიგებლის მხრიდან; სოციალურ დამოკიდებულებათა რეკონსტრუქციას მიკროგარემოში, რომელიც ხელს უწყობს ოპტიმიზმის შენარჩუნებას (157).

ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები აღზრდის ცნების ყველაზე სრულ განმარტებას ვხვდებით ტ.ფ. იარკიანას (159) და ა.ი. ხოდაკოვის (157) შრომებში. მათში განმარტებულია ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები აღზრდის არსი და შინაარსი.

სხვადასხვა ავტორთა მიერ ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების", როგორც ცნების, განმარტებათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ცხოვრებისეული უნარ-ჩვევებიში ჩვენ ვგულისხმობთ ცხოვრებისეულ მხნეობას; საკუთარ ძალებზე დაყრდნობას; ზნეობრივ სიმტკიცეს; ცხოვრების აქტიურად მოწყობის მზადყოფნას და უნარს; საქმიანობის მოთხოვნილებას, ამტანობას, გაბედულებას, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე და სხვებზე; სიცოცხლის ხალისს და საკუთარი ძალების რწმენას, გულღიაობას და თვითშეფასების ადეკვატურობას.

### §3 მოზარდობის ასაკი

პედაგოგიურ ფსიქოლოგიასა და სოციალურ პედაგოგიკაში მოზარდობის ასაკი წარმოადგენს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს.

რამდენადაც აღნიშნული ასაკი უკავშირდება ადამიანში პიროვნების განვითარების გადამწყვეტ ეტაპს, მოზარდობის ასაკში აღზრდა ყოველთვის მოიაზრებოდა მეცნიერულ კვლევათა მთავარ თემად.

მათ შორისაა არისტოტელეს, პითაგორას, ი.ა. კომენსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, ჟან პიაჟეს, ლ. გოლბერგის, ა. გეზელის, ფ. რაისის, დ. უზნაძის, რ. ნათაძის, მ.ყოლბაიას, ი. კოტეტიშვილის, შ. ჩხარტიშვილის, ნ. იმედაძის, ი.ს. კონის, ვ.ა. კრუტეცკის, დ. ელკონინის, ა.ვ. მუდრიკის, ა.გ. ხრიპოვას, ს.ა. ბელიცევას, ე.ვ. ალექსეევას და სხვათა შრომები.

ამ მეცნიერთა მოსაზრებით, მოზარდობის ასაკი მოიცავს ყველაზე ხანგრძლივ ასაკობრივ პერიოდს – 10-დან 14 წლამდე. ამასთან, ამ პერიოდში ვხვდებით გრადაციებს: უმცროსი (10-11 წლის) და უფროსი (12-14 წლის) ასაკი. თუმცა ჩვენი შრომა მოზარდობას განიხილავს 10-დან 18 წლამდე ასაკს. აღსანიშანავია, რომ **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიღწეული პირი**, თუ რომელიმე მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის** მე-12 მუხლით სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს. ამავე მუხლი ადამიანს სრულქმედუნარიანობას ანიჭებს 18 წლის ასაკიდან, როდესაც ადამიანი ხდება სრულწლოვანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლით, 7 წლამდე ადამიანი არის მცირეწლოვანი და ქმედუუნარო, ხოლო 7 წლიდან 18 წლამდე ადამიანი ითვლება არასრულწლოვნად და შეზღუდულ ქმედუნარიანად **(33).**

მეცნიერთა ნაწილი მოზარდობის ასაკს უწოდებს ტრაგიკულს, ნაწილი – კრიზისულს; ზოგი კი თვლის, რომ ეს ყველაზე მშვენიერი, მაგრამ ძალიან რთული პერიოდია.

მოზარდობის ასაკის სიძნელეთა გამომწვევ წინაპირობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ფსიქობიოლოგიური და სოციალური ფაქტორები. პირველი დაკავშირებულია მძაფრ სქესობრივ განვითარებასთან, სწრაფ ზრდასთან; ორგანიზმის მთელი სისტემის ინტენსიურ და არათანაბარ

განვითარებას თან ახლავს ხასიათობრივი დარღვევები, ფუნქციონალური მოშლილობები.

მეორე დაკავშირებულია მოზარდის პიროვნულ ჩამოყალიბებასთან, კერძოდ, გარემოცვაში მყოფ უფროსებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ურთიერთობის ფორმათა მკვეთრ ცვლასთან.

ამერიკელი ფსიქოლოგი ა. გაზელი თვლის, რომ 11 წლიდან მოზარდი იმპულსური ხდება, ამჟღავნებს ნეგატივიზმს, მისთვის დამახიასიათებელია განწყობილების ხშირი ცვლა, ჩხუბი თანატოლებთან, „აჯანყება" მშობელთა წინააღმდეგ. „მოწიფულობის შეგრძნების" ჩამოყალიბების პროცესი „აიძულებს" მოზარდობის ასაკის ბავშვს უფროსებთან ურთიერთობის ახალი ფორმები ეძიოს და დაამყაროს.

მოზარდის განვითარების პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი ბავშვური უშუალობა, მიამიტობა იცვლება მსჯელობის კატეგორიულობით. მოზარდი ხდება უფრო მგრძნობიარე, ასე ვთქვათ, „წყენია"; უმძაფრდება საკუთარი ღირსების გრძნობა.

მოზარდი ისწრაფვის გახდეს უფროსების თანასწორუფლებიანი პარტნიორი, რაც ხშირად იწვევს კონფლიქტებს გარშემომყოფებთან. ოჯახში კონფლიქტის მიზეზი ხშირად ხდებიან უფროსები, რამდენადაც მოზარდის ფიზიკური და ფსიქიკური ცვლილებების პროცესში მხოლოდ მის ნეგატიურ მხარეებს ხედავენ და სრულიად არ ამჩნევენ პოზიტიურსა და ახალს.

ოჯახური კომფლიქტი მოზარდს აიძულებს დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი და ხშირად სწორი გადაწყვეტილების გარეშე აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. შედეგად, ცდა მარცხით მთავრდება, რასაც მოზარდი ფსიქიურ აფეთქებამდე მიყავს.

მოზარდები უდიდეს მნიშვნელობას თანატოლებთან ურთიერთობას ანიჭებენ. თანატოლებთან ურთიერთობის რეგულირება მისი ცხოვრების ყველა დანარჩენ მხარეს განსაზღვრავს. მოზარდებისათვის მნიშვნელოვანია თანატოლთა წრეში საკუთარი როლის განსაზღვრა: საყვარელი მეგობრის, ან ლიდერის, ან მცოდნის პოზიციის დაკავება.

ფსიქოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თუ მოზარდი ვერ ახერხებს მოიპოვოს აღიარება თანატოლთა წრეში, ის ხვდება გარიყულთა, განკიცხულთა კატეგორიაში.

ამან შეიძლება მიიყვანოს მოზარდი დეპრესიამდე, ემოციურ აფეთქებამდე და შედეგი – მისი აკადემიური მოსწრების დაქვეითება, თამბაქოს წევა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება, თანამოაზრის ძებნაში საეჭვო მეგობრების გაჩენა.

ამას ადასტურებს ა.ა. რეანის სპეციალური გამოკვლევების შედეგები. პოლიციის განყოფილების ბავშვთა ოთახში აღრიცხვაზე მყოფი მოზარდების დიდი უმრავლესობა (90%-ზე მეტი) ფსიქოლოგიურ იზოლირებაში იყო თანაკლასელებისაგან. ამ ბავშვებს, - წერს ა.ა. რეანი, - კარგი ცხოვრებისკენ კი არ იზიდავდა ქუჩის წრე; არამედ, ეძებდნენ ურთიერთობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, სურდათ ყოფილიყვნენ რაღაცით მაინც გამორჩეულნი თანატოლებისაგან" (133).

მოზარდის ქუჩისკენ სწრაფვა არ ჩნდება მხოლოდ ფსიქოლოგიური იზოლირების ნიადაგზე. მიზეზად შეიძლება იქცეს სოციალურად მოწესრიგებული, მაგრამ მატერიალურად ცუდად უზრუნველყოფილი გარემოცვა, თუ ასეთ გარემოცვაში აღზრდილ მოზარდს არა აქვს ჩამოყალიბებული მორალური ნორმები და ფასეულობები, ცხოვრების დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარ-ჩვევები; მან საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმები შესაძლებელია დაარღვიოს სახით არადამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობების მიმართ ჯერ პროტესტის სახით, შემდეგ კი დაარღვიოს კანონი აღნიშნული ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით (ქურდობები, მაქინაციები).

მოზარდობის ასაკი ადამიანისთვის პიროვნული განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, ამდენად უდიდესი საფრთხის პერიოდიცაა, ზუსტად ამ ასაკში ბავშვი ყველაზე უსუსურია ზოგიერთი ისეთი საფრთხის მიმართ, როგორიცაა სექსუალური ექსპლუატაცია, კონფლიქტებში ჩართვა.

მოზარდი ხშირად აღმოჩნდება ხოლმე აღნიშნულ სიტუაციებში საკმარისი ინფორმაციის, ჩვევების და მხარდამჭერ სამსახურთა გარეშე.

ამერიკის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მოზარდებზე ტელევიზის გავლენით გამოწვეულმა პრობლემებმა; კერძოდ, სისასტიკისა და ძალადობის სცენების დემონსტრიტებამ. 14 წლის ასაკამდე მერვეკლასელებს შეეძლო ენახათ ეკრანზე 18000-მდე მკვლელობა და პიროვნებაზე ძალადობის გაცილებით მეტი ეპიზოდი.

ეკრანზე ძალადობის დემონსტრირება იწვევს მოზარდის აგრესიულობას ქცევაში. ძალადობა სატელევიზილ ეთერში არა მარტო ზრდის ბავშვების აგრესიულობას, არამედ ზემოქმედებს ზნეობრივ ფასეულობათა სისტემაზე, აძლიერებს მათში ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებას,-ასეთი იყო ამერიკის ჯანმრთელობის პრობლემების ნაციონალური ინსტიტუტის მეცნიერთა დასკვნა (133).

თვითშეფასება მიეკუთვნება პიროვნების ჩამოყალიბების ბირთვს. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ ადაპტირებას, ახდენს ქცევის და საქმიანობის რეგულირებას (154).

მოზარდები თანდათან თავისუფლდებიან ბავშვისთვის დამახასიათებელი დაქვემდებარებული მდგომარეობისაგან, უტოლებენ თავს უფროსებს, განსჯიან მათ საკუთარი თავს, ერგებიან უფროსების როლს.

დაბალი თვითშეფასება, ზეწოლა თანატოლების მხრიდან, სიმკაცრე ოჯახში, უფლებების შეზღუდვა დაბრკოლებას უქმნის მოზარდებს გადაწყვეტილების მიღებაში.

ა.ა. რეანის და ი.ლ. კოლომინსკის აზრით, თვითშეფასება მოზარდ დელინკვენტებში ეწინააღმდეგება სოციუმს (მშობლების, პადაგოგების, კლასის) შეფასებას (133).

როგორც ცნობილია, პიროვნების ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნილებას პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება წარმოადგენს. თუ გარემოსაგან შეფასება მოზარდის თვითშეფასებაზე უფრო დაბალია, მოზარდი ასოციალურ ქცევას მიმართავს.

ვ. რაისი უკავშირებს მოზარდთა თვითშეფასებას მათ ფსიქიურ ჯანმრთელობას. სხვადასხვა ფსიქოლოგთა მოსაზრებაზე დაყრდნობით, ვ. რაისმა დაასკვნა, რომ მოზარდებს შეიძლება გაუჩნდეთ შფოთვის, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების, მადის მოშლის, დეპრესიის, მორცხვობის,

კრიტიკის მიმართ მოწყვლადობის ფსიქისომატური სინდრომები და სხვა ფსიქიური გამოვლინებანი (132).

მორცხვობა არ აძლევს საშუალებას მოზარდს გაიტანოს თავი. მათ უჭირთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან, უძნელდებათ მიკროსოციუმში ადაპტირება. მათ არ ჰყოფნით თვითდაჯერებულობა ანუ საკუთარი თავისადმი რწმენა.

მოზარდს გარემოც აფორიაქებს. ის კი არ ამშვიდებს, არამედ ტვირთავს ინფორმაციით. უარყოფითად მოქმედებს მოზარდზე ის სოციალურ-ეკონომიკური ძვრებიც, რომელთაც თან სდევს ურბანიზაციით გამოწვეული მოსახლეობის მიგრაცია, მსოფლმხედველობითი და სხვ. სტრეოტიპებით მსხვრევით გამოწვეული ცხოვრების ჩვეული წესის ცვლის პროცესი.

ყველაზე ჯანმრთელ მოზარდებსაც კი ახასიათებთ განწყობილების ცვალებადობა, ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის და გუნების მკვეთრი ცვლა. ისინი დიდ სიძნელეებს აწყდებიან სქესობრივი მომწიფების პერიოდში. ამ დროს ხდება მათი ფიზიკური „მე"-ს გარდაქმნა, ფიზიკურსა და სქესობრივ მომწიფებაში მცირედი ცვლილებებიც კი აღელვებთ და აშინებთ მათ. სქესის ბიოლოგიის – ადამიანის სხეულის ამ საიდუმლოების შესახებ არასაკმარისი ცოდნა სერიოზულ თავსატეხს უჩენს მოზარდს; მოზარდი ადარებს თავის თავს გარშემომყოფთ და მიდის დასკვნამდე: „მე ისეთი არა ვარ, როგორც ყველა". ეჩვენება, რომ არასწორად ვითარდება. არ იცის – როგორი იქნება, წარმოსახვაში ხედავს ყველაზე ცუდ ვარიანტებს, თუმცა ამაზე ლაპარაკს ვერ ბედავს. ის, რაც ექიმისთვის ნორმალურ ევოლუციაა აშინებს მოზარდს. ცდილობს დამოუკიდებლად გადალახოს სიძნელეები, ადარებს რა თავს თანატოლებს, მოდის, ტელევიზიის, კინოს მიერ შემოთავაზებულ სტანდარტებს.

ტელევიზიას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მოზარდთა სულიერი ფასეულობების და ქცევის ჩამოყალიბებაზე. 1043 ბავშვის გამოკითხვისას (ძირითადად 16 წლამდე) დადგინდა, რომ ერთი კვირის მანძილზე მათ ნახეს ერთიდან ცხრამდე გადაცემა, რომლებმაც აღაგზნეს ისინი, აღუძრეს სექსუალური ურთიერთობის სურვილი (131) სიძნელეები წარმოიშობა მაშინაც, როცა ანდროგენების გავლენით ბიჭებს და გოგონებს უძლიერდებათ კანქვეშა ცხიმის პროდუქცია, რაც იძლევა ფერიჭამიების

გაჩენას, ჭარბთმიანობას და სხვ. ბიჭებს სქესობრივი მომწიფების პერიოდი ეწყებათ უფრო გვიან, თუმცა იგი უფრო მძაფრად მიმდინარეობს.

ფიზიკური განვითარების მიხედვით 11-14 წლის გოგონები ბიჭებს 2-3 წლით უსწრებენ, 15 წლისათვის კი, პირიქით, ბიჭები უსწრებენ გოგონებს.

ს.ა. ბელიჩევა აღზრდისადმი ბავშვის ძნელად დაქვემდებარების ასაკობრივ ფსიქოფიზიოლოგიურ წინაპირობებად მიიჩნევს:

1. მოზარდის ორგანიზმს დაჩქარებულ და არათანაბარ განვითარებას სქესობრივი მომწიფების პერიოდში.
2. გულისისხლძარღვთა და ძვალ-კუნთთა სისტემის განვითარების არათანაბრობას, რაც ამძიმებს მოზარდის ფიზიკურ და ფსიქიურ განწყობილებას.
3. ენდოკრინული სისტემის გაძლიერებული აქტივობით გამოწვეულ „ჰორმონალურ ქარიშხალს". სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის დამახასიათებელ გაძლიერებულ აგზნებადობას, ემოციურ არამდგრადობას, არაადეკვატურ ემოციურ რეაქციებს, განწყობილების წინასწარი გათვლის შეუძლებლობას.
4. უფროსებთან ურთიერთობის ფორმათა ცვლილებას, რაც გამოიხატება კონფლიქტურობით (68).

რა თქმა უნდა, შეუძლებელია არ დაეთანხმო მეცნიერთა დასკვნას, რომ მოზარდის პიროვნების ინდივიდუალიზებას საფუძვლად უდევს მისი ბუნებრივი თავისებურებანი. მაგრამ აღზრდის პროცესმა და სოციალურმა პირობებმა, რომელშიც აღმოჩნდება მოზარდი, შეიძლება არსებითად შეცვალოს ფსიქიური მოქმედების ბუნებრივი თავისებურებები ნერვული სისტემის უმთავრესი თვისებებისა და მისი პლასტიკურობის წყალობით. აი, რატომ წარმოადგენს ცხოვრების და აღზრდის პირობები მთავარ ფაქტორს მოზარდის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებების განსაზღვრისათვის.

## §4 ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობის მეთოდები

პედაგოგიურ ლიტერატურაში ძნელად აღსაზრდელს უწოდებენ მოზარდს, რომლის მიმართ ჩვეულებრივი პედაგოგიური საშუალებები არ

იძლევა ეფექტს, რომლის ქცევა თანატოლთა ძირითადი მასის ქცევისაგან სპეციფიური ფსიქოლოგიური თავისებურებებით გამოირჩევა. როცა საუბრობენ ძნელად აღსაზრდელ მოზარდებზე, ხშირად მხედველობაში აქვთ პედაგოგიური სიძნელე, მათთან მუშაობის სიძნელე. ნაკლებად ითვალისწინებენ თავად პიროვნების განვითარების სიძნელეს. ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს არა თუ არ სურთ, არ შეუძლიათ კარგად სწავლა და ღირსეულად მოქცევა. პიროვნების ჩამოყალიბების სიძნელეთა ზოგიერთი მიზეზი ასაკობრივი თავისებურებებითაც აიხსნება.

ძნელად აღსაზრდელი მოზარდის პიროვნების შესწავლა გულისხმობს მასთან საუბრის დროს უშუალო კონტაქტს; მასთან შეხვედრას სახლში, სკოლაში ან სხვა სიტუაციაში. საუბრის შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მიჰყავს ის, და იმაზე ვისთან ტარდება. პედაგოგზე დამოკიდებულია საუბრისთვის მზადყოფნის ხარისხი, საუბრის ხელოვნება, პირადი მიმზიდველობა. საუბრის შედეგები დამოკიდებული იქნება მოზარდის ხასიათსა და დიალოგში ჩართვის უნარზე. გულჩათხრობილია თუ გულღიაა ის, მიმნდობია თუ ეჭვიანია, აგზნებულია თუ მშვიდია. როგორც ლ.ბ. შიპოვსკაია აღნიშნავს, ყოველივე ზემოთ აღნიშნული გავლენას ახდენს პედაგოგიური ურთიერთობის შედეგებზე.

თუ საუბრის მიზანმა შეიძლება შელახოს მოზარდის ღირსება და თვითპატივისცემა, ადვილი შესაძლებელია წავაწყდეთ ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმს, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ამახინჯებს ძნელად აღსაზრდელი მოზარდის აზრს, მსჯელობას. აღსაზრდელმა არ უნდა იცოდეს საუბრის მიზანი, რათა დიალოგში არ ჩაერთოს წინასწარ განზრახულად დამახინჯებული პასუხებით.

ყველაზე ძნელია საუბრის დაწყება. ამის საბაბი შეიძლება იყოს ემოციური ხასიათის სიტუაცია, ობიექტები ან მოვლენები. საუბარი უნდა ტარდებოდეს მშვიდ, ბუნებრივ ვითარებაში, ნდობის, პედაგოგიური ტაქტის დაცვის ატმოსფეროში. კეთილმოსურნე ტონით და მოზარდის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

საუბარს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანდასახულობა:

1. რაშია მოზარდის ასოციალური ქცევის მიზეზი?

2. მოზარდის დახმარება, მის მიერ საკუთარი ქცევის სწორ გააზრებაში, დააფიქრო ის თავისი ასოციალური მოქმედების შედეგებზე.

3. ოჯახში მოზარდისადმი დამოკიდებულება, ოჯახის მიკროკლიმატი.

4. მოზარდის ურთიერთობა ამხანაგებთან.

5. მოზარდის თავისუფალი დრო (ინტერესები, დაკავებულობა, გატაცებები და სხვ.).

საუბრის მოხერხებულად აგებისას შეიძლება ბევრი რამ გაირკვეს მოზარდის ცხოვრებიდან, დაისახოს მასთან ერთად მისივე ქცევის კორექციისათვის საჭირო ღონისძიებები.

ძნელად აღსაზრდელი მოზარდის პიროვნული შესწავლისას უნდა გამოვიყენოთ დაკვირვება. ამ მეთოდის ღირებულება იმაშია, რომ მისი დახმარებით შეგვიძლია შევაგროვოთ მასალა უშუალოს კონკრეტული მოზარდის ცხოვრებაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგისა და მოზარდის ურთიერთობის სტილს, იგი განსაზღვრავს აღმზრდელობითი მუშაობის შედეგიანობას. სპეციალისტები გვირჩევენ წავაქეზოთ მოზარდი, გამოთქვას თავისი აზრი. მას უნდა მიეცეს საშუალება ბოლომდე გადმოსცეს თავისი შეხედულებები ცხივრებაზე, თუნდაც არასწორი. ამ უკანასკნელის გაქარწყლება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, რათა ნელ-ნელა დაინახოს წინააღმდეგობები და თავად უარყოს მათში ცუდი და არასწორი.

გამოცდილი მასწავლებლები ეხმარებიან მოზარდს, დაიკავოს ღირსეული ადგილი მოსწავლეთა კოლექტივში, გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და მონაცემები, რომლის წყალობით მოზარდმა შეიძლება მოიპოვოს თუნდაც მინიმალური უპირატესობა თანატოლებთან. სწავლაში, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდაში უნდა დავეყრდნოთ მისი  მისი პიროვნების მომგებიან მხარეებს.

წარმატების მისაღებად პედაგოგმა თავიდანვე უნდა გაანეიტრალოს ის უარყოფითი გავლენა, რომელსაც ძნელად აღსაზრდელი ახდენს დანარჩენებზე. ცუდი საქციელის მუდმივი მოლოდინის დემონსტრირება, მუდმივი მზადყოფნა მისი დასჯისათვის, მოზარდის ადამიანურ ღირსებაზე აშკარა იმედგაცრუება ის ფსიქოლოგიური ტონია, რომელიც ხშირად გაუმართლებელად იქმნება ძნელად აღსაზრდელი მოზარდების ირგვლივ.

ცხადია, მოზარდის ინდივიდუალურობის შესწავლა და განვითარება შეუძლებელია, თუ მასთან მუშაობისას დავეყრდნობით მოცემული ასაკის საშუალო სტატისტიკურ ბავშვს, რომელსაც გააჩნია ეს თუ ის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები; აღნიშნულის გამო რთულდება მოზარდებთან მუშაობის დროს ინდივიდუალობის გამოვლენის დიაგნოსტირების ეფექტიანი მეთოდიკების შერჩევისა და გამოყენების საკითხი.

პედაგოგებმა ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობისას უნდა გაითვალისწინონ, რომ მათთვის სოციალური ერთიანობის სახით ყველაზე რეფერენტულია თანატოლთა ჯგუფი. გაითვალისწინეს რა ბავშვის თანატოლებთან სოციალური კონტაქტების მნიშვნელობა, მეცნიერები აკვირდებიან პიროვნებათა შორისი ურთიერთობების გენეზისს, ასაკის მატებასთან ერთად ურთიერთობის სულ უფრო გართულებულ ფორმებს. მოზარდობის ასაკში იზრდება იმ ურთიერთობის წილი, რომელიც ურთიერთობის ზნეობრივ ნორმებს მიეკუთვნება. ურთიერთობა ემსახურება არა მარტო თანამშრომლობის მოწესრიგებას, არამედ იძენს გარკვეულ დამოუკიდებელ ფასეულობას, რომელიც გამოიხატება მკაფიოდ გამოხატული არჩევითი ურთიერთობების დამყარებაში. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ურთიერთობათა ანალიზის ეფექტურობა საგრძნობლად ამაღლდებოდა იმ ადამიანებთან და ჯგუფებთან, რომელიც რეფერენტულია მოზარდისათვის; რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ კორექციული ზემოქმედება ვრცელდება მოზარდთა განვითარების საერთო სოციალურ სიტუაციაზეოჯახის და სკოლის ერთიანობისა და თანამშრომლობის პირობებში.

## §5 მიკროფაქტორების გავლენა მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდაზე

**ა) ოჯახი.** უძველესი დროიდან დღემდე ოჯახს – სოციალიზაციის წამყვანი ინსტიტუტს პედაგოგიკის ისტორიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უკავია.

ფილოსოფოსები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები თვლიან, რომ ძირითად როლს ბავშვების

აღზრდაში ასრულებს ოჯახი (პლატონი, სოკრატე, არისტოტელე, მ.ფ. კვინტილიანი, ი.ა. კომენსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ი.გ. პესტალოცი, დ. დიდრო, ო.დე ბალზაკი, გ.ვ. გეგელი; ნ.ი. პიროგოვი, კ.დ. უშინსკი, ლ.ნ. ტოლსტოი, ე.ი. ვოდოვოზოვუი, ა.ა. ოსტროგორსკი, ვ.მ. ბეხტერევი; ა.ს. მაკარენკო, ვ.ა. სუხომლინსკი, გ. მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ანტონ I, გ.მ. ქიქოძე, ი.გ. ჭავჭავაძე, ი.ს. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, ლ. ბოცვაძე, გ. როსტომაშვილი, გ. თავზიშვილი, დ. უზნაძე და სხვ.)

დღეს, გლობალური სოციალ-ეკონომიკური კატაკლიზმების გამო ოჯახური აღზრდის პრიორიტეტი მნიშვნელოვნად შეირყა; ოჯახმა პირველობა დაუთმო სხვა აღმზრდელობით ინსტიტუტებს. თანამედროვე სოციალური პედაგოგიკა ოჯახის დაკარგულ პრიორიტეტზე ზრუნავს.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედსა და ყველა მის წევრის, მით უმეტეს, ბავშვების ბუნებრივ გარემოზე საგანგებო ზრუნვაა საჭირო. ვინაიდან ბავშვი აუცილებლად უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულის და გაგების ატმოსფეროში" (6).

აი, რატომ ეძღვნება ბავშვთა უფლებების კონვენციაში ოჯახურ აღზრდას ხუთი მუხლი (1,5,9,10,11). დღეს, როცა მიმდინარეობს ტოტალიტარული ფორმის სახელმწიფოთა დაშლის სწრაფი პროცესი, როცა იცვლება პიროვნების ჩამოყალიბებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომ, იწყება ოჯახთან მუშაობის ახალი გზების ინტენსიური ძიება; იგი მიმართულია ბავშვთა და მოსწავლეთა სოციალურ აღზრდაში ოჯახის მნიშვნელობის ამაღლებაზე. ამ ძიების „ინიციატორი" გახლავთ პედაგოგიური მეცნიერების ახალი პერსპექტიული მიმართულება – სოციალური პედაგოგიკა.

სოციალური პედაგოგიკა ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპად მიიჩნევს შემდეგს: ოჯახი – საზოგადოების მთავარი უჯრედია, სადაც ხდება ბავშვების ბაზისური სოციალიზაცია მისი ძირითადი ფუნქციების: აღმზრდელობითი, რეკრეაციული (ფიზიკური, მატერიალური, მორალური, ფსიქოლოგიური ურთიერთდახმარება, თავისუფალი დროის ორგანიზება), კომუნიკაციური (ურთიერთობა და მისი მეშვეობით – სოციალიზაცია),

რეგულერული, ფელიციტოლოგიური (ბედნიერების შეგრძნება ოჯახში) გაძლიერების ხარჯზე. ზემოთ აღნიშნული გულისხმობს ოჯახისადმი ყურადღების მკვეთრ ზრდას აღზრდის ყველა სოციალური ინსტიტუტის, პირველ რიგში კი, სკოლის მხრიდან. აუცილებელია გარდაიქმნას სკოლის ოჯახთან მუშაობის ორგანიზაციული ფორმები, პედაგოგიური ხელმძღვანელობის სტილი, ჩამოყალიბდეს პარტნიორული ურთიერთობები ოჯახსა და სკოლას შორის.

სკოლის პედაგოგთა წიგნიერების და მშობელთა კულტურის ამაღლება უპირველეს ყოვლისა უკავშირდება ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდის, უბედურ შემთხვევებში მათი ნებისყოფისა და ხასიათის განმტკიცების, ცხოვრებისეულ სიძნელეებთან შეხვედრისას სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს, თვითაღზრდის სტიმულირების პრობლემებს. სკოლამ და მშობლებმა უნდა ასწავლონ მოზარდებს აქტიურად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, იგრძნონ საქმიანობის მოთხოვნილება და მშობელთა და ოჯახის წევრთა მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რისთვისაც ოჯახში უნდა მოხდეს სოციალური ურთიერთობების რეკონსტრუქცია.

ოჯახი წარმოადგენს პიროვნების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს გარემოს და აღზრდის უმთავრეს ინსტიტუტს. ღრმა სპეციფიკურობის გამო ოჯახის ზემოქმედება ბავშვზე არის ნორმალური აღზრდის აუცილებელი ფაქტორი.

ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ და ემოციურ განვითარებას. დიდ როლს თამაშობს ბავშვის ცხოვრებაში უკვე მისი ადრეული ასაკიდან. ეს გავლენა ბავშვობის, სკოლამდელ და სასკოლო ასაკში წამყვანია, თუმცა არა ერთადერთი.

პროფესორი ფ. ა. მუსტაევა „სოციალური პედგოგიკის საფუძვლებში" (პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის (2001 წ.) ასე ხსნის ოჯახური აღზრდის აუცილებლობას:

1. ოჯახური აღზრდა უფრო ემოციურია თავისი ხასიათით, ვიდრე ნებისმიერი სხვა აღზრდა, ვინაიდან მის „გამტარს" წარმოადგენს

მშობლების სიყვარული ბავშვებისადმი და ბავშვის საპასუხო გრძნობები (ერთგულება, ნდობა).

2. ბავშვი, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, ყველაზე მეტად განწყობილია ოჯახის ზემოქმედებისთვის, ვიდრე ნებისმიერ სხვა ზემოქმედებისთვის.
3. წარმოადგენს რა თავისებურ სოციალურ მიკროკოსმს, ოჯახი თანდათანობით აზიარებს ბავშვს სოციალურ ცხოვრებას და ეტაპობრივად უფართოვებს მას მხედველობის არეს გამოცდილების დასაგროვებლად.
4. ამასთანავე ოჯახი არა ერთსახოვანი, არამედ დიფერენცირებული სოციალური ჯგუფია, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ასაკობრივი, სქესობრივი, ზოგ შემთხვევაში კი, პროფესიული „ქვესისტემები". ეს აძლევს ბავშვს საშუალებას, აქტიურად გამოავლინოს თავისი ემოციური და ინტელექტუალური შესაძლებლობები და მოახდინოს მათი სწრაფი რეალიზება (120).

როდესაც საუბარია ოჯახურ აღზრდაზე, არ შეიძლება შემოვიფარგოლოთ მხოლოდ მშობლებით. ხშირად ოჯახის წევრები, სხვა უფროსებიც არიან (დეიდები, მამიდები, ბიძები, ბებიები, პაპები, უფროსი დები და ძმები). უნდა გავითვალისწინოთ უახლოესი გარემოცვაც: მეზობლები, სტუმრები, ეზო.

მათი ქცევა, დამოკიდებულება ბავშვებსა და მოზარდების მიმართ მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის მათი მომვალი სიცოცხლისუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის.

ოჯახის სტრუქტურული ან ფსიქოლოგიური დეფორმაცია ხელს უშლის ბავშვის პიროვნების განვითარებას. თუ პირველი დაკავშირებულია ოჯახის ერთიანობის დაშლასთან (ერთ-ერთი მშობლის არყოფნა, ოჯახიდან წასვლა – ე.წ. არასრული ოჯახი), მეორე უკავშირდება პიროვნებათაშორისი ურთიერთობის სისტემის რღვევას, უარყოფითი ფასეულობების სისტემას, სოციალურ განწყობებს, არასაკმარის მზრუნველობას და კონტროლს, ბავშვების საქმიანობისადმი ინტერესის კლებას, უყურადღებობას ბავშვის ემოციებისა და გატაცებისადმი, ემოციურ განდგომას, მკაცრ ურთიერთობას.

„ავტორიტარული დათრგუნვის შედეგია ბავშვის ცრუობა, სიმხდალე და სისასტიკე. დაშინებული, გაწამებული, ბავშვები პოტენციურად არაფრის მაქნისი ადამიანები, რომელნიც მთელი ცხოვრება შურს იძებენ დათრგუნული ბავშვობისათვის.

ფილიპ რაისმა განსაზღვრა ოჯახური აღზრდის ოთხი სტილი: ავტოკრატიული, ავტორიტეტული და ამავე დროს დემოკრატიული, ლიბერალური და ქაოტური.

ავტოკრატული – როცა ყველა გადაწყვეტილებას ბავშვის მაგივრად იღებენ მშობლები:

ავტორიტეტული, მაგრამ დემოკრატიული – როცა გადაწყვეტილებას ერთად იღებენ ბავშვები და მშობლები.

ლიბერალური – როცა გადაწყვეტილების მიღებისას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის, როგორც წესი, მოზარდს.

ქაოტური – როცა მართვა არათანმიმდევრულია, ზოგჯერ ავტოკრატულია, ზოგჯერ დემოკრატიულია, ხშირად კი ლიბერალურია:

ყველაზე საშიში, ფ. რაისის აზრით ავტოკრატული სტილია, მით უმეტეს, როცა მშობლები იყენებენ დასჯის ან რეპრესიულ მეთოდებს (132)

ნ.ვ. ბოროდოვსკაია და ა.ა. რეანი მშობლების და ბავშვების ურთიერთობის სტილთა თავისებურებების განხილვისას გნსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ავტორიტეტულ სტილს და მბრძანებლურ მოდელს (69, 133).

1. მშობლების ავტორიტეტული კონტროლი ერწყმის ბავშვის სურვილის უდავო მხარდაჭერას, იყოს დამოუკიდებელი: მშობლები არ ბოჭავენ ბავშვს, მაგრამ ხელიდან წასვლის საშუალებასაც არ აძლევენ. მშობლები ყურად იღებენ შვილების აზრს, პატივს სცემენ მათ დამოუკიდებლობას, მაგრამ არ ეყრდნობიან მხოლოდ მათი სურვილებს.
2. მბრძანელური მოდელი მშობლების სიმკაცრესა და აღმზრდელობით მისაღებ ფორმად დასჯას გულისხმობს, მშობლები ნაკლებ სითბოს იჩენენ შვილების მიმართ, ნაკლები თანაგრძნობით და გაგებით ეკიდებიან მათ, იშვიათად ურთიერთობენ მათთან,

მკაცრად აკონტროლებენ და არ აძლევენ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას.

ა.ი. ანცუპოვი, ა.ი. შიპილოვი კონფლიქტების პრობლემის შესწავლისას მშობლების და შვილების კონფლიქტთა ფსიქოლოგიურ ფაქტორებად შიდაოჯახური ურთიერთობის ჰარმონიულ და დისჰარმონიულ ტიპებს მიიჩნევენ (55).

ჰარმონიულ ოჯახში მყარდება მოძრავი წონასწორობა, როდესც ვლინდება ოჯახის ყოველი წევრის ფსიქოლოგიური როლი, ჩამოყალიბებულია ოჯახური „ჩვენ", ოჯახის წევრებს შეუძლიათ წინააღმდეგობების დაძლევა, მშობლები იზიარებენ შვილების ინტერესებს, ბავშვები კი უზიარებენ მათ საკუთარ აზრებს.

დისჰარმონიულ ოჯახში ჭარბობს ცოლ-ქმარს შორის ნეგატიური ხასიათის ურთიერთობა, რაც გამოიხატება კონფლიქტებით; ფსიქოლოგიურ დაძაბულობა ასეთ ოჯახში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რომელიც ნერვოტიკულ რეაქციის ზღვარს აღწევს. ბავშვებს უჩნდებათ მუდმივი დაძაბულობის შეგრძნება (55).

ყველაზე დიდ საშიშროებას ბავშვებზე, ნეგატიური ზემოქმედების მხრივ, წარმოადგენენ კრიმინალურ-ამორალური ოჯახები. ბავშვების სიცოცხლე ასეთ ოჯახებში სასტიკი მოპყრობის, მშობლების აღვირახსნილობის, ბავშვებზე ელემენტარული ზრუნვის არარსებობის გამო, ყოველთვის საფრთხეშია. ხშირად ასეთი ბავშვები გარბიან ოჯახიდან და მაწანწალები ან ბოროტმოქმედები ხდებიან.

საბჭოთა პედაგოგიურ მეცნიერებაში გამორიცხული იყო ოჯახში, სკოლაში და სხვა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ინსტიტუტებში აღზრდის პატერნალისტური ტოტალური მეთოდების შესწავლა.

ინტერესის არარსებობა ამგვარი პრობლემატიკის მიმართ განპირობებული იყო ადამიანის უფლებებისა და მისი უმთავრესი დებულებების - ბავშვის უფლებების არასაკმარისი გააზრებით. გერონტოკრატიულად ორიენტირებული საბჭოთა საზოგადოება განიხილავდა ახალგაზრდობას, როგორც სოციალიზაციის მასალას და არ უშვებდა ამ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფში აქტიურ სუბიექტურ საწყისს.

მოზრდილთა და მოზარდთა სტატუსების ასიმეტრიულობა ქმნიდა გადაულახავ ბარიერს, რომელიც გულისხმობს ასაკის მიუხედავად ღირსების უფლების თანასწორობის აღიარებას.

ბავშვების მიმართ ძალადობა, არასწორი მოპყრობა და სხვა ამდაგვარი პრობლემები საქართველოში ნაკლებადაა შესწავლილი. თუმცა, ცხოვრების მაღალი სტანდარტები, რომელიც არსებობდა საზოგადოებაში, არ უშვებდა ამდაგვარ დამოკიდებულებას მოზარდი თაობის მიმართ. ამასთან, ტრადიციულად თვლიდნენ, რომ სოციალიზაცია და ურთიერთობა ქართულ გარემოში ყოველთვის გამოირჩეოდა ლიბერალიზმით, ძლიერად გამოხატული სიყვარულით შვილებისადმი.

ცხოვრების დონის, შესაბამისად, მშობელთა ფსიქოფიზიკურ სტატუსის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ძალადობა შვილებზე.

მხედველობაშია საერთო კულტურული კრიზისი საქართველოში, რომელიც გამოიხატება ძალადობის კულტის დანერგვით; ცხადია, საერთო კულტურული კრიზისი ხელს უწყობს აგრესიის გამოვლენას შიდა ოჯახურ ურთიერთობებშიც.

საქართველოში „გაერო"-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის რეკომენდაციით ჩატარდა ბავშვებზე სასტიკი მოპყრობისა და ძალადობის სხვადასხვა ფორმათა და სასტიკი მოპყრობის კვლევა.

აღნიშნული გამოკვლევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს, ქვეყანაში ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის არსებობის გამო, რომელსაც არ შეეძლო არ ემოქმედა ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მდგომარეობაზე, როგორიცაა ოჯახი და სკოლა. აგრესიის ზრდა საზოგადოებაში იწვევს დაძაბულობის და კონფლიქტურობის მომატებას ზემოთ დასახელებულ სფეროებშიც.

კვლევის საგანი გახლავთ ძალადობა, სასტიკი მოპყრობა; ბავშვების მიმართ უფროსებისაგან ოჯახსა თუ ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში (სკოლა, წრეები, სპორტული სექცია და სხვ.), საცხოვრებელ ადგილებში ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება.

ძალადობის ზოგიერთ სახეს აქვს დასჯის (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დასჯა), კულტურული და სოციალური კონტექსტით განპირობებული ბავშვებში ე.წ. დისციპლინის ჩანერგვის ფორმა.

ფუნქციონალური ძალადობა ბავშვზე გულისხმობს კომპენსაციის, წახალისების და რეაბილიტაციის მექანიზმების არსებობას. მას აქვს ინსტრუმენტული ხასიათი, ე.ი. მისი გამოყენება განპირობებულია ნათლად ფორმულირებულ და ფასეულობით ასპექტზე. მაგალითად, დედას შეუძლია რეგულარულად გამოიყენოს ძალადობის ესა თუ ის ფორმა, მაგრამ დარჩეს მთავარ, ზოგჯერ კი ერთადერთ პირად, რომელიც ზრუნავს შვილზე. ბავშვი, რომელიც ხდება ძალადობის ობიექტი, უნდა გააცნობიეროს ასეთი მოპყრობის მიზეზი.

დასჯა იქცევა ცუდ მიპყრობად, კარგავს ფუნქციონალურობას, თუ მას აქვს აფექტის ხასიათი, ე.ი. არა აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ვერ იგებს ასეთი მოპყრობის მიზეზს.

კვლევის დროს გამოყენებული იყო რაოდენობითი მეთოდები სტრუქტურული ინტერვიუს ჩათვლით. ამ მიზნით შეიქმნა ინტერვიუერთა ჯგუფი, მას ჩაუტარდა ტრენინგი და სელექცია. ჯგუფის პროფესიული შემადგენლობა მოიცავდა სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს, პედაგოგებს. გარანტირებული იყო ინტერვიუს ანონიმურობა.

კვლევის შედეგად მივიღეთ ანგარიში, რომელშიც ანალიზი გაუკეთდა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

ინტერვიუ ტარდებოდა რესპოდენტთა საცხოვრებელი და სწავლის ადგილის მიხედვით. პროექტი ხორციელდებოდა 4 თვის განმავლობაში.

კვლევა ჩატარდა ქ. თბილისში, აჭარაში, გურიში, იმერეთში, კახეთში, მცხეთაში, თიანეთში, სამეგრელოში, ზემო სვანეთსა და მესხეთ-ჯავახეთში.

**კვლევის ობიექტი იყვნენ** ბავშვები 6-დან 17 წლამდე – 4382, აქედან გოგონები – 2235 (53,2%) ბიჭები – 2147 (46,8%). მათი საშუალო ასაკი იყო: 5-8 წლის – 29%; 9-11 წლის – 32,5%; 13 წლის – 23,3%; 14 და მეტი წლის – 15,2%

ვიქტიმურ ბავშვებთან სარეაბილიტაციო მუშაობის მიმართულებათა განსაზღვრისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობისა და სისასტიკის მსხვერპლთა რაოდენობის განსაზღვრა.

გამოკითხულთა მესამედი თვლის, რომ მათ გარემოცვაში არიან მეგობრები თუ ამხანაგები, რომელნიც ოჯახში უფროსების მუქარის ქვეშ იზრდებიან. რესპოდენტთა მეოთხედმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი ბავშვი ბევრია. დანარჩენებმა ჩათვალეს, რომ ასეთები ცოტანი არიან. ნაწილს უჭირდათ პასუხის გაცემა. გოგონების 25% და ბიჭების 28% თვლის, რომ მათ ამხანაგებში და მეგობრებში არიან ბავშვები, რომლებსაც ოჯახში სცემენ, ხოლო მეექვსედმა მიუთითა, რომ ასეთი მოვლენები ფართოდაა გავრცელებული. ხაზი უნდა გაესვას, რომ გამოკითხულთა მეექვსედის განცხადებით, ოჯახში ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის ფაქტები არ შეიძლება გახდეს საჯარო განხილვის საგანი.

გოგონების 61%-მა და ბიჭების 64%-მა განაცხადა, რომ მათ აზრს ოჯახში არ უწევენ ანგარიშს; მიზეზად უფრო ხშირად სახელდება: „უფროსები არ თვლიან ამას საჭიროდ" ან „ვერ ითვალისწინებენ ჩემს აზრს მატერიალური სიძნელეების გამო". სამი მეოთხედი თვლის, რომ მათთან ასეთი მოპყრობა საკმაოდ იშვიათია.

იმ მიზეზთა შორის, რის ,გამოც მშობლებს არ მიჰყავთ შვილები ექიმთან", „მშობელთა მოუცლელობის" და „მძიმე მატერიალური მდგომარეობის" გარდა ფიგურირებს კიდევ „ოჯახის სხვა წევრთა ავადმყოფობა". ყველაზე მეტად თვითკრიტიკულნი არიან რესპოდენტები, რომელნიც მიუთითებენ მათი აკადემიური მოსწრების მიმართ ინტერესის უქონლობას მშობლების მხრიდან (40% იმ ბავშვებისა ყოველ ქვემახიშვი, ვინც აღნიშნა ცუდი ზრუნვის ეს სახეობა). აღნიშნული მიზეზი აღმოჩნდა გაცილებით საფუძვლიანი, ვიდრე „მშობლების მოუცლელობა".

განსაკუთრებული განსხვავება გოგონებს და ბიჭებს შორის, რომლებმაც ცუდი ზრუნვის ესა თუ ის მიზეზი დაასახელეს, არ აღინიშნა. საგრძნობლად .ლიდერობს პირველი ორი პოზიცია, დანარჩენებმა დააგროვეს პროცენტების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა, გარდა ერთი პუნქტისა; კერძოდ, „ოჯახის წევრებს ხშირად არ ახსენდებათ ჩემი დაბადების დღე", რომელიც საგრძნობლად ჩამორჩება სხვა პუნქტებს პროცენტული მაჩვენებლით.

გარკვეული მრავალფეროვნება შემოაქვს პრობლემის რეგიონალურ ასპექტს. მთელ მასივში, არადამაკმაყოფილებელი ზრუნვის სახეობათა

მიხედვით ყველაზე უარესი (საერთო მაჩვენებლებთან შედარებით) მდგომარებაა:

აჭარაში–რესპოდენტთა 42% თვლის, რომ ისინი მარტოხელად გრძნობენ თავს ოჯახში (28,8% მთელი მასივის მიხედვით);

ქვემო ქართლში და იმერეთში გამოკითხულთა თითქმის 40% აღნიშნავს, რომ ოჯახში მათ აზრს არ უწევენ ანგარიშს.

სამეგრელოში რესპოდენტთა 21% მიუთითებს, რომ ისინი ხშირად მშივრები რჩებიან (9,5% მთელი მასივის მიხედვით). სხვა პოზიციების მიხედვით მონაცემთა შორის დიდი განსხვავება არ აღინიშნება.

აღმოჩნდა, რომ კახეთში (50%) და აჭარაში (42,5%) საგრძნობლად მეტი გოგონაა, რომელთაც მიუთითეს რა ცუდი ზრუნვის ამა თუ იმ სახეობის არსებვობაზე, აღნიშნეს, რომ ოჯხში თავს მარტოხელად გრძნობენ (28% მთელი ქვეყნის მიხედვით);

ქვედა ქართლში რესპოდენტი გოგონების 37%-მა განაცხადა, რომ მათ აზრს ოჯახში არ ითვალისწინებენ (25% მთელი ქვემასივის მიხედვით)

სამეგრელოში და ზემო სვანეთში გამოკითხულ გოგონათა 22,4%-მა შენიშნა, რომ ხშირად არიან მშივრები (10,2% მთელი ქვემასივის მიხედვით) და ა.შ.

ბიჭებში გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა:

აჭარაში ბიჭების 41%-მა მიუთითა რა ცუდი ზრუნვის ამა თუ იმ სახეობის არსებობაზე, აღნიშნა, რომ ოჯახში თავს მარტოხელად გრძნობს (25,6% მთელი ქვემასივის მიხედვით);

აჭარაში გამოკითხული ბიჭების 19% თვლის, რომ მშობლებს არ აინტერესებს მათი აკადემიური მოსწრება (8,4% მთელი ქვემასივის მიხედვით) და სხვ.

**სკოლა**. ერთ-ერთი მთავარი ადგილი საგანმანათლებლო – აღმზრდელობით ინსტიტუტთა შორის უკავია სკოლას. ამოტომ „კონვენცია ბავშვის უფლებებზე" დიდ ყურადღებას უთმობს განათლებას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად თვლის ცხოვრებისეული უნარჩვევების ფორმირებაში.

საჯარო სკოლა წარმოადგენს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ზემოქმედებს მოსწავლეთა ცხოველქმედითობაზე როგორც სასწავლო, ისე თავისუფალი ურთიერთობის პროცესში, ხელს უწყობს ბავშვებში ოპტიმიზმის გრძნობის შენარჩუნებას. სკოლა ამკვიდრებს ბავშვებთან ურთიერთობაში დემოკრატიულ სტილს.

სკოლა უნდა ჩამოყალიბდეს ღია სოციალურ-პედაგოგიურ სისტემად, სადაც ხდება მშობელთა პედაგოგიური ცოდნის და კულტურის ამაღლება, ბავშვთა და მშობელთა საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის ორგანიზება და მათი თავისუფალი დროის დაგეგმვა. ამასთან საგანმანათლებლო მუშაობას მშობლებთან უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მიმართულება. მშობელთა პედაგოგიური ცოდნის ამაღლების მეთოდები, როგორც წესი, უნდა იყოს: ლექცია-საუბრები, საქმიანი თამაშები, დისპუტები, პედაგოგიური სიტუაციების გათამაშება, ოჯახური აღზრდის გამოცდილების გაცვლა; ფორმები – ინდივიდუალური, ჯგუფური.

სკოლას აქვს უნიკალური შესაძლებლობა, დაიხსნას ბავშვები მარტოობისაგან, გამოუმუშაოს რწმენა საკუთარ ძალებში; ჩამოუყალიბოს თვითშეფასების უნარი, რომელიც აუცილებელია სრულფასოვანი თვითრეალიზაციისათვის, კონკრეტული პიროვნების თვითგანვითარებისათვის, მისი თვითაქტუალიზებისა და საზოგადოებისათვის სასურველი მიმართულებით თვითაღზრდის წარმართვისათვის.

სკოლა უნერგავს ბავშვებს ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს-სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას. და ბოლოს, განათლება არის არა მხოლოდ ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, არამედ მისი ნამდვილი „თავდაცვის საშუალება".

სკოლაში მაღალი აკადემიური მოსწრება პირველი ნაბიჯია ნორმალური ცხოვრებისა და მისი სტაბილურობის აღდგენისათვის.

ქუჩაში, ეზოში ბავშვები ადვილად შეიძლება გახდნენ ფიზიკური, ფსიქიკური, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. სკოლა აშორებს ქუჩას და იცავს მათ აღნიშნული საშიშროებისაგან. მოზარდებს ესაჭიროებათ არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის შეძენა სკოლაში და ნიჭის განვითარება, არამედ ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი

უნარ-ჩვევათა გამომუშავება. ასეთია უპირველესად შრომის ჩვევები, რამდენადაც, შრომა წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს მის სიცოცხლისუნარიანობას. სკოლაში ყოველდღიური სწავლა ბავშვისთვის შრომის ადეკვატური პროცესია.

სკოლამიტოვებული ბავშვი რჩება არა მარტო განათლების, არამედ იმ აუცილებელი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ათვისების გარეშე, რომლებიც სწავლის პროცესში თანატოლებთან ურთიერთობის შედეგად ჩნდება. ასეთი ბავშვის ცხოვრებაში ამოიკვეთა ასაკის შესატყვისი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი და ბავშვი, ერთგვარად, ორმაგი ფსიქოლოგიური დატვირთვის (ზეგავლენის) ქვეშ მოექცა. იგი ფიზიოლოგიურად (ასაკით) ბავშვია  და მისი ემოციურ-ფსიქოლოგიური სტატუსი მოითხოვს შესაბამის გარემოს, რომელიც გულისხმობს: თანატოლებთან თამაშს, გართობას, სწავლას, აზრთა გაზიარებას, კამათს, ჩხუბს, მეგობრობას და ა.შ. ამ ურთიერთობაში ბავშვი იზრდება და იწვრთნება არა მარტო თანატოლებთან ერთად, არამედ მათი ზეგავლენითაც. ბავშვები ერთმანეთის ხასიათისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზეც ახდენენ ზეგავლენას.

სკოლას ნაადრევად ჩამოცილებული და შრომაში ჩართული ბავშვი ერთბაშად ხვდება სრულიად განსხვავებულ გარემოში, სადაც მას უწევს თავისი  ასაკისათვის შეუსაბამო საქმიანობა და იმავდროულად, უმეტეს შემთხვევაში, – მეტოქეობა ზრდასრულ ადამიანებთან. მკაცრი რეალობა ბავშვს აიძულებს, აითვისოს ასაკისთვის შეუფერებელი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, რაც მის ბავშვურ ფსიქოლოგიაზე მნიშვნელოვან ზეწოლას ნიშნავს. ბავშვი ერთდროულად ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს – ბავშვისა და ზრდასრული ადამიანის ცხოვრებით, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო ხელს უშლის მას ადამიანებთან, თანატოლებთანაც და დიდებთანაც, ურთიერთობის დროს.

ბავშვი თავის განვითარებაში თითქოს ახტება დიდ მონაკვეთს, იმ მონაკვეთს, რომელიც აუცილებელია ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის. ამ უნარ-ჩვევებამდე ნორმალურ ვითარებაში იგი უნდა მივიდეს თანდათანობით, ევოლუციის გზით. სკოლის მიტოვება და ზრდასრულ ადამიანებთან შრომითი კონკურენცია მას აიძულებს, ეძებოს ახალი გზები გადასარჩენად. რაკი მას, თავისი ზრდასრული

კონკურენტებისაგან განსხვავებით, არ გააჩნია ცხოვრებისეული გამოცდილება, თავის გადასარჩენად ხშირად უხდება სხვა, ხშირ შემთხვევაში, არაზნეობრივი საშუალებების გამოყენება: სიცრუე, თვალთმაქცობა, ქურდობა/სხვა კრიმინალური ქმედებები და სხვ.

ზნეობრივი დეგრადაციის ხარისხი დამოკიდებულია ბავშვის ნებისყოფასა და იმ გარემოზე, სადაც მას უწევს ცხოვრება და შრომა. მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე იმასაც, თუ რა ასაკიდან გამოეთიშა იგი სკოლას. ნორმალურ ოჯახურ გარემოში ძლიერი ნებისყოფის ბავშვი უფრო ამტანი ხდება ცხოვრებისეული წინააღმდეგობებისადმი. იგი თავისი ასაკის ბავშვებთან შედარებით უფრო დამოუკიდებელია, მაგრამ ნაკლებად განათლებული, რაც საბოლოოდ ამუხრუჭებს მისი პიროვნული განვითარების პროცესს. დროთა განმავლობაში, ასაკის მომატებასთან ერთად, იგი ჩამორჩება თანატოლებს და დამოუკიდებლობის ამ უპირატესობას ჰკარგავს.

ბავშვს, რომელსაც არ ჰყავს არათუ პატრონი და მზრუნველი, არამედ თუნდაც რჩევის მიმცემი, და რომელიც მარტოდმარტო რჩება საკუთარი პრობლემების წინაშე, განსაკუთრებით უჭირს თავის გადარჩენა. იგი ვერ ერკვევა საზოგადოებრივ ფასეულობებში, თავს ირჩენს ან მათხოვრობით, ან წვრილმანი ვაჭრობით. ასეთი ბავშვების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ხვდება მავნე ზეგავლენის ქვეშ და დროთა განმავლობაში ისინი იწყებენ ქურდობას, ხდებიან ალკოჰოლისტები და ტოქსიკომანები. ცხოვრების წესი განსაზღვრავს მათში უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რადგან სკოლისა და ოჯახის ადგილს იკავებს ქუჩა თავისი წესებითა და ტრადიციებით.

სოციალურად დაუცველი ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო აღმოჩნდნენ ქუჩაში, თავიანთი სოციალური სტატუსით მიეკუთვნებიან ე.წ. ვიქტიმური ბავშვების კატეგორიას.

კრიზისული სოციალ-ეკონომიკური ვითარება უარყოფითად აისახა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. პედაგოგთა დაბალმა ანაზღაურებამ, ხელფასების პერმანენტულმა დაგვიანებებმა მკვეთრად დასწია ამ კეთილშობილური პროფესიისადმი ინტერესი. ეკონომიური გაჭირვება მასწავლებელს აიძულებდა ძირითად პროფესიისთვის უფრო მაღალანაზღაურებადი პროფესია შეეთავსებინა. ეკონომიკური გაჭირვება პედაგოგებს ბავშვების თვალში ერთგვარად პატივისცემას უკარგავდა. ყოველივე ამას არ შეეძლო არ ემოქმედა სკოლაში ნოვაციების დანერგვის,

ბავშვებთან კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოტივაციაზე.

2002 წლისათვის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 15-დან 18 წლამდე ასაკის 391 ქალი და 245 ვაჟი (41).

2005 წელს მასწავლებელთა მინიმალური ხელფასი 115 ლარამდე გაიზარდა, შემდეგში კი 200 ლარს მიაღწია, თუმცა ცხოვრების რეალიების გათვალისწინებით, ეს მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს მასწავლებელთა შრომის ღირსეულ ანაზღაურებად (31).

სკოლაში სწავლის დონის საზიანოდ იმოქმედა სახელმძღვანელოთა მაღალმა ფასმა. სახელმძღვანელოთა კომპლექტის ფასი ორჯერ აღემატება მშობლის საშუალო თვიურ ხელფასს. შედეგად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა, დაქვეითდა სწავლების ხარისხი.

მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი გაღიზიანებული და დაბნეულია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გამო. ნაცვლად იმისა, რომ გამოავლინონ განსაკუთრებით ჰუმანური დამოკიდებულება ბავშვებისადმი, ზოგ შემთხვევაში მიმართავენ ძალადობას, რათა განმუხტონ თავიანთი უარყოფითი ემოციები.

ყველა ადამიანს, მათ შორის პედაგოგს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვების აღზრდაზე, ესაჭიროება განათლება ბავშვის ემოციურ განვითარებაზე ფსიქოლოგიური ძალადობის ზეგავლენის შედეგებთან დაკავშირებით (31).

## §6 ვიქტიმური ბავშვები, სოციალური პირობების მსხვერპლნი

გასული საუკუნის 40-იან წლებიდან პედაგოგთა და ფსიქოლოგთა ყურადღება მიიპყრო იმ ნეგატიური შედეგების შესწავლამ, რომელიც თან სდევს ადამიანზე სხვადასხვა სახის ტრავმის გამომწვევი შემთხვევების ზეგავლენას, სტრესებს (ავარიები, კატასტროფები, ძალადობა და სხვ.); სერიოზული მუშაობა დაიწყო სტრესთა და ტრამვათა შედეგების დიაგნოსტირებასა და მის კორექციასთან დაკავშირებით. დროთა

განმავლობაში აუცილებელი გახდა ცოდნის და მეცნიერების შედარებით დამოუკიდებელი დარგის – სოციალურ-პედაგოგიური ვიქტიმოლოგიის შექმნა.

სოციალურ-პედაგოგიური ვიქტიმოლოგია (ლათ. "ვიქტიმე" – მსხვერპლი და ბერძ. "ლოგოს" – სწავლება) სოციალური პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც დისციპლინათშორის დონეზე შეისწავლება ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სოციალური დეფექტების და გადახრების კორექცია, რომელთა გამო ადამიანი ხდება სოციალიზაციის არახელსაყრელი პირობების მსხვერპლი.

ვიქტიმიზება ერთი მხრივ არის პროცესი და მეორე მხრივ, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ამა თუ იმ არახელსაყრელი პირობების გამო მსხვერპლად ქცევის შედეგი. ვიქტიმურობა – ადამიანის მიდრეკილებაა გახდეს სხვადასხვა გარემოებების მსხვერპლი. მათ რიცხვში არიან ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდები ფსიქოსომატური დეფექტებით და გადახრებით, ობლები და ბავშვთა ის კატეგორიები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების კმაყოფაზე, აგრეთვე მოზარდები, ახალგაზრდები მოსაზღვრე ფსიქიური მდგომარეობით და ხასიათის აქცენტუაციებით, მიგრანტთა შვილები (119).

სოციალიზაციის არახელსაყრელი პირობების მსხვერპლთა ყველაზე დაუცველი კატეგორია, რომელსაც ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა მასში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების აღზრდის მიზნით, არიან მიუსაფარი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, ქუჩის ბავშვები.

## ქუჩის ბავშვები

ქუჩის და სხვა მაღალი რისკის ჯგუფის ბავშვები არიან მზრუნველობას მოკლებულები ბავშვები დაუცველი, ღარიბი და არასტაბილური ოჯახებიდან ან ოჯახური ტიპის გარემოდან, რომლებიც განიცდიან სოციალურ იზოლაციას, ქმნიან მარგინალურ ჯგუფებს, ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩებში, შეზღუდულად ან საერთოდ ხელი არ მიუწვდებათ დაცვის, ჯანმრთელობის და განათლების სამსახურებზე და იმყოფებიან ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ.

ქუჩის ბავშვები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: „ბავშვები ქუჩაში“ და „ქუჩის ბავშვები“ (27). პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც დღისით ქუჩაში მუშაობენ და ღამით სახლში ბრუნდებიან, ხოლო მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომლებიც ქუჩაში მთელი დროის განმავლობაში ცხოვრობენ. შესაბამისად, ტერმინი "ქუჩის ბავშვები" ზოგადად მოიცავს იმათ, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში მთელი დროის განმავლობაში მშობლებთან მცირე ან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე, ასევე ისინიც, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ დღისით, ხოლო ღამით სახლებში ბრუნდებიან.

ქუჩის ბავშვებს შორის არიან ობლები ან მშობლების მიერ მიტოვებულები თუ ოჯახიდან გამოძევებული ბავშვები. ზოგიერთი მათგანი სახლიდან გაქცეულია. ქუჩა მათთვის არა მხოლოდ სამუშაო ადგილი, არამედ სახლიცაა (27).

ბავშვთა მაწანწალობის პრობლემა თან სდევს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის დიდ ქალაქებს, რომლებიც იქცევა რეგიონებიდან ჩამოსული უპატრონო ბავშვების საცხოვრებელ ცენტრებად. ექსპერტთა შეფასებით (27), უპატრონოდ დატოვებულ ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნატების აღსაზრდელები არიან, რომლებიც სასტიკი მოპყრობის გამო თვითნებურად ტოვებენ დაწესებულებებს.

უსახლკარო ბავშვთა უმრავლესობას წარმოადგენენ ქალაქში მაცხოვრებელი ბავშვები. მათი ოჯახიდან წასვლის მიზეზები ხდება სასტიკი მოპყრობა და კონფლიქტები მშობლებთან, ზედმეტობის შეგრძნება, ნათესავების უყურადღებობა.

ოჯახის ცხოვრების დეზორგანიზების პირობებში ირღვევა ჩამოყალიბებული ზნეობრივ-ესთეტიკური ნორმები და ცხოვრები ყაიდა. ძლიერდება ცოლ-ქმრული კონფლიქტები, უსიამოვნებები მშობლებსა და შვილებს შორის. ღრმავდება ბავშვების დეპრესიული მდგომარეობა, როგორც უფლებრივი, მორალური, ეკონომიკური დაუცველობის შედეგი. სიღარიბე და არასასიკეთო ფსიქოლოგიური ვითარება ოჯახში დამღუპველად მოქმედებს ბავშვების აღზრდაზე, მათ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე.

ქუჩის ბავშვები გადასარჩენად ან თავად ქმნიან ბანდას, ან სხვის ბანდაში წევრიანდებიან, სადაც ჰპოვებს თანადგომას და თავს დაცულად

გრძნობენ. ისინი ნარკომანები ან ჯიბის ქურდები ხდებიან, სწავლობენ ქურდობის სხვადასხვა ხერხს. ავტოავარიის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანება, ქუჩის ჩხუბები, გამომძალველთა და პოლიციელთა მხრიდან შეურაცხყოფა – აი, იმ საფრთხეთა არასრული სია, რომელთა წინაშეც ქუჩის ბავშვები აღმოჩნდებიან ხოლმე. ისინი ხშირად ხდებიან ეჭვმიტანილნი, მათ აკავებენ, აპატიმრებენ უმცირესი დანაშაულისათვისაც კი. ხშირად ხდებიან, ნარკომანიისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მსხვერპლნი.

უპატრონო ბავშვთა ცხოვრების წესი დიდ ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას, ფსიქიკას, ამახინჯებს მათ ფასეულობათა ორიენტირებას. როგორც წესი, მათ აქვთ დამახინჯებული წარმოდგენა სამყაროზე. მათი ცოდნა შეზღუდულია და არ შეეფერება ასაკს, ბევრმა წერა-კითხვაც არ იცის და მის სწავლას იწყებს მხოლოდ სოციალურ სარეაბილიტაციო დაწესებულებებში. უპატრონოდ მიტოვებულ ბავშვებს ახასიათებთ უხეშობა, აგრესიულობა. მათ არ გააჩნიათ თანაგრძნობის და თანაგანცდის უნარი.

უპატრონო ბავშვთა უმრავლესობას აღენიშნება ფსიქიური მოშლილობა, უყურადღებობის გამო გართულებული ქრონიკული დაავადებები. ფსიქიურ დაძაბვას მიჰყავს ისინი ნერვულ შეტევამდე, ნარკოტიკების გამოყენებამდე და ა.შ.

ქუჩაში გაზრდილ ბავშვებს გამოვლილი აქვთ ცხოვრების მკაცრი სკოლა. ისინი ძალაუნებურად ძალიან ადრე აღწევენ გარკვეულ ცალმხრივ სიმწიფეს. ასეთი ბავშვები დიდ სიძნელეებს უქმნიან ბავშვთა სახლების პერსონალს, მოიპოვებენ რა უზარმაზარ გავლენას იქ მყოფ ბავშვებზე. საბოლოოდ, როგორც წესი, ისინი გარბიან ბავშვთა სახლიდან და უბრუნდებიან ქუჩას. ხშირად ისინი სხვებსაც უბიძგებენ გაქცევისაკენ.

ქუჩის ბავშვებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენა **ტოქსიკომანიაა,** რომელიც გამოწვეულია სოციალური, ფსიქოლოგიური და ოჯახური მიზეზებით. გარდა ამისა, ტოქსიკომანიასა და არასრულწლოვანთა დანაშაულს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ მოვლენის წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები:

- თანატოლების ზეწოლა;
- არაადეკვატურობის გრძნობის დაძლევის სურვილი;
- ნარკომანიის საშიშროების გაუცნობიერებლობა ან ბუნდოვანი წარმოდგენა მის შესახებ; ცნობისმოყვარეობა;

- ადამიანის სურვილი, ეკუთვნოდეს რაიმე ჯგუფს;
- ადამიანის შეგრძნება, რომ მისი არავის ესმის;
- ჩვეულებრივისაგან განსხვავებული სიტუაციის ძიება.

**ყველაზე მეტად იყენებენ:**

- ხველების წამალს;
- წებოს ან გამხსნელ ნივთიერებებს;
- ალკოჰოლურ სასმელებს;
- სიგარეტს;
- მარიხუანას;
- ამფეტამინს (შობუს);
- დიაზეპამს.

ისინი განიცდიან არაადეკვატურობის გრძნობას და სხვა ადამიანებისაგან ყურადღებას ითხოვენ. ხშირად მგრძნობიარენი არიან. თავიანთი ნამდვილი ბუნების დაფარვას ყოვლისმცოდნის ნიღბით ცდილობენ.

ტოქსიკომანებს ახასიათებთ სხვებით მანიპულირება, დესტრუქციული ქცევა, აგრესიულობა და სისასტიკე საკუთარი თავის მიმართ. ტოქსიკომანი ბავშვი გულჩათხრობილი, მეამბოხე, გულცივი, ტყუილების მოყვარული, ეჭვიანი და მოუსვენარია. ხშირად ტოქსიკომანი ქუჩის ბავშვები ნიჭიერები არიან, მაგრამ წამლების ზემოქმედების შედეგად ეს ძნელი შესამჩნევია.

პრობლემების გადაჭრის მათთვის დამახასიათებელი სტილი პრობლემის არსებობის უარყოფა და მისთვის თავის არიდება. თუ ისინი მაინც გადაწყვეტენ თვალი გაუსწორონ სიტუაციას, დამხმარეთა ძებნას იწყებენ. მათ იციან, რომ აკრძალული წამლის მიღება ჯანმრთელობას აუარესებს და სხვა მრავალი უარყოფითი შედეგი მოაქვს, მაგრამ „ნეტარების" განცდის სურვილი შიშს ჯაბნის.

**საჭიროა:** მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართო ინფორმაციული მუშაობის წარმართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბავშვების პრობლემებზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე და ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების დამღუპველი შედეგების დემონსტრირებასა და მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციაზე.

## II თავი
## ქუჩის ბავშვები საქართველოში: რეალური ვითარება და მათი უფლებების დაცვა

### §1 პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ბოლო ათწლეულში მსოფლიო საზოგადოების განვითარების გლობალურმა პროცესებმა გამოიწვია რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები. ომები, საერთაშორისო რელიგიური თუ რეგიონალური ეთნიკური კონფლიქტები, ტერაქტების შედეგად ადამიანთა მასობრივი დაღუპვა და ადამიანთა მასობრივი მკვლელობების სხვადასხვა ფორმები სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს კაცობრიობის განვითარებას.

შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად მოკლულია ორ მილიონზე მეტი ბავშვი, ექვს მილიონზე მეტი დაიჭრა, ხოლო თერთმეტ მილიონზე მეტი დაობლდა (128)

1989 წლიდან მოყოლებული შეიარაღებული კონფლიქტები მოხდა განვითარების „გარდამავალ პერიოდში მყოფ 27 ქვეყნის, დაახლოებით, მესამედში. მათ რიცხვს მიეკუთვნება სომხეთი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზიის ქვეყნები, მოლდოვა, ტაჯიკეთი, რუსეთის ფედერაცია, ჩრდილოეთ კავკასია, ყოფილი იუგოსლავია (82)

კონფლიქტების დამთავრების დამანგრეველი შედეგები ნათლად ჩანს სამუშაო ადგილების ნაკლებობის და დანგრეული სოციალური ინფრასტრუქტურის სახით (საცხოვრებლების და სკოლების ჩათვლით).

საქართველოც ვერ გადაურჩა ამ ანთროპოლოგიურ კატასტროფას. 1990 წლიდან დღემდე საქართველომ გადაიტანა ეთნოკონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამოქალაქო ომი, ბოლოს 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთთან. ყოველივე ამის შედეგად მრავალი ასეული ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური კერა. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო დგებოდა ხერხდებოდა სიტუაციის გარკვეულწილად დარეგულირება, მაგრამ პოლიტიკური სტაბილურობა დღემდე მიუღწეველია.

თანამედროვე მსოფლიო კრიზისმა, საქართველოს ეკონომიკაში, ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ტენდენციები გამოავლინა. ამან თავისებური დაღი დაასვა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. კიდევ უფრო გაუარესდა ცხოვრების დონე. ინფლაციის ზრდის ტემპმა, ფართო მოხმარების საქონელზე ფასების გაუმართლებელმა ზრდამ, ლარის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებამ ვალუტასთან მიმართებაში, მოთხოვნა-მოწოდებას შორის დისბალანსის გამოვლენამ, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დისპროპორციამ კიდევ უფრო გაამწვავა სიღარიბე.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 2007 წლისთვის იყო 14,9%, თუმცა, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავიანთ თავს უმუშევართა «კატეგორიას» მიაკუთვნებენ, ახლოსაა 30%-თან (34).

2008 წელს ფასების საერთო დონემ მკვეთრად მოიმატა და წლიურად შეადგინა 12,3%. 25-30%-ით გაიზარდა ფასები საყოველთაო მოხმარების ისეთი პროდუქციაზე, როგორიცაა მედიკამენტები.

2008 წელს ინფლაციის დონემ 3,4%-ს მიაღწია. საქართველოს საგარეო ვალი 1992-2008 წლებში 78,7 მლნ დოლარიდან 2495 მლნ დოლარამდე გაიზარდა. უკანასკნელი (2008 წლის) მონაცემებით საქართველოში სიღარიბის დონემ საარსებო მინიმუმის მიმართ 37% შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები არის მდიდარი და ამ რაოდენობის კლების ტენდენცია აშკარაა (34).

წარმოქმნილი სიტუაცია პირველ რიგში უარყოფითად აისახა ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებაზე.

„გაეროს" ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, ახალშობილის რეგისტრაცია მიჩნეულია ადამიანის ერთ-ერთ უფლებად (6).

შემოსავლის დაცემამ აიძულა ღარიბი ოჯახები, თავი აერიდებინა ახალშობილთა რეგისტრაციისთვის.

ბავშვის დაბადების რეგისტრაცია შესაძლებელს ხდის, მოზარდმა ისარგებლოს მისი განვითარებისთვის საჭირო ძირითადი სოციალური მომსახურებით.

UNICEF -ის მიერ საქართველოში 2000 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ სამოქალაქო აქტების განყოფილებებში რეგისტრირებულმა დაბადებადებულთა რიცხვმა შეადგინა საერთო შობადობის მხოლოდ 87% (41). ვიქტიმური ბავშვების (ქუჩის ბავშვების) 85% დაურეგისტრირებელია, რაც ამ ბავშვებს ტოვებს სახელმწიფოში მოქმედი სოციალური დაცვის მექანიზმების მიღმა.

იმატა ბავშვთა შრომის შემთხვევებმა. 2005 წლის UNICEF-ის მინაცემებით 5-იდან 14 წლამდე ბავშვების 18% მუშაობს საქართველოში; 9 წლის ან უფრო მცირე ასაკის ბავშვები მუშაობენ ქუჩებში, ბაზრებში, ხშირად ღამით, როცა უწევთ მძიმე ტვირთების გადმოტვირთვა. 5 წლის ბავშვები მუშაობენ მათხოვრებად. 5 – 14 წლის ბავშვების, რომლებიც სკოლაში დადიან (92.1%), 18.9%-ი ამავე დროს ბავშვის შრომაშია ჩაბმული. მეორე მხრივ, მშრომელი ბავშვების 18.4%-იდან უმეტესობა სკოლაშიც დადის (94.6%) (31).

სხვა კვლევების მიხედვით, ბავშვები გადაჰყავთ თურქეთში და საბერძნეთში პროსტიტუციის და ოჯახური მონობისათვის. იზრდება ბავშვთა (განსაკუთრებით გოგონების) კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევები პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის მიზნით.

**საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს 16 წელს, როგორც ადამიანის დასაქმების მინიმალურ ასაკს.** საქართველოს კონსტიტუციით და კანონით განათლების შესახებ, ზოგადი განათლება სავალდებულო და უფასოა. კანონით, 15 წლის ბავშვების სამუშაოზე აყვანა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი ეს სამუშაო მცირე დროითაა და საზიანო არ არის მათი ჯანმრთელობისათვის, განათლებისათვის და განვითარებისათვის და თუკი ეს სამუშაო დაკავშირებულია ხელოვნებასთან ან დაშვებულია სპეციალური სამუშაო ნებართვით ადგილობრივი პროფკავშირიდან.

მათხოვრობა ან წვრილმანი ვაჭრობა ქუჩის ბავშვების ერთი ნაწილისათვის თავის რჩენისთვის გაწეული შრომაა. ეს ბავშვები არ ეწევიან დაქირავებულ შრომას, მათ არავინ ქირაობს, ამიტომ გაურკვეველია, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კანონთან ასეთი შეუსაბამობის გამო.

საქართველო საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის და ბავშვთა შრომის აღმოფხვრის საერთაშორისო პროგრამის ასოცირებული ქვეყანაა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა შრომის დაძლევას დაგეგმილი სტრატეგიებით და პროგრამების ამოქმედებით, რამეთუ ბავშვთა შრომა არა მარტო აკნინებს ბავშვებში განათლების და უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებებს, როგორც მათი მომავლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას, არამედ აკნინებს ქვეყანაში სიღატაკის დაძლევის სტრატეგიულ შესაძლებლობებს და ეკონომიკური ზრდის პოტენციალს.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირებით 1994 წელს საქართველოს მთავრობამ, როგორც ერთ-ერთმა მონაწილე ქვეყანამ აღიარა ბავშვის უფლება (მუხლი 32; ბავშვის შრომა), დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში. მიუხედავად არსებული საქართველოს შრომის კოდექსისა, საჭიროა უფრო მეტად დაზუსტდეს და გატარდეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომები განათლების სფეროში, რომელიც გადასინჯავს არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკებს და წინაპირობებს, დააკონკრეტებს სამუშაო დღის ხანგრძლივობას და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნას და გაითვალისწინებს სასჯელის შესაბამის სახეობას ან სხვა

სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობამ მოახდინა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის 138-ე (1996 წლის 23 სექტემბერს) და 182-ე კონვენციებისა რატიფიცირება (2002 წლის 24 ივლისს). ეს იმას ნიშნავს, რომ კონვენციების რეკომენდაციები ბავშვის შრომასთან დაკავშირებით უნდა აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში და აღმასრულებელ სისტემებში, რათა სრულყოფილი და თანმიმდევრული გახადოს განათლების, დაცვისა და პრევენციის სისტემები საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.

უკიდურესმა გაჭირვებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი ისეთი ტენდენციები გამოავლინა, როგორიცაა  ბავშვთა პროსტიტუცია, ძალადობა, ალკოჰოლიზმი.

2007 – 2008 წლის საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით გამოკითხულ ბავშვთა 72% აღიარებს, რომ მათ მიმართ გამოყენებული იყო ფიზიკური, ხოლო 70,9% ფსიქოლოგიური ძალადობა.

1997 წ. UNICEF-ის თანამშრომლებმა თბილისში ჩაატარეს 112 მეძავის (12-16 წლის გოგონების) და 60 მათი მშობლის გამოკითხვა. შედეგებმა ცხადყო, რომ მეძავი გოგონები შესაძლებელია დავყოთ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს შემოსავლის დიდი ნაწილი შეაქვს ოჯახში, ხოლო 12% ხარჯავს საკუთარი თავისთვის. მათი „სამუშაო" ადგილია რკინიგზის სადგური, ღამის გასათევი ცარიელი ვაგონები, ფარდულები, ერთ ნაწილს მოსწონს ასეთი ცხოვრება. ისინი შეადგენენ ყველაზე აგრესიულ ჯგუფს;

მეორე ჯგუფი მეძავობას უთავსებს ქურდობას. ეს ჯგუფი შეადგენს საერთო რაოდენობის 32%-ს. გოგონა ოჯახის ერთადერთ მარჩენალად გვევლინება. მშობლები კი მცირეწლოვან შვილებთან ერთად მათხოვრობენ და ხელს უწყობენ გოგონას მეძავობაში;

მესამე ჯგუფი ყიდის გაზეთებს, ნაყინს, ალაგებს სადარბაზოებს. ისინიც ოჯახის ერთადერთ მარჩენალს წარმოადგენენ და შრომას უთავსებენ მეძავობას.

მათი უმრავლესობა თბილისელია.  აქედან, წერა-კითხვის უცოდინარია 8-20%, გაჭირვებით წერს 3-12%.

მშობლები არ ინტერესდებიან შვილთა საქმიანობით და შემოსავლით.

მდედრობითი ან მამრობითი სქესის ბავშვი, რომელიც ფულის მიღების ან რაღაც სხვა მიზნით, უფროსების, სინდიკატის ან რაიმე დაჯგუფების ზეწოლით ან იძულებით ამყარებს სექსუალურ ურთიერთობას, ახორციელებს ავხორცულ ქმედებებს, ითვლება პროსტიტუციაში ან სხვა სექსუალური ძალადობის აქტში ჩათრეულ და სექსუალურად ექსპლუატირებულ ბავშვად.

საქართველოს კრიმინალური კოდექსი კრძალავს ქალების ყიდვას ან გაყიდვას პროსტიტუციისათვის და კრძალავს სექსუალურ ურთიერთობის დამყარებას 16 წალმდე ასაკის ადამიანთან. თუმცა კანონი არ აკონკრეტებს დასჯის და სანქციების მეთოდებს.

ზღვარდაუდებელი ძალადობა მტკივნეული მოსაგონარია. ბავშვების თქმით, ისინი „წუმპეში ამოავლეს და სულიერად დაამახინჯეს", სექსუალური ძალადობისაგან ტრამვირებული ბავშვი ეჭვის თვალით უყურებს ნებისმიერი ადამიანის ქცევას, როცა ბავშვი ამჩნევს საპირისპირო სქესის ადამიანისაგან სექსუალური ლტოლვას, აგრესია, ბრაზი და სისასტიკე იპყრობს.

მართალია სექსუალური ძალადობისაგან ტრამვირებული ბავშვების აზროვნება არ არის სხარტი, მაგრამ საკმაოდ ორგანიზებულია. მწარე გამოცდილება კარნახობს მათ, რომ უარყონ გადატანილი ძალადობის ფაქტი, დაფარონ იგი და ამით გართულებებს თავი აარიდონ. მათ პასუხში ისმის ბრაზი, შიში, უნდობლობა და ღალატით გამოწვეული ტკივილი. მიუხედავად სამყაროს ნეგატიური აღქმისა, სწამთ, რომ ყველაფერი უკეთესობისაკენ შეიცვლება და თუ გაუძლებენ ამ გამოცდას, აუცილებლად გაიმარჯვებენ.

სექსუალური ძალადობისაგან ტრამვირებული ზოგიერთი ბავშვის აზრით, დედა სასტიკი, დასჯის მოყვარული, ბრაზიანია, არ არის მოსიყვარულე. ასეთი ბავშვები თავს მიტოვებულად გრძნობენ, ხოლო თავიანთი პრობლემების მიზეზს დედაში ხედავენ. მამა ლოთი, გულგრილი, ბილწსიტყვა, მოღალატეა. ამგვარად, ოჯახში ქაოსი და ცივი ატმოსფერო სუფევს.

როცა თანატოლებთან თავს ბედნიერად გრძნობენ და მათგან დახმარების მიღების იმედი აქვთ, ისინი გულკეთილნი და მზრუნველნი ხდებიან. გოგონები მამრობითი სქესის ბავშვებს „ბოროტებად, მოძალადეებად, მანიაკებად და ენაბილწებად" თვლიან. სარეაბილიტაციო ცენტრის პერსონალი, ბებია, ბიძა და დეიდა, თანატოლების მსგავსად, მათი ნდობით

აღჭურვილი პირები არიან, რომელთაც შეუძლიათ ყურის დაგდება, რჩევის მიცემა, მზრუნველობის აღმოჩენა და სიყვარული. (33)

**ყურადსაღებია ძველი სტატისტიკა**, რომელიც **მოგვყავს პრობლემის სიმწვავის დემონსტრირების მიზნით:** საქართველოში მოზარდთა სიფილისით დაავადების შემთხვევები შეადგენდა 1996 წ. – 1000-ს, 1998 წ. მათი რიცხვი გაიზარდა 2500-მდე, ე.ი. 1500-ით. თუ გონორეით დაავადების შემთხვევების რიცხვი 1997 წ. აღწევდა 1000-ს, 1998 წ. ამ რიცხვმა შეადგინა უკვე 1500. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს შიდს-ის ცენტრის მონაცემებით საქართველო შიდს-ის გავრცელების დიდი საფრთხის წინაშეა. 1999 წლის მარტში გამოვლინდა ამ დაავადების 84 შემთხვევა (74 – მამაკაცი, 10 – ქალი) (33). 1997 წ. საქართველოს შიდს-ის ნაციონალურმა ცენტრმა დააფიქსირა 21 ახალი შემთხვევა. მაგრამ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თვლიდა, რომ დაავადებულთა რიცხვი 8008-ს აღწევდა. ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა განცხადებით, მათ პირველებმა დააფიქსირეს 1997 წ. იმუნოდეფიციტის ვირუსები, რაც ადასტურებდა საფრთხეს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა საქართველო, საჭირო იყო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

პროფილაქტიკური ღონისძიებები, პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან, რამდენადაც ისინი მოსახლეობის ერთ-ერთ დაუცველ ფენას წარმოადგენენ და ამ საფრთხის დიდი ალბათობის ქვეშ არიან.

შიშს იწვევს ისიც, რომ მოზარდთა უმეტესობას წარმოდგენა არა აქვს სქესობრივი კავშირების ჰიგიენაზე, კერძოდ, სქესობრივი გზით ვენერიული დაავადების გადაცემის საშიშროებაზე. არასამთავრობო ორგანიზაციამ თამბაქოს წევის საწინააღმდეგო ნაციონალური ცენტრი „UNICEF-ს დახმარებით გამოიკვლია სქესობრივი ცხოვრების ცოდნის დონე მოზარდებში (41).

კვლევის შედეგების მიხედვით 12-14 წლის გოგონების 48%-მა და ბიჭების 48%-მა არაფერი იცის სქესობრივი გზით სიფილისის და გონორეით დაავადების შესაძლებლობის შესახებ. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ არც გოგონები და არც ბიჭები (48%) ან საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას ისეთ საშინელ დაავადებაზე, როგორიცაა შიდს-ი, და თუ ფლობენ, ზედაპირულად;

თუმცა, ეს სენი ყოველწლიურად იკრეფს ძალას და სწრაფად ვრცელდება მსოფლიოში.

*მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ ანალოგიური მუშაობა საქართველოში აღარ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ* 2005 წელს სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საქართველოშო ნარკოვითარების კვლევა, მასში გამოკვეთილად არ იყო შესწავლილი ქუჩის ბავშვების მდგომარეობა ამ თვალსაზრისით. რაც შეუძლებელს ხდის მიმდინარე პერიოდის სიტუაციის ანალიზს და პრობლემების იდენტიფიკაციას.

„თამბაქოს წევის წინააღმდეგ მებრძოლმა ნაციონალურმა ცენტრმა" ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო გაეგო მოზარდთა დამოკიდებულება საქართველოში თამბაქოს წევის, ალკოჰოლის და ნარკომანიის მიმართ (41).

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ:

1. მოზარდთა 80% სხვადასხვა დროს იყენებს ალკოჰოლს. მათ შორის 3% - ის მშობელი ალკოჰოლით დაავადებულია. მოზარდთა დიდი ნაწილი არ თვლის ალკოჰოლის მიღებას უარყოფით ფაქტად.
2. ყოველ გამოკითხულ მოზარდს სურს მიიღოს ნარკოტიკები.
3. მოზარდთა 6% სხვადასხვა ინტენსიურობით და დოზით იღებს ნარკოტიკებს. 5%-მა გამოთქვა ნარკოტიკების გასინჯვის სურვილი.
4. 15-17 წლის ორივე სქესის მოზარდები (58%) სიმპატიით და სოლიდარობის გრძნობით უყურებენ ნარკომანებს; თუმცა, 12-14 წლის გოგონების დამოკიდებულება ნარკომანიის მიმართ სრულიად საწინააღმდეგოა.

ამერიკელი ფსიქოლოგი, პროფესორი ფილიპ რაისი თვლის, რომ მოზარდები პირველად იყენებენ ნარკოტიკს მთელი რიგი მოტივების საფუძველზე:

1. უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გამო. იმის გასაგებად, თუ რა არის ეს.
2. პროტესტის ფორმისათვის, ტრადიციული ნორმებისა და ფასეულობათა სისტემის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვისთვის.
3. გართობისა და გრძნობითი სიამოვნების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

4. იმისათვის, რომ არ ჩამორჩეს მეგობრებს ან სოციალურ ჯგუფის სხვა წარმომადგენლებს.
5. შინაგანი დაძაბულობისა და მღელვარების მოსახსნელად, პრობლემებსაგან თავის დაღწევის ან, პირიქით, მათთან გამკლავების მიზნით (133)
6. ნარკოტიკების გაყიდვის სურვილით, მის პირადად მოიხმარებამდე.
7. სურვილით, უფრო ღრმად ჩაწვდეს თავის თავს ან სხვა ადამიანებს (133)

აღნიშნული ჩამონათვალიდან ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მოზარდთა მიერ ნარკოტიკების მოხმარების №№2,4,5 მოტივს.

ბავშვები, მშობლებთან თუ მათ გარეშე, შეადგენენ იმ პირთა არა ნაკლებ ნახევარს, რომლებიც ეძებ თავშესაფარს ქალაქებში და როცა ვერ პოულობენ მას, იძირებიან სოციალკურ ფსკერზე.

„სოციალური ფსკერის", როგორც სოციალური ჯგუფის წარმოშობას მრავალი მიზეზი აქვს. ცხადია, ეკონომიკური მიზეზები: უმუშევრობა, შრომის ანაზღაურების დაბალი დონე. ამასთან, ამ ჯგუფში ხვდებიან ადამიანები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ლოთობისაკენ, ნარკომანიისა და გარყვნილებისაკენ. გარკვეულ გავლენას ამ პროცესზე ახდენს სოციალური გარემო, სოციალური პირობები. შემზარავია, რომ მათ წრეში ხვდებიან ბავშვები, მოზარდები, რომელნიც შესაძლებელია გამხდარიყვნენ ქვეყნის აქტიური, მომავლის შემოქმედი მოქალაქენი. დღესდღეობით მთავრდება ე.წ. „გარდამავალი პერიოდი", დგება აღმშენებლობის ჟამი. ამიტომ, ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდობა უნდა გამოიყოს როგორც სოციალური ფენა, როგორც ქვეყნის ყველაზე პერსპექტიული კონტინგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნული კატეგორია უნდა გახდეს სამთავრობო, არასამთავრობო, კომერციული სტრუქტურების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. საჭიროა მათი ერთობლივი, შეთანხმებული, პიროვნებაზე ორიენტირებული სოციალური მუშაობა. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ვალდებულია ამოიყვანოს მოზარდი თაობა ამ ფსკერიდან, გაზარდოს „ფსიკურად და ფიზიკურად ჯანმრთელი, განათლებული ახალგაზრდა თაობა მაღალი სულიერი, ზნეობრივი ადამიანური თვისებებით, რომელმაც იცის და

პატივს სცემს თავისი ხალხის ისტორიას, ტრადიციებს"(20), სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოზარდი სიცოცხლისუნარიან, თავის ძალებში დარწმუნებულ მოქალაქედ ჩამოაყალიბოს.

მოზარდებში ცხოვრებისეული უნარჩვევების ფორმირება ბევრად არის დამოკიდებული განათლების სისტემის ყველა სოციალურ-საგანმანათლებლო ინსტიტუტის, მათ შორის: სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, გიმნაზიების, ლიცეუმების, კოლეჯების, მუსიკალური, სპორტული, ხელოვნების სკოლების და დამატებითი განათლების სხვა დაწესებულებების; სხვა დარგების სოციალურ-აღმზრდელობითი ინსტიტუტებისა (კულტურის, მართლწესრიგის, მასობრივი ინფორმაციის) და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისა თუ თვითმმართველობის ორგანოების, მოცემული ტერიტორიული დანაყოფის ადმინისტრაციის შეთანხმებულ მუშაობაზე.

ყველა ჩამოთვლილმა ინსტიტუტებმა უნდა შეადგინოს ერთიანი ღია სოციალურ-საგანმანათლებლო გარემო. საგანმანათლებლო სივრცის მართებულად ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აღნიშნული ყველა კომპონენტის თანამოქმედება.

აქ ჩამოთვლილ აღმზრდელობით-საგანმანათლებლო სოციალურ ინსტიტუტებს შორის მთვარ როლს მოზარდი თაობის აღზრდაში ასრულებს: ოჯახი, სკოლა და ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ საზოგადოების წევრთა სოციალური აღზრდის და ცხოველმოქმედების უზრუნველყოფის ფუნქცია.

მათი მოქმედების ლეიტმოტივი უნდა გახდეს მოზარდი თაობის სოციალური გადარჩენა; გადარჩენა მისი სულიერების, ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობის სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-პედაგოგიური თანადგომის გზით, რაც უზრუნველყოფს მოზარდთა შემოქმედების შინაგან თავისუფლებას. ამ უკანასკნელზე კი პიროვნების საერთო სოციალური კეთილდღეობა არის დამოკიდებული.

ზემოთ აღნიშნული აფართოებს სოციალური პედაგოგიკის ამოცანებს და ფუნქციებს: დაეხმაროს მოზარდებს თვითგანვითარებაში, აღზარდოს

მათში სრულყოფისაკენ სწრაფვა და უნარი – დაიცვას თავი და მოაწესრიგოს საკუთარი ცხოვრება და საქმიანობა.

**§2 საქართველოში ურბანული ქუჩის ბავშვების რაოდენობა და მახასიათებლები**

საქართველოში ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“-ს მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი მხარდაჭერით, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით ჩატარდა ქუჩის ბავშვების ურბანული კვლევა. ეს კვლევა საქართველოს ოთხ დიდ ურბანულ ცენტრს მოიცავდა: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი.[2] ეს ადგილები განისაზღვრა რამდენიმე დაინტერესებულ მხარესთან დისკუსიების შედეგად, „გადავარჩინოთ ბავშვების“ მიერ 2006 წელს ჩატარებული ქუჩის ბავშვების ადგილმდებარეობის წინასწარ შესწავლაზე დაყრდნობით. ამ პროცესის რესპონდენტთა თანახმად, ქუჩის ბავშვების ყველაზე მაღალი რაოდენობა სწორედ ამ ოთხ ქალაქში შეინიშნებოდა.

გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF-იდან კვლევაში უშუალოდ ჩართული იყო დისერტანტი და მისი მონაწილეობა პარტნიორებთან ერთად

[2] ეს არის საქართველოში ოთხი ყველაზე დიდი ურბანული ცენტრი, რომელთა მოსახლეობა შეადგენს: თბილისი- 1,342 ათასი, ქუთაისი – 165 ათასი, ბათუმი – 100 ათასი და რუსთავი – 95 ათასი (წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი)

მდგომარეობდა კვლევის დაგეგმვაში და ინსტრუმენტების შემუშავებაში, Sampls-ის და გეოგრაფიული მდებარეობის დადგენაში, კითხვარების შემუშავებაში, კვლევის შედეგების ანალიზსა და სამოქმედო რეკომენდაციების შემუშავებაში.

მოცემული კვლევა ქუჩის ბავშვების პირველი მრავალმხრივი შეფასებაა, საქართველოს სინამდვილეში. კვლევის მიზანი იყო: 1) ოთხ მიზნობრივ ურბანულ ცენტრში ქუჩის ბავშვების მიახლოებითი რაოდენობის განსაზღვრა და 2) მათი თავისებურებების აღწერა ისე, რომ 3) მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელი ყოფილიყო პოლიტიკისა და პროგრამული რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სამსაფეხურიანი მიდგომა:

1) დაკვირვება – მონაცემების რუკაზე დატანა დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით;

2) რაოდენობრივი წერტილოვანი შეფასება;

3) პირისპირ ინტერვიუები.

კვლევის პოპულაციის დასადგენად, ქუჩის ბავშვები განისაზღვრა, როგორც ბავშვები 0-დან 18 წლამდე (ინტერვიუების შემთხვევაში – 8-დან 18 წლამდე), „რომლებიც ქუჩებში შეინიშნება". კვლევა არ მოიცავდა ისეთ „ქუჩის" ბავშვებს, რომლებიც ცენტრებში, თავშესაფრებში ან სხვა ტიპის დაწესებულებებში იმყოფებოდნენ.

ზოგადად, წერტილოვანი შეფასების შედეგად განისაზღვრა, რომ საშუალოდ, 2007 წლის ნოემბერში ოთხ ქალაქში იყო 1,049 ბავშვი. მაქსიმალური მიახლოებითი რაოდენობა იყო 1600 ბავშვი. ქუჩის ბავშვები ურბანულ საქართველოში მეტწილად 5-დან 14 წლამდე ასაკის ბიჭები არიან, რომლებიც ძირითადად მათხოვრობენ. ისინი ქუჩაში ზრდასრულის მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებიან დღის განმავლობაში, თუმცა მათ უმრავლესობას ჰყავს სულ ცოტა ერთი ცოცხალი მშობელი ან სხვა ნათესავები.

კვლევა აჩვენებს, რომ ქუჩის ბავშვების არსებობა საქართველოში დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების წინაშე არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გამოვლინებაა და არა განზოგადებული

ფენომენი. ბავშვების მიერ ქუჩაში გატარებული დროის ანალიზის შედეგად საინტერესო დასკვნის გამოტანა შეიძლება: ქუჩის ბავშვების 40%-ზე მეტს ქუჩაში სამ წელზე მეტი აქვს გატარებული. თუმცა, არსებობენ, უფრო მცირე რაოდენობით (მხოლოდ ერთი მეოთხედი), ქუჩის ბავშვები, რომლებიც აცხადებენ, რომ ქუჩაში ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გამოვიდნენ.

კარგად მორგებული და ეფექტური პოლიტიკისა და პროგრამული ღონისძიებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ქუჩის ბავშვების მდგომარეობის წარმომშობი, დამცველი და დამაბრკოლებელი ფაქტორების სირთულე. კვლევა აჩვენებს, რომ ურბანულ საქართველოში ბავშვს ქუჩისკენ, უმრავლეს შემთხვევებში, ოჯახური ფაქტორისა და საზოგადოებრივი სტრესორის (ჩვეულებრივ, არაუმეტეს სამი ან ოთხისა) კომბინაცია უბიძგებს. ეს არის:

**– ბავშვის გარშემო მშობლის ან მშობლების, ასევე სხვა ზრდასრული ნათესავის არარსებობა.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მხოლოდ ცოტა ქუჩის ბავშვი თუ არის მთლიანად საკუთარ კმაყოფაზე, ოჯახის ისეთი წევრის დანაკლისი, რომელსაც ბავშვი მზრუნველად აღიქვამს – მათ შორის, მშობლის გარდაცვალება, ძლიერი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია ბავშვს ქუჩაში ცხოვრებისკენ უბიძგოს. კვლევა აჩვენებს, რომ, რაც უფრო კლებულობს ოჯახის წევრების რაოდენობა ბავშვის გარშემო, მით უფრო მეტად იზრდება ალბათობა, ბავშვმა ქუჩაში გაატაროს ღამე ან 24 საათი იცხოვროს იქ. მშობლის გარდაცვალების გარდა, მშობლის არარსებობა საქართველოში რამდენიმე ფორმას იღებს. მშობლები შეიძლება გადავიდნენ ქალაქიდან და ბავშვები დაუტოვონ ადამიანებს, ვისაც მათი საჭიროებების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ. ზოგი ბავშვი ტოვებს მშობლებს და სხვა ქალაქში ნათესავის სახლში გადადის საცხოვრებლად, სადაც ზრუნვისა და დაცვის შესაძლებლობები არასაკმარისია, ან (იშვიათ შემთხვევებში) ბავშვი გადაწყვეტს სადმე მარტო გადავიდეს. ამას გარდა, მშობლები დატვირთული გრაფიკით მუშაობენ (როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ადრეული დილიდან გვიან ღამემდე), ელემენტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ისინი ფიზიკურად ვეღარ ახერხებენ მონაწილეობა მიიღონ ბავშვის აღზრდაში.

– **ეკონომიკური პრობლემები – სიღარიბე, უმუშევრობა და უსახლკარობა.**

სიღარიბე არის ჩვეული ფაქტორი, საქართველოში ქუჩის ბავშვების უმრავლესობისათვის. სახლის ცუდი პირობებისაგან თავის დასაღწევად, ბავშვები ცდილობენ, ოჯახს გარეთ, მარტო ცხოვრების გზები ეძიონ და მოპოვებული ფული საკუთარი ან მეგობრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად დახარჯონ. ბევრი შემოსავლის გამომუშავებას ოჯახების მხარდაჭერის გზად განიხილავს. ზოგიერთი ბავშვისგან კი პირიქით, მოელიან ან აიძულებენ, გამოიმუშაოს ფული და ოჯახში მოიტანოს. საცხოვრებლის არარსებობამ ან საშინელმა საცხოვრებელმა პირობებმა შეიძლება ასევე ქუჩისკენ უბიძგოს ბავშვს. ცალკე აღებული, სიღარიბე ბავშვის ქუჩაში გასვლის მიზეზი არ არის. საქართველოში ოჯახების უმრავლესობა, უკიდურეს ეკონომიკურ პირობებშიც კი, ბავშვების სახლში შენარჩუნებას ახერხებს. თუმცა სიღარიბემ შეიძლება უკვე ისედაც დაუცველ ოჯახში არსებული სტრესი გააღრმავოს და ოჯახის პრიორიტეტების შეცვლა გამოიწვიოს, სადაც ბავშვის კეთილდღეობა ყურადღების ცენტრში აღარ იქნება.

– **ოჯახის შემადგენლობის შეცვლა, როგორიცაა განქორწინება ან მშობლის მეორედ ქორწინება**.

მშობლების განქორწინება ყველა ბავშვისთვის სტრესია. საქართველოში ამას ასევე თან ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუარესება ახლავს, განსაკუთრებით თუ ბავშვი დედასთან რჩება – როგორც ეს უმრავლეს შემთხვევებში ხდება. საქართველოში ქუჩის ბავშვების მარტოხელა მშობლებისათვის განქორწინების შემდეგ ხშირად მშობლის მოვალეობების შესრულება ძნელი ხდება. მშობლის მეორედ ქორწინება ხშირად დამატებით სიძნელეებს ქმნის – შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი ბავშვსა და დედინაცვალს/მამინაცვალს შორის, ან ბავშვი შეიძლება სრულიად უარყოფილ იქნას დედინაცვალის/მამინაცვალის მიერ და თავი იძულებულად იგრძნოს (ან იყოს იძულებული) დატოვოს სახლი.

– **ოჯახის გადაადგილება.**

საქართველოში ქუჩის ბავშვების ოჯახები სხვა ადგილზე საცხოვრებლად ჩვეულებრივად ბავშვებთან ერთად გადადიან. გადაადგილების

რამდენიმე მოდელი შეინიშნება: მიგრაცია პატარა ქალაქებიდან ან სოფლებიდან ურბანულ ცენტრებში; გადასვლა დიდი ქალაქებიდან თბილისში; გადასვლა თბილისიდან პატარა ქალაქებში; მოგზაურობა სხვა ქვეყნებიდან ან იძულებითი გადაადგილება საქართველოს კონფლიქტური ზონებიდან. გარემოს შეცვლა ბავშვისთვის სიძნელეებს წარმოშობს. თუ მსგავსი გადაადგილება არ არის კარგად მომზადებული, ახალ ადგილსამყოფელზე არსებულმა მდგომარეობამ ოჯახის პირობების გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს და დამატებითი სტრეს-ფაქტორები წარმოქმნას.

**– ალკოჰოლიზმი და ძალადობა სახლში.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორი ბევრი ბავშვის მიერ არ დასახელებულა, ალკოჰოლიზმი და ოჯახური ძალადობა ბავშვების ცხოვრებაში მძლავრი სტრეს-ფაქტორებია. ისინი ძირს უთხრიან ოჯახის წევრებთან უსაფრთხო მიჯაჭვულობის გრძნობას და აიძულებენ ბავშვებს, მდგომარეობასთან შეგუების ისეთ სტრატეგიებს მიმართონ, როგორიცაა სახლის მიტოვება და ქუჩაში გასვლა. რადგან ალკოჰოლიზმი და ოჯახური ძალადობა ხშირად სახელდება იმ ქუჩის ბავშვების მიერ, რომელთაც დაკარგეს მშობელი ან რომელთა მშობლები განქორწინებულნი არიან, ეს კიდევ უფრო ართულებს გარემოებებს.

**– ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ოჯახში.**

სიღარიბესთან და შესაბამისი სოციალური მხარდაჭერის არარსებობასთან ერთად, ოჯახში არსებულმა ჯანმრთელობის მძიმე პრობლემებმა და ამ მდგომარეობასთან გამკლავების შეუძლებლობამ ბავშვს სკოლის მიტოვებისკენ, ფული გამომუშავების დაწყებისკენ ან უბრალოდ, სიძნელეებისთვის თავის არიდების მიზნით სახლის დატოვებისკენ შეიძლება უბიძგოს.

**– განათლების ნაკლებობა.**

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ქუჩის ბავშვების სოციალური დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ, ამავდროულად, ხშირად მათი შემდგომი სოციალური იზოლაციის

დამაჩქარებელს წარმოადგენს. საქართველოში ქუჩის ბავშვების უმრავლესობა სკოლაში არ ირიცხება. ხოლო ისინი, ვინც ჯერ კიდევ სკოლაში ირიცხება, იქ დარჩენისათვის რამდენიმე წინააღმდეგობას აწყდება. ზოგი სკოლაში სიარულის შემოსავლის გამომუშავებასთან შეათავსებას ცდილობს, რაც რთულია და შეიძლება ბავშვს სკოლის მიტოვებისკენ უბიძგოს. სხვებს აუცილებელი სასკოლო ნივთების შეძენა არ ძალუძს, ან ჩარიცხვისთვის აუცილებელი საბუთები არ გააჩნია. ოჯახები, რომელთაც ბავშვის სკოლაში გაგზავნასა და ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის მოპოვებაში მათ დახმარებას შორის არჩევანის გაკეთება უწევთ, ხშირად არსებობისათვის დამატებითი სახსრების მოძიებას განათლების გრძელვადიან და ბუნდოვად სარგებელზე წინ აყენებენ. ოჯახური სტრუქტურის შეცვლამ, რაც მშობლის გარდაცვალებით ან განქორწინებით არის გამოწვეული, ოჯახის პრიორიტეტები შეიძლება შეცვალოს, სადაც ბავშვის განათლებას წამყვანი როლი აღარ ექნება. და ბოლოს, ბევრი ქუჩის ბავშვი სკოლას თავს ანებებს და ამის მიზეზად ინტერესის ნაკლებობას, შეუსაბამობის ან განათლების დაბალი ხარისხის მათეულ აღქმას ასახელებს.

**– ბავშვის ირგვლივ არასაკმარისი სოციალური დაცვის სისტემის არსებობა.**

სოციალური მომსახურება, რომელსაც ქუჩის ბავშვებისთვის მათი ქუჩაში ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მხარდაჭერის აღმოჩენა შეუძლია, ძალიან ცოტაა და მათ შესახებ ინფორმაცია ხშირად ხელმისაწვდომი არ არის იმისათვის, რომ აღკვეთოს ბავშვის ქუჩაში გასვლა ან ხელი შეუწყოს მათ ქუჩაში ყოფნისას ცხოვრების ალტერნატიული გზების გამონახვაში. ქუჩაში მოხვედრის შემდეგ ბავშვები იმ მცირე სოციალურ მომსახურებას მიმართავენ, რის შესახებაც შეიტყობენ, მაგრამ საქართველოში ქუჩის ბავშვების უმრავლესობას არასდროს გაუგია შესაბამისი სოციალური სამსახურების შესახებ და არც გამოუყენებია ისინი.

**– ბავშვის დაცვის შიდასაზოგადოებრივი მექანიზმების არარსებობა.**

ზოგიერთ ქვეყანაში, ბავშვის ოჯახში მთავარი მზრუნველის არყოფნას ნაკლებად უარყოფითი ეფექტი აქვს, ვინაიდან ბავშვის გარშემო არსებული თემის წევრები იცავენ ბავშვს, როცა ოჯახს ეს არ ძალუძს. ურბანულ საქართველოში ეს ასე არ არის – ქუჩის ბავშვების აღქმით, როდესაც ისინი

მთელი რიგი სიძნელეების წინაშე დგანან, ფართო საზოგადოება, როგორიცაა, მაგალითად, მეზობლები, მათ გვერდით არ არიან. ამას სოციალური ან კულტურული ინდიფერენტულობა (ან სულაც მტრული დამოკიდებულება) შეიძლება ვუწოდოთ, რაც ბავშვის შემდგომ სოციალურ იზოლაციას და თვითშეზღუდვას იწვევს.

**– ქუჩის ბავშვების ოჯახების სოციალური იზოლაცია.**

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში მცხოვრები ქუჩის ბავშვები ყველაზე ღარიბი და სოციალურად იზოლირებული ოჯახებიდან არიან. მთელი რიგი სიძნელეებისას, როგორიცაა სიღარიბე, საცხოვრებლის არარსებობა, მეუღლის დაკარგვა, განქორწინება ან ოჯახური კონფლიქტები, ქუჩის ბავშვების ოჯახებს, შიდა და გარე შოკებისგან ბავშვების დაცვა ხშირად შეუძლებლად მიაჩნიათ. თუ მშობლებს, რეალურად, ფართო ოჯახი და საზოგადოება არ ეხმარება, ხშირად ოჯახები შეგუების ისეთ სტრატეგიებს მიმართავენ, რომლებიც ბავშვისათვის შესაბამისი მხარდაჭერის პირობებს არ ქმნის.

## §3 ბავშვის უფლებრივი გარემო და სამართლებრივი პრინციპები

ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც აყალიბებს იურიდიულად სავალდებულო სტანდარტებს, მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენცია გარკვევით აცხადებს, რომ ბავშვებს აქვთ უფლებები და აცნობიერებს მათ როგორც დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტებს, რომლებიც განვითარების სტადიაში იმყოფებიან. ეს დოკუმენტი ყველაზე ფართოდ მიღებული ხელშეკრულებაა ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც რატიფიცირებულია ან რომელსაც შეუერთდა 192 სახელმწიფო.

*„ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონები, მარგულირებელი წესები და პროგრამები და უზრუნველყონ, რომ თითოეული ბავშვი სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში გაიზარდოს, შიშისა და გაჭირვების გარეშე, დაცული იყოს დისკრიმინაციისგან, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან, ჰქონდეს პოტენციური შესაძლებლობების სრული განვითარების შესაძლებლობა. კონვენციით ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ, რომ ცხოვრებისეული შესაძლებლობები არ იყოს გაპირობებული იმით, თუ რა პირობებში იბადება ადამიანი.“*

**მარტა სანტოს პაისი, გაერო-ს გენერალური მდივნის სამსახურის ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ კვლევის სარედაქციო კოლეგიის წევრი.**

---

კონვენციის ძირითადი 42 მუხლი აღწერს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, რომლებიც ფორმულირებულია ბავშვის კონკრეტული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელიც კონვენციის თანახმად არის 18 წლის ასაკამდე ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.[2]

ბავშვის უფლებათა კონვენცია ადგენს სამართლებრივ პრინციპებს და დეტალურ ნორმებს, რომელთა თანახმად უნდა იმართებოდეს ბავშვებთან დაკავშირებული ყველა კანონი, წესი და პრაქტიკა. ეს მოიცავს უგეულვებელყოფის, ძალადობისა და დისკრიმინაციის აღკვეთის ხელშეწყობას და სათანადო რეაგირებას ბავშვების დასაცავად.

ბავშვის უპლებათა საერთაშორისო კომიტეტი არ უარყოფს დისციპლინის პოზიტიურ პრინციპს და აღიარებს, რომ ბავშვის აღზრდა და მასზე ზრუნვა, განსაკუთრებით ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვების, ხშირ ფიზიკურ მოქმედებას და ჩარევას მოითხოვს მათი დაცვის მიზნით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეს შორს არის ძალის განზრახ და დამსჯელი მიზნით გამოყენებისგან, რაც ტკივილს აყენებს, დისკომფორტს უქმნის ან ამცირებს ბავშვს.

---

„ბრძოლა ოჯახებში, სკოლებში და სხვა გარემოში ბავშვების ფიზიკური დასჯის მიმართ ფართოდ გავრცელებულ შემწყნარებლობასთან არ არის მხოლოდ სახელმწიფოთა ვალდებულება, განსაზღვრული კონვენციით. ეს არის ძალადობის ყველა ფორმის შემცირებისა და აღკვეთის ძირითადი სტრატეგია სხვადასხვა საზოგადოებაში.“

*ბავშვის უფლებათა კომიტეტი,*
*ზოგადი კომენტარი №8, პუნქტი 3[4].*

ბავშვის უფლებათა კონვენციის 28(2) მუხლი მოითხოვს, რომ მოხდეს სასკოლო დისციპლინის „დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემას და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.“ ამ დებულების ინტერპრეტაციის დროს კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ მის თანახმად მონაწილე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ აკრძალონ ფიზიკური დასჯა და დისციპლინის სხვა დამამცირებელი და მავნე ფორმები განათლების სისტემაში.

32-ე და 36-ე მუხლები აძლიერებს ბავშვის კანონიერ უფლებას, დაცული იყოს ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმებისგან, მათ შორის: ეკონომიკური ექსპლუატაციისგან და „ნებისმიერი სამუშაოსაგან, რომელიც სახიფათო შეიძლება იყოს, ან ხელს უშლის ბავშვის განათლებას, მავნეა მისი ჯანმრთელობის ან ფიზიკური, გონებრივი, სულიერი თუ სოციალური განვითარებისთვის“ (მუხლი 32); „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული წამლების უკანონო მოხმარებისგან“ და „ამგვარი ნივთიერებების უკანონო წარმოებაში ჩათრევისგან“ (მუხლი 33); „სექსუალური ექსპლუატაციის და შეურაცხყოფის ყველა ფორმისგან“ პროსტიტუციის და პორნოგრაფიის ჩათვლით (მუხლი 34); მოტაცების, გაყიდვის და ტრეფიკინგისგან (მუხლი 35); „ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობას“ (მუხლი 36).

ბავშვის დაცვას ძალადობისგან ბავშვის უფლებათა კონვენციის სხვა დებულებებიც ეხება. ამაში შედის სამოქალაქო უფლებები, დაკავშირებული გამოხატვის, ინფორმაციის გადაცემის, სინდისის და რელიგიური რწმენის,

ასოციაციების და მშვიდობიანი შეკრებების, პირადი ცხოვრების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლებასთან (მუხლები 12, 13, 14, 15, 16 და 17). მუხლი 9 უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას, რომ არ დაშორდეს თავის მშობლებს, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეს უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

მუხლი 18 ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწევენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებაში; ხოლო მუხლი 20 თანახმად ოჯახურ გარემოს მოკლებულ ბავშვებს უფლება აქვთ სარგებლობდნენ სახელმწიფოს განსაკუთრებული დახმარებით და მზრუნველობით. მუხლი 25 ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მის სამეურვეოდ ან სამკურნალოდ გამწესების პირობების შეფასება. გაშვილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ჩამოყალიბებულია 21 მუხლში, ლტოლვილ ბავშვებთან – 22 მუხლში, ხოლო უნარშეზღუდულ ბავშვებთან – 23 მუხლში.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად ბავშვებს დაკმაყოფილებული უნდა ჰქონდეთ შემდეგი სახის მოთხოვნილებები:

- ფიზიკური (უსაფრთხო, ადექვატური, თბილი და ა.შ. საცხოვრებელი; საკმარისი და ჯანმრთელი კვება და წყალი; ადექვატური ჰიგიენური პირობები და სამედიცინო მომსახურება; დაცვა ძალადობისაგან, ცუდი მოპყრობისაგან, ადრეულ ასაკში შრომისაგან);
- ემოციური (სიყვარულისა და მზრუნველობის გარემო, ღირსების, ბედნიერების, მომავლის იმედის შეგრძნება);
- სოციალური (ოჯახი, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, საზოგადოებაში ინტეგრაცია);
- განვითარების (მეგობრობა “ღირსეულ უფროსებთან”, განათლება, მოწიფულობისათვის მზადება);
- სულიერი (სინდისის და რელიგიის თავისუფლება, სიკეთის, სილამაზის და მშვიდობის შეგრძნება).

ბავშვების მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებას საფუძვლად მათი ინტერესები უნდა ედოს; ამრიგად, ყველა სახელმწიფო და კერძო

დაწესებულებამ, სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა უწყებებმა უნდა განიხილონ განხორციელებული ქმედებების გავლენა ბავშვებზე, რათა უზრუნველყონ მათი ინტერესების გათვალისწინება (მუხლი 3). ბავშვის თანდაყოლილი სიცოცხლის უფლება და გადარჩენისა და განვითარების მაქსიმალური უნარი, გათვალისწინებული ბავშვის უფლებათა კონვენციის მიერ, რაც მოიცავს ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განზომილებებს (მუხლი 6), განიხილება, აგრეთვე, როგორც ზოგადი პრინციპი. 12 მუხლის თანახმად ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები იმ საკითხებზე, რომლებიც მას ეხება, ამასთანავე ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც სახელმწიფოთა ანგარიშებს 1993 წლიდან განიხილავდა, შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ვალდებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ორდღიანი ზოგადი დისკუსიების შემდეგ 2000 და 2001 წლებში, და მოცემულია კომიტეტის №№ 1 და 8 ზოგად კომენტარებში.

კომიტეტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების ჩათვლით მრავალი იურისდიქციის ფარგლებში დაგმეს ბავშვების მიმართ ძალადობა თავიანთი გადაწყვეტილებებით, რომლებიც სულ უფრო ფართოდ ეყრდნობა ადამიანის უფლებათა შესახებ შეთანხმებებს, კერძოდ ბავშვის უფლებათა კონვენციაას და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული შეთანხმებების მაკონტროლებელი ორგანოების დოკუმენტებს.

---

„ბავშვებს ისეთივე სრულფასოვანი უფლებები აქვთ, როგორც უფროსებს. ფიჯიმ მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია. ჩვენი კონსტიტუციაც თითოეულ ადამიანს აძლევს ფუნდამენტური უფლებების გარანტიას. მთავრობას მოეთხოვება, რომ დაიცვას პრინციპები, რომლებიც გულისხმობს ყველა ადამიანის, საზოგადოების და ჯგუფის უფლებათა დაცვას. ბავშვებს თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ. ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებები მშვიდობისა და შემოქმედებითი

განვითარების სავანე უნდა იყოს და არა შიშის, ცუდი მოპყრობისა და მოსწავლეთა ადამიანური ღირსების შელახვის ადგილი.“

*ფიჯის სააპელაციო სასამართლო, 2002 წელი, ნაუშბადი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლის თანახმად ფიზიკური დასჯის გამოყენება სკოლებში და დასჯის სისტემა არაკონსტიტუციურია.*

## §4 ზოგადი მდგომარეობა და რეფორმის მიმართულებები საქართველოს ბავშვთა სააღმზრდელო და სამზრუნველო დაწესებულებებში

უახლოეს წარსულში მრავალრიცხოვანი ქართველი და უცხოელი ექსპერტები, რომლებიც საქართველოს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებს (შემდგომ ტექსტში – ბავშვთა სახლები) სწავლობდნენ, მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს არ ჰქონდათ დაკმაყოფილებული არც ერთი ზემოაღნიშნული მოთხოვნილება.

ბავშვები გაცილებით მეტ დროს ატარებენ მოზრდილების ყურადღების ქვეშ სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებში, პროფსასწავლებლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ვიდრე სადმე სხვაგან თავინთი სახლების გარეთ. მშობლების მსგავსად, მოზრდილები, რომლებიც ზედამხედველობენ, მართვენ და წარმოადგენენ ამ დაწესებულებების პერსონალს, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ იმგვარი უსაფრთხო და მზრუნველობით აღსავსე გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს და ეხმარება ბავშვების განათლებას და განვითარებას. ისინი აგრეთვე ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ, რათა ასეთმა აღმზრდელობითმა მუშაობამ ჩამოაყალიბოს ბავშვები პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებად, რომლებიც იხელმძღვანელებენ ისეთი ფასეულობებით, როგორიცაა ძალადობაზე უარის თქმა, სქესობრივი თანასწორობა, დისკრიმინაციასთან ბრძოლა, მიმტევებლობა და ურთიერთპატივისცემა. ეს ის ფასეულობებია, რომლებსაც ეთანხმებიან მთავრობები ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებისას.

საქართველოში ბოლო წლებში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სოციალური პროგრამა

– **ბავშვთა მშვილობელ ოჯახებში გადაცემისა და ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირების პროგრამა,** რომელიც საქართველოში რამდენიმე წელია მუშაობს .

– 2006 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების პროგრამის ჩამოყალიბება და მისი დანერგვის დაწყება. **შეიქმნა ბავშვთა კეთილდღეობისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამინისტროთაშორისი კომიტეტი.**

– შეიქმნა **ოჯახის ჩამნაცვლებელი და ოჯახის დამხმარე ორგანიზაციების ფუნქციონირების სტანდარტები.**

საქართველოს პარლამენტში 2006 წელს განსახილველად შევიდა რამდენიმე კანონპროექტი, რომელთა მიღება და ამოქმედება უშუალოდ აისახება ქვეყანაში ბავშვების კეთილდღეობის პირობებზე. მუშავდება სერვისის მიმწოდებელთა ლიცენზირების მექანიზმები.

თვითონ ბავშვთა სახლებშიც ხორციელდება სხვადასხვა სახის გარდაქმნები. ბოლო წლებში სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა. თითოეული ბავშვის შენახვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის საგრძნობლად გაზრდამ, პირველ რიგში, ბავშვთა შიმშილის პრობლემა გადაწყვიტა და სხვა აუცილებელი ხარჯების ნაწილობრივი დაფარვის საშუალებაც გააჩინა, რაც ბავშვების ჰიგიენურ, ჯანმრთელობის, ტანსაცმლით უზრუნველყოფის პირობებსაც დაეტყო.

განხორციელდა რადიკალური ცვლილებები: თითქმის ყველა ბავშვთა სახლში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, დაიხურა რამდენიმე ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულება, ხოლო რამდენიმე – გაერთიანდა. ბავშვები, რომლებიც სკოლა-ინტერნატების პირობებში ამ სააღმზრდელო დაწესებულებას მიკუთვნებულ სკოლებში სწავლობდნენ, **2005 წლიდან ჩვეულებრივ, საჯარო სკოლებში დადიან.**

საქართველოში თანდათანობით შეიქმნა ბავშვებისათვის **ალტერნატიული სერვისების განმახორციელებელი ორგანიზაციები.** ეს პროცესი ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს და ვერ აკმაყოფილებს ამჟამინდელ მოთხოვნებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არსებული

მოთხოვნები ბევრად ჩამორჩება მოთხოვნათა იმ მოსალოდნელ, რეალურ სიდიდეს, რომელიც აუცილებლად გაჩნდება ქვეყანაში, თუ მოსახლეობა ინფორმირებული იქნება ალტერნატიული სერვისების არსებობისა და მათი შესაძლებლობების შესახებ.

დღეს არსებული ბავშვთა სახლები, უმეტეს შემთხვევაში, **ოჯახების სოციალური შემწეობის წყაროს წარმოადგენს.** იქ განთავსებული ბავშვების დიდ უმრავლესობას ჰყავს ორივე ან ერთი მშობელი მაინც. ბევრი ბავშვი ბავშვთა სახლში მხოლოდ დღისით დადის, ხოლო ღამეს საკუთარ ოჯახში ატარებს, რადგან ამ ოჯახებს არ შესწევთ ძალა უზრუნველყონ შვილები საკვებით, ტანსაცმლით, სახელმძღვანელოებით, გათბობით. ნათელია, რომ ოჯახის ჩამნაცვლებელი და ოჯახის დამხმარე სერვისების განვითარებამ დიდი გავლენა უნდა მოახდინოს როგორც ბავშვთა სახლების, ასევე, მათ ბინადართა რაოდენობასა და მდგომარეობაზე.

პროექტი **„ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“** დამუშავდა სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის, იუნისეფის, ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ძირითადი მიზანი იყო რეკომენდაციების შემუშავება დღეს არსებული ბავშვთა სახლების ქსელის რაციონალური გარდაქმნისათვის. ბავშვთა სახლებში ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელმისაწვდომი ალტერნატიული სერვისები. ასეთი სერვისების ან მათი შექმნის პოტენციალის არსებობა მნიშვნელოვნად აადვილებს მრავალი გადაწყვეტილების მიღებას.

**UUNICEF-ის მხარდაჭერით სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის მიერ 2004 წელს** ჩატარებული ფართომასშტაბიანი გამოკვლევის მონაცემების მიხედვით სკოლა-ინტერნატებში განთავსებული ბავშვებისაგან მხოლოდ 2,7%-ია დედ-მამით ობოლი, ხოლო ბავშვთა სახლების კონტინგენტიდან – 6,6%. აღსაზრდელების უმრავლესობას ჰყავს ერთი მშობელი მაინც. კვლევის შე-დეგად დადგინდა, რომ მშობლებთან არანაირი კონტაქტი არა აქვს ბავშვების 8,2 %-ს. დანარჩენ ბავშვებს კი მშობლებთან კონტაქტი გარკვეული პერი-ოდულობით აქვთ. ეს მონაცემები საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ რეინტეგრაციის პროგრამის გაძლიერებასა და დღის ცენტრების გახსნაზე.

ბავშვების საგრძნობი რაოდენობა ოჯახში ცხოვრობს. ისინი დაწესებულების მომსახურებით მხოლოდ დღის განმავლობაში სარგებლობენ. განსაკუთრებით დიდია ასეთი ბავშვების რიცხვი სკოლა-ინტერნატებში – ბავშვების საერთო რაოდენობით 39,2%, ხოლო ბავშვთა სახლებში ასეთი ე.წ. „მოსიარულე ბავშვების" რიცხვი 8,1%-ს შეადგენს.

„მოსიარულე ბავშვების" ასეთი დიდი თანაფარდობა სავარაუდოდ განპირობებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორებით:

1. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები (სიღარიბე, ცუდი საცხოვრებელი პირობები). ეს მიზეზი დაასახელა გამოკითხულთა 31,3%-მა;
2. სხვა სასწავლო დაწესებულების სიშორით (სწავლის მიზნით დაწესებულებაში სიარული დაასახელა გამოკითხულთა 15%-მა)
3. ე.წ. "მკვდარი სულების" არსებობით;
4. დაწესებულების პროფილით (მუსიკალური, სპორტული, სანატორიული ტიპის).

"მოსიარულე ბავშვების" ასეთი დიდი რაოდენობა – თითქმის მესამედი – იძლევა იმის საფუძველს, რომ **მოხდეს ორიენტირება დღის ცენტრების ქსელის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე.**

ინსტიტუტებში ბავშვების განთავსების ძირითად მიზეზად გამოკითხულთა 31,3% ასახელებს მძიმე **სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს**. მაგრამ ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებში მომუშავე გამოცდილი პერსონალი ყოველთვის აღნიშნავს, რომ მხოლოდ მძიმე სოციალური პირობების გამო ბავშვი იშვიათად ხვდება ბავშვთა სახლში. სიდუხჭირეს თან ერთვის არაკეთილსაიმედო მდგომარეობა ოჯახში. ხოლო თუ ბავშვი მართლაც მხოლოდ სიღარიბის გამო მოხვდა ბავშვთა სახლში, მისი მშობლის ქცევა რადიკალურად განსხვავდება სხვა მშობლების ქცევისაგან. რეინტეგრაციის პროგრამის განხორციელებისას ყურადღების ფოკუსში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთი მშობელი ექცევა. მაღალი პროცენტი ხვდა წილად დაწესებულებაში სწავლის მიზნით სიარულს (15%). ამ მიზეზით ყველაზე მეტი ბავშვი სკოლა-ინტერნატებშია განთავსებული. ეს მოულოდნელი შედეგია. როგორც წესი, მშობლებს ბავშვები არ მიჰყავთ ინტერნატში მხოლოდ სასწავლებლად; გამონაკლისი მხოლოდ ის შემთხვევებია, როცა ბავშვის მშობელი ინტერნატში თვითონ მუშაობს.

ერთდროულად ორივე მიზეზით (მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სწავლის მიზნით) დაწესებულებაში განთავსებულ ბავშვთა ყველაზე დიდი წილი ასევე სკოლა-ინტერნატებზე მოდის.

მესამე ძირითადი მიზეზი, რომელსაც მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ხვდა წილად, არის ბავშვის ინვალიდობა (ფიზიკური ან გონებრივი – 11,4%) ან ავადმყოფობა (7,8%). ამ კატეგორიის ბავშვები ძირითადად სპეციალურ და სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებში არიან განთავსებულნი.

## §5 ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებების ტრადიციული კონცეფცია და მისი ალტერნატივა

ბავშვთა სახლებს თავისთავად ძალიან სევდიანი ისტორი აქვთა.

ადამიანებს, მათ შორის ბავშვებსაც, ბავშვთა სახლებში ათავსებდნენ ძირითადად სხვა პირთა ინტერესებიდან გამომდინარე. დაფუძნდა ჩვილ ბავშვთა სახლები ყველაზე პატარებისთვის, სპეციალური ინტერნატები ხანდაზმულთათვის, ფსიქიატრიული საავადმყოფოები და შეშლილთა თავშესაფრები ბავშვებისათვის და სხვადასხვა დარღვევების მქონე ადამიანებისათვის. მათ შეცვალეს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და მზურველთა სისტემები, რომლებიც ზრუნავდნენ უსახლკარო ბავშვებზე.

დაწესებულებების უმრავლესობას ენიჭებოდა უფლება გამოეყენებინა ფაქტიურად არაკონტროლირებადი ზომები თავიანთ კლიენტების მიმართ. მათვე გააჩნდათ საკუთარი შეზღუდვითი „კანონები", რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებებს.

ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებების დაუსაბუთებელი ფილოსოფია და კონცეფცია დღესაც იჩენს თავს ფსევდომეცნიერული ნიღბის ქვეშ. სამედიცინო მიდგომა კი გამოიხატება იმაში, რომ მთელი პერსონალი ატარებს თეთრ ხალათებს.

არსებობს უამრავი ბავშვი, რომლებიც მთელ ცხოვრებას ატარებს ამდაგვარ დაწესებულებებში, გადატვირთულ საძინებლებში. ისინი იშვიათად ტოვებენ დაწესებულებების ფარგლებს, არასდროს არ ჰყავთ გვერდით ახლობელი ადამიანი, არ გააჩნიათ პირადი ნივთები. ბევრი ბავშვი არც კი ოცნებობს უკეთეს ხვედრზე.

დიდ ბავშვთა სახლებში ბავშვებს ემუქრება ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებები, ფერხდება მათი კოგნიტიური და ემოციური განვითარება.

განვითარების საშუალებათა უკმარისობის, მათი ჯანმრთელობისათვის საშიში დამატებითი რისკის გამო ბევრი ბავშვი განწირულია სიცოცხლის ბოლომდე დარჩეს სოციალურად არშემდგარი ადამიანი. ისპობა მისი სიცოცხლისუნარიანობა.

ოჯახიდან ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებაში ბავშვის გადაყვანის აცილება უარყოფითად მოქმედებს მის ფსიქიკაზე.

ეს უკანასკნელი კი ბავშვთა სახლებში ბავშვის მოთავსების პროცესში უნდა გადაწყდეს მართვის სათანადო ეფექტური ზომების მიღების საშუალებით.

კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ პირველადი სოციალურ-პედაგოგიური რეაბილიტირების სისტემა, რომელიც განკუთვნილია ბავშვის ცხოვრების ექსტრემალური პერიოდისათვის; კერძოდ იმ კრიტიკული პერიოდისათვის, როცა ბავშვი გადაჰყავთ ასოციალური ოჯახიდან ბავშვთა სახლში.

ჩვენ მიერ შემუშავებული სისტემის პრაქტიკაში დანერგვამ დაამტკიცა დებულებათა მართებულობა.

<u>სიტუაციათა პირველი ჯგუფს</u> მიეკუთვნებაბავშვის წაყვანა ასოციალური ოჯახიდან. დაკვირვების შედეგებმა ცხადყო ბავშვთა დამოკიდებულება აღნიშნული სიტუაციისადმი: პასიური წინააღმდეგობა (25%); აქტიური წინააღმდეგობა (40%); გულგრილი დამოკიდებულება (14,3%); დადებითი დამოკიდებულება (20,7%).

სოციალური პედაგოგის საქმიანობა შემდეგი თანმიმდევრობით განისაზღვრა: ბავშვებზე პირველადი ინფორმაციის შეკრება, ოჯახის წევრებისადმი მისი დამოკიდებულების გამოვლენა, ბავშვის ფსიქოლოგიური წაყვანის სიტუაციისათვის მომზადება: სიტუაციის ემოციური მიღება და ნდობის მოპოვება, რაც შეანელებს ბავშვის შიშს და შინაგან დაძაბულობას სახლიდან წაყვანის მომენტში.

<u>სიტუაციათა მეორე ჯგუფის ანალიზი</u> – პირველადი ფსიქოპედაგოგიური დახმარების აღმოჩენა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ

ექსპერიმენტული ჯგუფის ბავშვებს გააჩნდათ ფსიქოტრავმული სიტუაციების შედეგად წარმოშობილი და რიგ შემთხვევაში სახლიდან წაყვანის მომენტში გაძლიერებული სხვადასხვა აზრობრივი და ემოციური ბარიერები. ამ ბავშვებს ესაჭიროებოდათ სპეციალისტთა კომპლექსური მაღალკვალიფიცირებული დახმარება. სოციალურ-პედაგოგიური თანხლების შინაარსს ამ ეტაპზე წარმოადგენდა: საშუამავლო დახმარება ბავშვსა და სპეციალისტს შორის კონტაქტის დასამყარებლად, ბავშვზე ინფორმაციის შემდგომი შეგროვება და მისი უტყუარობის შემოწმება, გამოვლენილ პრობლემებზე მსჯელობასა და ბავშვთა სახლის პირობებში პირველადი რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებების და ფორმების განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობა.

<u>სიტუაციათა მესამე ჯგუფი</u> – ბავშვის ბავშვთა სახლის გარემოში შესვლა. ეს ჯგუფი წარმოადგენდა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეპირობებული ღონისძიებების კომპლექსს სარეაბილიტაციო დახმარების მიმართულებებით. (სოციალურ-პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო): რეაბილიტაციის ამ ეტაპზე ბავშვის გამოვლინებათა ფართო სპექტრისა და მისი ოჯახთან დამოკიდებულების გათვალისწინებით. გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ოჯახში დაბრუნების სურვილი – 22,7%, მშობლებთან ყოფნის სურვილი ოჯახში დადებითი ცვლილებების შემთხვევაში – 50%, წყენა, ოჯახზე ფიქრის და ლაპარაკის სურვილის უქონლობა. 15,3%, შიში და ოჯახში დაბრუნების სურვილის უქონლობა – 11,3%. ექსპერიმენტის მონაცემები საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სოციალურ-პედაგოგიური თანხლების ამოცანები: მუშაობა ყოფილ ოჯახთან და ნათესავებთან, შუამავლური დახმარება მათთან კავშირების შესანარჩუნებლად, ოჯახში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების უკეთესობისაკენ შეძლებისდაგვარად შეცვლის ცდები, ბავშვისათვის ბავშვთა სახლში ურთიერთობების დარეგულირება. ამ მიზნით ხდებოდა ბავშვის სახლის სიტუაციასთან შეგუებაზე პასუხისმგებელი პირის სპეციალური მომზადება, რომელიც გულისხმობდა ბავშვზე ანამნესტური მონაცემების და ბავშვის გარემოსა და ოჯახური პირობების შესწავლას.

<u>სიტუაციათა მეოთხე ჯგუფი</u> ბავშვის ჩართვა სახლის გარემოში სოციალური პედაგოგის საქმიანობა უნდა გაიშალოს რამდენიმე

მიმართულებით. სოციალური პედაგოგის მუშაობის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია: ურთიერთობა ბავშვთა სახლის სპეციალისტებთან, ანუ ბავშვის თანმხლებ ჯგუფთან, ბავშვის ჩართვა სახლის ყოველდღიურ ყოფაში; ბავშვის ჩართვა სასწავლო საქმიანობაში და საქმიანობის სხვა ფორმები მისი არჩევანის საფუძველზე.

UNICEF-ის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სახალხო კავშირის მიერ რიგაში (02.02.1994) ორგანიზებულმა სემინარმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ერთხმად მიიღო რიგის დეკლარაცია „ბავშვთა ინტერნატის ტიპის დაწესებულებაში მოთავსების ალერნატივები".

სემინარის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინტერნატებში მყოფ ბავშვთა პრობლემების განხილვა და იმ „ალტერნატიული ვარიანტების" ძიება, „რომელიც ყველაზე ახლო იქნება ოჯახში ცხოვრებასთან".

ბავშვის ოჯახთან წაყვანა – უკანასკნელი და კრიტიკული ნაბიჯია მისი ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებაში მოთავსების საკითხის გადაწყვეტის პროცესში.

მშობლების მიერ ბავშვზე უარის თქმის მოტივების განხილვისას (თუ ბავშვი იზოლირებულია ოჯახისაგან) სოციალურმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ პრიორიტეტული გადაწყვეტილებები შემდეგი თანმიმდევრობით:

– ძალისხმევა ოჯახის გასაერთიანებლად;

– მზრუნველთა ყურადღება;

– ბავშვის მოთავსება ნათესავთა ოჯახში;

– გაშვილება დაბადების ქვეყნის ფარგლებში;

– საერთაშორისო გაშვილება;

– ბავშვის ოჯახის ტიპის ბავშვთა სახლში მოთავსება, როგორც დროებითი გადაწყვეტილება. (47)

**ძალისხმევა ოჯახის გასაერთიანებლად.** ბავშვთა ბედის ყველაზე ჰუმანურ გადაწყვეტას წარმოადგენს **ძალისხმევა ოჯახის გასაერთიანებლად.**

უმეტეს შემთხვევაში ოჯახის გაერთიანების პროცესი მოითხოვს დროს სოციალური დაწესებულებებისაგან და ბავშვის, მშობლების სწორ

მომზადებას. მათ უნდა განსაზღვრონ მხარდაჭერის ზომები, მაგალითად: ფსიქოლოგიური და მატერიალური მხარდაჭერა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ოჯახური თერაპია და მხარდაჭერა ოჯახის აღდგენის შემდეგ. ოჯახის გაერთიანების პროცესი შესაძლებელი იქნება მხოლოდ სათანადო მეთოდოლოგიის განვითარების შემდეგ. ამ მეთოდოლოგიაში შედის სწავლება, ინფორმაციის მუდმივი გაცვლა პროცესში ჩართულ სოციალურ მუშაკთა შორის (ექიმებს, სოციალურ მუშაკთა, ბავშვთა აღმზრდელტა, ფსიქოლოგთა და სხვ. შორის).

**მზურნველთა მუშაობა.** 1. მზრუნველობა გულისხმობს ბავშვის დროებით მოთავსებას მზრუნველებთან, რომლებიც არ არიან მისი ბიოლოგიური მშობლები. მეურვედ უპირატესად ინიშნება ბავშვის ნათესავი. მიუხედავად იმისა, რომ მეურვეობის სისტემა დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და სულ უფრო ვითარდება, არის ეკონომიური სირთულეები რაც შეიძლება მეურვეობის სისტემის განვითარების სერიოზულ დაბრკოლებად იქცეს. ეს სისტემა სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ბავშვს უქმნის ოჯახურ ატმოსფეროს.

2. ბავშვის გაფართოებულ არანათესაურ ოჯახში მოთავსება დაკავშირებულია ოჯახური მზრუნველობის სხვადასხვა ფორმებთან; გასათვალისწინებელია ბავშვის ეთნიკური, ეკონომიკური, კულტურული წარსული, მისი წარმოშობა. მზრუნველთა ოჯახები საგულდაგულოდ უნდა აირჩიონ კომპეტენტურმა სპეციალისტებმა, შეამოწმონ ბავშვის აღზრდისათვის საჭირო შესაძლებლობნი. მზრუნველები და მათი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ ბავშვის მიღებისთვის ადეკვატურად მომზადებულნი, ამიტომ საჭიროა ჩატარდეს მომავალ მზრუნველთა სათანადო სწავლება.

**გაშვილება ბავშვის დაბადების ქვეყნის ფარგლებში.** გაშვილება გულისხმობს მშობლის უფლებების და მოვალეობების მუდმივ გადატანას მშობელ-მეურვეზე. გაშვილება არც ისე გავრცელებულია, მაგრამ ბოლო ხანს ინტერესი მისდამი საგრძნობლად გაიზარდა. (47)

**საერთაშორისო გაშვილება.** საერთაშორისო გაშვილება გულისხმობს სერიოზულ და კრიტიკულ ცვლილებებს ბავშვის კულტურულ, სოციალურ და ხშირად ეკონომიკურ გარემოში. ამ შემთხვევაში, ძნელია განისაზღვროს, გაშვილების გადაწყვეტილება მიღებული იყო ბავშვის თუ სხვა ადამიანის ან

ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით. ცხოვრების უფრო დაბალი დონის მქონე ქვეყნიდან გაშვილების პროცესის განხორციელებისას („საზღვრებს მიღმა") არსებობს ფინანსური გარიგებების ან გარკვეულ დროში ეკონომიკური ან სხვა სარგებლობის მიღების წინაპირობები. უფრო მეტიც, პოტენციურ მშობელთა წინასწარი შერჩევა და შემოწმება, ბავშვის უფლებათა და ინტერესთა დაცვა გაშვილების შემდეგ მოითხოვს საიმედო და კანონიერი აღმასრულებელი სისტემის არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო გაშვილება სულ უფრო ვრცელდება: იგი არ უნდა იქცეს ბავშვთა უმრავლესობის ბედის გადაწყვეტის საშუალებად. პირიქით, იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც გადაწყვეტილების უკიდურესი ვარიანტი, რომელსაც სჭირდება დასაბუთება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო გაშვილება უნდა ხორციელდებოდეს ეროვნული გაშვილებისთვის დამუშავებული პროცედურის მიხედვით. უნდა დამუშავდეს დამატებითი ზომები საერთაშორისო დონეზე გაშვილების პროცესის შესრულების ეფექტური კონტროლის ჩასატარებლად.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ალტერნატიური მეთოდების სისტემა არ იწვევს არსებული ბავშვთა სახლების დახურვას. ბავშვთა სახლების გარდა სხვა ალტერნატიული წინადადებების არარსებობა ბევრ ბავშვს ქუჩაში აღმოაჩენს. ბავშვთა სახლების ბავშვის მოთავსების ერთ-ერთი მიზეზი თავად ამ დაწესებულებათა არსებობაა. დაწესებულება გამოიყენება პრობლემის ასე თუ ისე დროებით გადასაწყვეტად, თუმცა, ეს გადაწყვეტილება ხშირად საბოლოოა.

აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ: ტრადიციული დაწესებულებები არ უნდა დაიხუროს. პირიქით, უნდა მოხდეს მათი რეკონსტრუქცია, რომ ვიქტიმურმა ბავშვებმა შეძლონ მათ კედლებში სიცოცხლისუნარიანობის მოპოვება.

2000 წლის 22-24 ოქტომბერს ბუდაპეშტში (უნგრეთი) UNICEF-მა ჩაატარა რეგიონალური კონფერენცია თემაზე „მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები: უფლებები და რეალობა".

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 26 ქვეყნის 200 დელეგატმა. მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლობამ.

კონფერენციის მიზანი იყო ბავშვების ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებებში მოთავსების პრობლემათა გადაწყვეტის ძიება; ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფ ბავშვთა პრობლემების ეფექტურად გადაჭრის გზების განსაზღვრა.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1. როგორ დავეხმაროთ ოჯახებს, რათა თავიდან აიცილონ ბავშვის მოთავსება ბავშვთა სახლების ტიპის დაწესებულებაში.

2. როგორ შევცვალოთ სახელმწიფო მზრუნველობის სისტემა, რათა აქცენტი გადავიტანოთ ალტერნატიულ ვარიანტთა (ბავშვზე ზრუნვა ოჯახურ საფუძველზე) სასარგებლოდ.

კონფერენციის მონაწილეები გულახდილად ყვებოდნენ საკუთარ მარცხსა და შეცდომებზე, მომავალში გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბურობაზე.

სამუშაო ჯგუფში, რომელიც ამუშავებდა თემას „გადაწყვეტილებების მიღება მშობლებდაკარგულ ბავშვებზე" მონაწილეოდბა ამ დისერტაციის ავტორიც.

ჯგუფის წევრები მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: საჭიროა შეიქმნას პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების ბავშვთა სახლებში მოთავსების შემთხვევათა რაოდენობის შემცირებას; იმ ბავშვებთან, რომელთაც სჭირდებათ სპეციალური დაცვა, პოლიტიკა უნდა განისაზღვროს მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ჩარჩოებში, ყველა ბავშვის უფლებების ერთობლიობის გათვალისწინებით.

– ძირითად მუშაკთა ფუნქციათა განსაზღვრის და დადასტურების მიზნით, აუცილებელია რეგულარულად ჩატარდეს მუშაკთა პროფესიული დონის განხილვა-შემოწმება.

– საჭიროა ძირითადად მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება მათთვის ინფორმაციის და სათანადო პუბლიკაციების მიწოდების გზით.

- უნდა მოხდეს სპეციალისტთა შორის გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარების უზრუნველყოფა.
- გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ ბავშვების მოთხოვნილებებით და არა ფინანსური ხასიათის მოსაზრებებით.
- უნდა გააცნობიეროს ყველა მოქალაქემ, რომ ბავშვის მშობელთა მზრუნველობას მოწყვეტა, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს გადაწყვეტილების ინიციატორს.
- გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე უნდა დაწესდეს მონიტორინგი.
- საჭიროა შეიქმნას კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის ოჯახიდან ამა თუ იმ დაწესებულებაში გადაცემის პერიოდულ ანალიზს და გადაწყვეტილების გადახედვას.
- შეძლებისდაგვარად უნდა დავუჭიროთ მხარი და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებს შევუნარჩუნოთ ურთიერთობა თავის ოჯახებთან. მაგალითად, ხელი შევუწყოთ ბავშვის მოთავსებას მისი თემის მახლობლად განლაგებულ დაწებულებაში; წავახალისოთ ბავშვის ურთიერთობა გაფართოებულ ოჯახთან; უზრუნველვყოთ ბავშვების და მათი ოჯახების წევრთა შეხვედრები.
- აუცილებელია იმ კანონების შესრულების უზრუნველყოფა, რომელიც სასამართლო მოსმენებზე დასწრების გარანტიას აძლევს ბავშვს.
- საჭიროა ბავშვის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების პროცესში.
- აუცილებელია ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის პრობლემის შესახებ ინფორმირების უზრუნველყოფა.
- საჭიროა ჩატარდეს განმარტებითი კამპანიები, ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობისა და ძალადობის შემცირების მიზნით.

<u>აღმზრდელობით ორგანიზაციას</u> შეუძლია მოუწყოს ბავშვს ყოფითი პირობები, არსებობის სხვადასხვა სფეროები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული ადამიანის, ჯგუფის, კოლექტივის მოთხოვნათა

დაკმაყოფილებას უფრო ფართო სოციალური გარემოსა და მთელი საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ალმზრდელობითი ორგანიზაციის ცხოველქმედება იქცევა ადამიანის განვითარების პირობად, ვინაიდან ის, როგორც აღმზრდელობით ორგანიზაციაში წარმოდგენილი ცხოველმოქმედობის სხვადასხვა ფორმათა სუბიექტი, ისწრაფვის თავისი აქტიურობის რეალიზებას.

აღმზრდელობითი ორგანიზაციის ცხოველქმედითობის შინაარსი მოიცავს: ურთიერთობას, გარე სამყაროს შეცნობას, საგნობრივ-პრაქტიკულ საქმიანობას, სულიერ-პრაქტიკულ საქმიანობას (სულიერ და სოციალურ ფასეულობათა გამოყენება), სპორტს, როგორც ფუნქციონალურ-ორგანულ აქტივობას, თამაშებს, რომელიც პირობით სიტუაციებში ახდენს აქტივობის რეალიზების თავისულ იმპროვიზირებას.(112)

ცნობილია, რომ მოზარდის განვითარება განისაზღვრება იმით, რამდენად ხელსაყრელი მისი ცხოველმოქმედობის სხვადასხვა სფეროში რეალიზების პირობები, რამდენად მზადაა მისი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები სოციუმში შესვლისათვის: სიმტკიცე, სიცოცხლის აზრის რწმენა, საკუთარი ცხოვრების შენებისათვის მზადყოფნა და აქტიურობა.

# III თავი

# ქუჩის ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების კვლევა და რეკომენდაციები

## §1 – განათლება, როგორც ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირების საშუალება

"ბავშვის უფლებების კონვენცია" დიდ ყურადღებას უთმობს განათლებას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად თვლის ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირებაში. ქუჩის ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები არიან, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი ფორმალურ განათლებაზე, ელემენტარულ მომსახურებაზე ან ოჯახურ

სითბოსა და მხარდაჭერაზე. ისინი არაპრივილეგირებული ბავშვები არიან და მცირედი შანსები გააჩნიათ იმისათვის, რომ კარგი მომავალი ჰქონდეთ.

ქუჩის ბავშვები, როგორც წესი, ტრავმირებულნი არიან. მათ აქვთ მძიმე წარსული გამოცდილება. ამავე დროს, რაკი მათ აკლიათ თავიანთი ასაკის შესაფერისი განათლება, რომელსაც მათივე თანატოლები იღებენ საჯარო სკოლაში. ასეთ სკოლებში მოხვედრა ამ ბავშვებისათვის ხელახალი სტრესის მიზეზი ხდება.

სკოლა მზად არ არის ქუჩიდან მოსული ბავშვების მისაღებად. დამხვდური ბავშვები აგრესიულად არიან განწყობილი, მაგრამ, რაც უფრო საგანგაშოა, პედაგოგებსაც უჭირთ ამ ბავშვებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა. სკოლის მასწავლებლებმა  უმეტეს შემთხვევაში არ იციან ის მიდგომები, რომლებიც ასეთ ბავშვებს სჭირდებათ.  რა თქმა უნდა, არიან პედაგოგები, რომლებიც  გულისხმიერად ეპყრობიან ამ ბავშვებს და ცდილობენ გაუადვილონ  მათ მდგომარეობა, მაგრამ საერთო აგრესიულ ფონთან გამკლავება მათ არ ძალუძთ. აგრესიულია ამ ბავშვების მიმართ დამხვდურ ბავშვთა მშობლების დიდი ნაწილიც.

სოციალურად დაუცველ ბავშვების ამ კატეგორიის საჯარო სკოლების სასწავლო პროცესში ჩართვა საბოლოო ჯამში ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის სწორი მიმართულებაა, მაგრამ, ამასთან ერთად, კატეგორიულად უნდა მოხდეს სკოლების წინასწარ მომზადება. ქუჩის ბავშვები არიან ტრავმირებული, სოციალურ კონტაქტებს და ურთიერთობებს მოკლებულნი. აქ ტიპიურია ე.წ. „სოციალური უნარშეზღუდულობის" ფენომენი, რაც მათი აღზრდის დეფიციტით არის განპირობებული. ასეთი ბავშვების მისაღებად სკოლა ზედმიწევნით უნდა იყოს მომზადებული. ჩვენი აზრით, ქუჩის ბავშვთა ჩვეულებრივ სასკოლო სისტემაში ჩართვის მიდგომები და გზები უნდა იყოს ინკლუზიური განათლების მიდგომებისა და გზების ანალოგიური. როგორც უნარშეზღუდული ბავშვის ინკლუზია მოითხოვს პედაგოგის, ჯანმრთელი ბავშვებისა და მათი მშობლების წინასწარ მომზადებას, ასეთივე წინასწარი მომზადებაა ჩასატარებელი სკოლებში ქუჩის ბავშვების მისაღებად. თავის მხრივ, ქუჩის ბავშვთა მზრუნველობა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რამელშიც დიდი წილი სკოლისათვის მზაობას უნდა დაეთმოს.

სარეაბილიტაციო ცენტრები და სხვა მსგავსი ინსტიტუციები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვზე ორეინტირებული, თბილი და მეგობრული ისეთი

პირობების შექმნას, რომ ბავშვებმა შესძლონ სასწავლო მოთხოვნების დაძლევა.

სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სკოლებში ბავშვებს უნდა დახვდეთ ისეთი პადაგოგ/მასწავლებლები, რომ მათ შესწევდეთ უნარი შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ბავშვებს ყველა საჭიროების გადაჭრასა და სწავლებაში. ასეთ ვითარებაში უზომოდ დიდია სოციალური პედაგოგების მნიშვნელობა ქუჩის ბავშვების სოციალური რეაბილიტაციის, მათში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და სკოლისათვის მომზადების საქმეში.

## §2 სოციალურ პედაგოგთა მიზანი, ამოცანები, პრინციპები და პროფესიოგრამა

სოციალური მუშაობის ისტორიულ სათავეს „დახმარება", „ზრუნვა", „ხელის შეწყობა" ქმნის. სოციალურ პედაგოგიკა კი თავის შინაარსში სოციალური მუშაობის აღზრდა-განათლების ასპექტში განხილვას გულისხმობს.

სოციალური პედაგოგის მიზანია მოზარდ თაობაზე გავლენის მოხდენა, მათი ცხოვრების ორგანიზება, რათა შეეძლოთ თვითგანვითარება, ღირსეულად ცხოვრება. სწორედ, სოციალურმა პედაგოგმა უნდა გამოუმუშაოს მოზარდებს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები. ვიქტიმურ ბავშვებთან მიმართებაში გამოიყენება, აგრეთვე, ტერმინები "სპეციალური პედაგოგი" და "სოციალური მუშაკი".

***სპეციალური პედაგოგი*** მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლებაზე და მათ ჩართულობზე სასწავლო პროცესში. ***სოციალური მუშაკი*** სწავლობს და იკვლევს ვიქტიმური და სოციალურად დაუცველი ბავშვების, მათი ოჯახის პირობებს და მდგომარეობებს, ადგენს იმ ეკონომიკურ თუ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც ოჯახებს ხშირად დისფუნქციურს ხდის. სოციალური მუშაკის ფუნქცია არის დაეხმაროს ოჯახს სოციალურ რეაბილიტაციაში. სპეციალური პედაგოგისა და სოციალური მუშაკისაგან განსხვავებით ***სოციალური პედაგოგის მთავარ მიზანს*** წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვა გარკვეულ კონკრეტულ გარემოში, მათი სოციალური საჭიროებების განსაზღვრა და ინდივიდუალური მოთხოვნების

გათვალისწინებით ისეთი კომპლექსური მიდგომების შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას, განათლებას, სოციალური ფაქტორების შესწავლას და უნარ-ჩვევების განვითარებას. სოციალური პედაგოგიკა ჰარმონიული სინთეზია, რომელშიც გარკვეული დოზით შესულია სპეციალური პედაგოგისა და სოციალური მუშაკის მიზნები და ფუნქციები.

სოციალური პედაგოგი პასუხობს ბავშვის საჭიროებების ფართო სპექტრს, რომელშიც სოციალური და ფიზიკური საჭიროებებიც შედის. ეს არ არის მხოლოდ სწავლება. ეს არის სოციალური ფაქტორებისა და საჭიროებების გათვალისწინება ბავშვის აღზრდის პროცესში, რომელშიც სწავლება თავისთავად შედის, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი.

სოციალური პედაგოგიკა მიზნად ისახავს ბავშვის ბედნიერებაზე ზრუნვას და მასთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებას. სოციალურ პედაგოგს შემოაქვს თავისი პერსონალური მიდგომები, ცოდნა და გამოცდილება ბავშვებთან მუშაობის პროცესში. ეს პროცესი კი არის ორმხრივი და თანამშრომლობითი. ბავშვი თავისი მრავალმხრივი პრობლემებით მიანიშნებს პედაგოგს ამ პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა საშუალებებზე, რომელიც ეხმარება პედაგოგს პროფესიულ სრულყოფაში.

ჩვენი კვლევა სოციალური პედაგოგის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მოზარდების სოციალურ-პედაგოგიურ დახმარებას მიიჩნევს ცხოვრებეული მიზნებისა და გეგმების შემუშავებაში; მოზარდთა დახმარებას საკუთარი ნიჭის, სოციალურ შესაძლებლობათა და პერსპექტივათაა გაცნობიერებაში; სოციალურმა პედაგოგმა მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაძლებელი ცხოვრებისეული სიძნელეების პროგნოზირებაში; მან უნდა შეძლოს აღსაზრდელთა არჩეული მიზნისათვის შეუპოვარი სწრაფვისკენ მოწოდება; გამოუმუშაოს მოზარდებს ცხოვრებისეული მიზანსწრაფვა სათაყვანო ადამიანთა ცხოვრებისეული მაგალითის ზემოქმედებით; მოაწყოს დისკუსიები სიცოცხლის მიზანსა და აზრზე; წინააღმდეგობა გაუწიოს პესიმისტურ განწყობილებებს და აღზარდოს მოზარდებში სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა.

სოციალური პედაგოგის მუშაობის ძირითადი პრინციპებია:

-სტილი;

-პროფესიული კომპეტენტურობა და პროფესიული სრულყოფილება;

-მოტივაცია/პატიოსნება;

-სამსახური და პირდაპირი მოვალეობები;

-სწავლა და კვლევითი მუშაობა;

-ეთიკური ვალდებულებები თავისი ბენეფიციარების – ბავშვებისა და მშობლების მიმართ.

სოცილურ პედაგოგიკაში დიდი ადგილი ეთმობა "სოციალურ მუშაკთა და სოციალურ პედაგოგთა" მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვას. ამ პრობლემაზე მუშაობენ: ვ.გ. ბოჩაროვა, გ.ნ. ფილონოვი, ს.ა. ბელიჩევა, ბ.ზ. ვულფოვი, იარკინა და სხვ.

1994წ. გამოვიდა წიგნი სოციალური მუშაკისა და სოციალური პედაგოგისათვის „სოციალური მუშაობის თეორია თვითგამორკვევის, განათლების და პრაქტიკისკენ მიმავალ გზაზე". მათ გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალური პედაგოგის პროფესიოგრამის შედგენას.

ამ მასალების შესწავლის შედეგად და სკოლის მასწავლებლის არსებულ პროფესიოგრამაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ სოციალური პედაგოგის პროფესიოგრამის საკუთარი ვარიანტი.

<u>სოციალური პედაგოგის პროფესიოგრამა</u>

– სიყვარული ბავშვებისადმი;

– ღრმა პროფესიული ცოდნა და სიყვარული პროფესიისადმი (გატაცება, შემოქმედებითი ნიჭი);

– ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მომზადების მაღალი დონე, ზოგადი და პედაგოგიური კულტურა, ერუდიცია;

– სამეტყველო მონაცემები (მეტყველების ტექნიკა, მეტყველების კულტურა);

– ორგანიზაციული ნიჭი;

– პედაგოგიური ურთიერთობის კულტურა, პედაგოგიური ტაქტი;

– პერცეპტიული ნიჭი ანუ ბავშვის შინაგან სამყაროში შეღწევის და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის დანახვის უნარი;

– სუგესტიული ნიჭი (ნებისყოფა, ჩაგონების სხვადასხვა სახის გამოყენების უნარი);

– იუმორის გრძნობა;

– მოზარდის პიროვნების პროექტირების უანრი, მოზარდის რწმენა, მისი პოტენციური შესაძლებლობის რწმენა;

– პროფესიული გამჭირიახობა, დაკვირვებულობა.

## §3 საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრები

კვლევა 2006 წელს დაიწყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქში – თბილისში, რუსთავში, ჭიათურასა და გორში მოქმედ ღია ტიპის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში. მასში ჩართული იყო, აგრეთვე, თბილისის №44-ე საჯარო სკოლა, როგორც ექსპერიმენტის მონაწილე.

კვლევის დაწყებამდე, ამ ცენტრების მუშაობა, მიუხედავად მომუშავე პედეგოგთა და სხვა სპეციალისტთა სიმრავლისა, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბავშვთა ჯანმრთელობის და კვების საკითხების მოგვარებით. თავისი საქმიანობით, ეს ინსტიტუციები უფრო თავშესაფარს[3] წააგავდა.

კვლევამ დააყენა ცენტრების წინაშე საკითხი, რომ განათლება შეეტანათ მუშაობის სტრატეგიაში, როგორც ბავშვის ერთ-ერთი ძირითადი უფლება და სოციალური ინტეგრაციისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება. განათლების კომპონენტის შეტანით მოხდა ამ დაწესებულებების ფუნქციების შინაარსობრივი და სტრუქტურული გადასინჯვა. შესაბამისად ამ დაწესებულებებმა, გარდა პირველადი სოციალური დახმარების ფუნქციებისა, შეიძინა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ფუნქცია. კვლევის შედეგებმა შესაძლებელი გახადა ამ დაწესებულებებს პირობითად დარქმეოდათ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრები (სსც).

---

[3] კვლევის კონტექსტში თავშესაფარში მოიაზრება დროებითი ადგილსამყოფელი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი სოციალური დახმარების (ჯანდაცვა, კვება, ღამის გათენება) აღმოჩენას

ქუჩის ბავშვების საჯარო სკოლაში ჩარიცხვის მთავარი პრობლემა არის მათი კლასებში გადანაწილების დაუდგენელი კრიტერიუმები. როგორ უნდა გადანაწილდნენ ბავშვები კლასებში - ასაკობრივი ნიშნისა თუ შესაძლებლობებისა და განვითარების დონის მიხედვით? როგორც წესი, ამ პროცესში მთავარი პრიორიტეტი ეძლევა ბავშვთა განვითარების დონეს. ასეთი მიდგომა ზოგჯერ ქმნის არაადეკვატურ სასწავლო ვითარებას, მაგალითად, როცა მოზრდილი ასაკის ბავშვები ხვდებიან მათზე ბევრად უმცროსი ასაკის ბავშვების გვერდით ერთ კლასში. კვლევის პერიოდში იყო შემთხვევები, როცა ცენტრში ბავშვის ტესტირების შედეგებისა და სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ხდებოდა 14 წლის მოზარდის ჩასმა მე-5, მე-6 ან მე-7 კლასში (და არა ბავშვის ასაკის მიხედვით).

**ჩვენი აზრით, საჯარო სკოლებში ბავშვების განაწილების მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს მათი ასაკობრივი შეთავსებადობა დანარჩენ მოსწავლეებთან, ხოლო სსც-ში, საჯარო სკოლებისაგან განსხვავებით, ბენეფიციარები ნაწილდებიან სასწავლო ჯგუფებში (დონეებში) თავიანთი განვითარების მიხედვით, ასაკის გაუთვალისწინებლად.** აქ იკვეთება სსც-ს მთავარი მიზანი, რომ გამოავლინოს და ამოავსოს ხარვეზები ბავშვების განვითარებაში, შეძლებისდაგვარად შესძინოს მათ თავიანთი ასაკის შესაფერისი განათლება, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ბავშვების საჯარო სკოლებში ინტეგრირება უკვე ასაკის მიხედვით. ამ მიზნის მიღწევა დიდად არის დამოკიდებული ბავშვის ასაკზე: ბავშვის განვითარების რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ინტერვენცია, მით უფრომ ადვილად მისაღწევი ხდება მთავარი მიზანი: ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირება და სკოლისათვის მზაობა.

ბევრად რთულდება მიზნის მიღწევა, როცა ბავშვის განათლება დიდად ჩამორჩება მის ასაკს. პრაქტიკულად შეუძლებელია ასეთი მოზარდების მომზადება სკოლაში სრულყოფილი ინტეგრაციისათვის. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოდის მათი პროფესიული მომზადების საკითხი. თუმცა აქ სხვა პრობლემა იჩენს თავს. უფროსი ასაკის ქუჩის ბავშვებს, რომლებსაც არასდროს უსწავლიათ სკოლაში და, რომლებიც დაგვიანებით მოხვდნენ სსც-ს მზრუნველობის არეალში, გაუჭირდებათ საჯარო სკოლის ატესტატის აღება. ამ საბუთის გარეშე კი პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღება შეუძლებელია.

ჩვენი ღრმა რწმენით, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს განათლების სისტემა ***ვერ უზრუნველყოფს უფასო ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის (ამ შემთხვევაში, ქუჩის ბავშვებისათვის),*** კანონში ჩადებული უნდა იქნეს ისეთი ბერკეტები, რომლებიც სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენილ ვიქტიმურ მოზარდებს გაუხსნის გზას პროფესიული და ტექნიკური განათლებისკენ.

კვლევის თანახმად, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში მისაღებ ბავშვებს არჩევენ მრავალდარგობრივი სპეციალისტების ინტერდისციპლინარული გუნდები, რომლებშიც შედიან: მასწავლებლები (5-6), სოციალური მუშაკები (6-7), 1 ექიმი, პროექტის დირექტორი და მენეჯერი. ცენტრები ემსახურება 6 – 17 წლის ბავშვებს, რომელთა რაოდენობა ერთი თვის განმავლობაში მერყეობს, დაახლოებით, 25-იდან 50-მდე. ბავშვთა კონტიგენტი პერიოდულობით იცვლება ბავშვთა დინებასთან დაკავშირებით, თუმცა უმრავლესობა იმავე შემადგენლობით რჩება და აქვს საშუალება რეაბილიტაციის სრული კურსი გაიაროს. ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვებს ცენტრებში მოჰყავთ თავიანთი თანატოლი მეგობრები, ძმები და დები, ხშირად მშობლებიც (კვლევის შედეგით ასეთი შემთხვევები 45%-მდე მერყეობს).

ცენტრებში ბავშვთა და მოზარდთა დასწრება ნებაყოფილობით საწყისებზეა. მოქმედებს **მოსვლისა და წასვლის თავისუფალი რეჟიმი**. პედაგოგის კუნსულტაციით ბავშვი ირჩევს მისთვის სასურველ და საჭირო სასწავლო აქტივობებს. თუმცა მას კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებული, პატივი სცეს თავის არჩევანს და შეასრულოს მის მიერ ნაკისრი სასწავლო ვალდებულებები, რაც მისი პირველი ნაბიჯებია იმისკენ, რომ გაიაზროს თავისი, **როგორც უფლებები, ასევე ვალდებულებები**. ეს ერთ-ერთი ყველაზე განმასხვავებელი ნიშანია ამ ცენტრებისა სხვა ინსტიტუციონალური ტიპის დაწესებულებიდან.

**ცენტრები დღის ღია ტიპისაა** და ბავშვების მოსვლა და ინტეგრირება ბავშვების გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება, თუმცა სპეციალისტების მონაწილეობა ბავშვების მოზიდვის, ადაპტაციისა და რეაბილიტაციის საქმეში უზომოდ დიდია. ახალად მოსულ ბავშვებს მოსწონთ ცენტრების უშუალო და მეგობრული გარემო, რომელიც სავსეა მოფუსფუსე, კეთილგანწყობილი

და ყურადღებიანი უფროსებით. მათ უპირველეს მიზანს შეადგენს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების დადგენა და ბავშვზე ორიენტირებული რეაბილიტაციის, განათლებისა და განვითარების გეგმის შემუშავება, შემდეგ კი ამ გეგმის რეალიზაცია ცენტრებში მომუშავე სპეციალიტთა მრავალდისციპლინარული გუნდის მიერ.

**ყველაზე დაუცველებისათვის ცენტრები განაგრძობენ ღამის ცვლაში მუშაობას,** ე.ი. საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს შეუძლიათ ცენტრებში ღამის გათენება.

ყველა ბავშვი უზრუნველყოფილია  სახელმძღვანელოებით, და სხვა სასწავლო ინვენტარით. განათლების მიღება უფასოა. ცენტრები განათლების ეროვნული სასწავლო გეგმას მიჰყვებიან, მაგრამ, რადგანაც შემოსული ბავშვების უმრავლესობა (98%) წერა-კითხვის უცოდინარია, ცენტრებში კვლევის ფარგლებში დაინერგა ადაპტირებული სასწავლო პროგრამა.

ეს პროგრამა მასწავლებლებს აძლევთ საშუალებას, **ტრადიციულის პარალელურად,** გამოიყენონ სწავლებისა და სწავლის **სხვადასხვაგვარი** ფორმები, მათ შორის,  ინტერაქტიული მეთოდებიც, სადაც სჭარბობს ბავშვთა ინდივიდულაურ საჭიროებებზე აგებული პედაგოგიური მიდგომები, როლური და გუნდური თამაშები. იყენებენ, აგრეთვე, სწავლების ისეთი ხერხებს, რომლებიც ბავშვებში ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს ავითარებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

<u>ცენტრებში ბავშვების/ბენეფიციარების იდენტიფიცირებისა და მიღების პროცედურა:</u>

ბავშვების იდენტიფიცირება და ცენტრებში მიღება ხდება შემდეგი გზით: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რომლებიც საკუთარი სურვილით მოდიან სსც-ში; სოციალური მუშაკების მიერ გამოვლენილი და მოყვანილი ბავშვები; ნათესავების, მეურვეების ან მშობლების მიერ მოყვანილი ბავშვები; სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი ბავშვები.

ცენტრში ჩარიცხვამდე ბავშვებმა შემდეგი პირობები უნდა დააკმაყოფილონ: ა) ისინი უნდა იყვნენ 6-დან (შეიძლება ნაკლები ასაკისაც) 18 წლამდე; ბ) უნდა ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ქუჩებში.

კრიტერიუმების გათვალისწინებით კონტიგენტის შერჩევა ხდება ცენტრის სპეციალისტების მიერ როგორც ქუჩებში, ასევე ცენტრში, სადაც ეწყობა შეხვედრები ბავშვებს და მათ მშობლებთან ან მეურვეებთან ერთად. აქვე ხდება მათი მდგომარეობების განხილვა. შემდეგ კი შეირჩევიან ისინი, ვინც კრიტერიუმებს შეესაბამება. თავდაპირველად, შემთხვევების იდენტიფიცირება უმეტესად სოციალური მუშაკების მიერ ხდება.

მიღების პროცედურების ანალიზმა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში ქვემოთმოყვანილი ხარვეზები გამოავლინაა:

1. ცენტრის თანამშრომლების მიერ უფრო მეტი ინტერესი იგრძნობა ბავშვების ჩარიცხვის მიმართ, ვიდრე გაჭირვებული შემთხვევების მოძიებისადმი.

2. ცენტრის პედაგოგ-მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მიუსაფარ ბავშვთა ქუჩაში ან სხვა ადგილას მოძიება არ არის მათი საქმე. „ჩვენი საქმეა სწავლება“, – თქვა ერთმა მასწავლებელმა.

3. ამ მიდგომას აკლია მოქნილობა, რაც არაფორმალურ განათლებას უნდა ახლდეს. მაგალითად, მიღების კრიტერიუმები და პროცედურა სხვა დაუცველ ბავშვებს, რომლების შესაძლებელია ქუჩის გარდა სხვა ადგილებშიც იყვნენ, (მაგ. დისფუნქციურ ოჯახებში, სადაც ოჯახური ძალადობის ალბათობა დიდია) პროცესში მონაწილეობის შანსს უკარგავს.

4. გარკვეული რაოდენობა, არც ისე დაუცველი შემთხვევებისა, „შემოიპარება“ ხოლმე. ბავშვთა და ოჯახთა ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლის და შესაბამისი გადაწყვეტილებების მონიტორინგის საფუძველზე გაირკვა, რომ ბავშვების, მათი მშობლების ან მეურვეების მდგომარეობის და საჭიროებების ამოცნობა მხოლოდ მცირე დოზით ხდება. ბავშვებთან დისკუსიებში გამომჟღავნდა, რომ ზოგიერთი ბავშვი რეგისტრირებულია როგორც ობოლი, მაშინ როცა მშობლები ჰყავთ, ან იწოდებიან ქუჩის ბავშვებად, როცა სახლები აქვთ.

5. მიღების პროცედურის სხვა ნაკლოვანებაა ის, რომ ბავშვების პირადი საქმეები არ არის კარგად წარმოდგენილი დოკუმენტების სახით. ამ შემთხვევაში, მოძიებული ინფორმაცია შეიცავს ბავშვის სახელს, გვარს,

დაბადების თარიღს (დაბადების მოწმობები არაა მოცემული), განათლებას (ე.ი. თუკი ბავშვი დადიოდა სკოლაში (თუ ასეა, რომელში), და როდის გამოვიდა სკოლიდან), მშობლის ან მეურვის გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და ბავშვის მოკლე ისტორიას, მაგ.: „მისი მშობლები დაიღუპნენ, ბავშვის ქუჩაშია და ამდენად ის დახმარებას საჭიროებს", ან „ისინი ბევრნი არიან ოჯახში, მისი და-ძმა სკოლაში არ დადის, მშობლები უმუშევრები არიან და ამიტომ ბავშვები ქუჩაში მუშაობენ".

ინტერვენციის მიზნების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ბენეფიციართა იდენტიფიკაცია და სსც-ში ჩარიცხვა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ხდებოდეს. ბავშვების დეტალური და კარგად დოკუმენტირებული ცხოვრების ისტორია გადამწყვეტია ინტერვენციების წარმატებისთვის, რადგან პროგრამები ზუსტად უნდა მოერგოს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვების სპეციფიკურ მახასიათებლებს და საჭიროებებს.

<u>სსც-ს პედაგოგიური მიდგომები:</u>

მრავალმხრივი მუშაობა მიმდინარეობდა, რათა შემუშავებულიყო ისეთ პედაგოგიური მიდგომები, რომლებიც ბავშვების სპეციალურ საჭიროებებს უპასუხებდა შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:

1. ცხოვრებისეული უნარ–ჩვევების ფორმირება;
2. ბავშვისათვის ასაკის შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა და სკოლისათვის მომზადება;
3. ბავშვების სკოლებში ინტეგრირების ხელშეწყობა;

კვლევის შუალედური შედეგები გამოყენებული იქნა ცენტრებში პრაქტიკული სემინარების მოსაწყობად, რასაც შემდგომ მიეცა უფრო ინტენსიური ხასიათი. ამან ხელი შეუწყო მომუშავე პერსონალის (და არა მარტო პედაგოგების) კვალიფიკაციის ამაღლებას და გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვას.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად შესაფერისი მასალის მომზადება დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ყველაზე რთული იყო, გათვალისწინებულიყო ბენეფიციართა მრავალფეროვანი ეთნიკურობა და

საჭიროებები. განისაზღვრა მთელი რიგი კრიტერიუმები და გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები:

- მოეწყო პილოტური სემინარი, სადაც მოხდა კრიტერიუმების, მასალების და მეთოდიკების გაცნობა და შეფასება ანუ აზრისა და წინადადებების შემოთავაზება სემინარის მონაწილეთა მიერ;
- ჩატარდა კვლევის მასალების შემდგომი შემოწმება/ტესტირება, აპრობირება;
- ცენტრებში შეიქმნა პედაგოგ/მასწავლებელთა და სხვა სპეციალისტთა მიერ დაკომპლექტებული მრჩეველთა გუნდები და მათი შენიშვნები და აზრები აისახა კვლევის მასალებში.

კვლევისას გამოიყო შემდეგი პედაგოგიური მიდგომები:

*წარმატებით სწავლას ადგილი აქვს იქ, სადაც:*

- აქტიური სწავლების გარემოა – ანუ ბავშვებს პირობები აქვთ შექმნილი სწავლებისათვის;
- ამოცანების განხილვის გარემოა – ანუ მონაწილეებს საშუალება აქვთ, გაითვალისწინონ საკუთარი ინტერესები;
- დემონსტრირება, პრაქტიკა და უკუგებაა – ანუ მოცემულია პრაქტიკის ნიმუშები, ხდება მათი გამოყენებისათვის ხელის შეწყობა და იქმნება უკუგების პირობები;
- შეფასების მუდმივი პროცესი – ანუ, მუდმივად ხდება ძიება და ახალი მიღწევების გათვალისწინებით ძველის გადახალისება;
- მხარდაჭერაა – ანუ მონაწილეებს რისკის დროს ეხმარებიან;

აპრობირებულმა მიდგომებმა გამოკვეთა პედაგოგებთან მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი:

**დავეხმაროთ პედაგოგ/მასწავლებლებს, შეიმუშავონ საკუთარი აზრი და მასთან დაკავშირებული საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება.**

მიდგომები უნდა იყოს მოქნილი, რათა მოერგოს სხვადასხვა საჭიროებების კონტექსტს და დააკმაყოფილოს ბენეფიციარების ინდივიდუალური მოთხოვნილებები.

ეს მიდგომები შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგ კონტექსტში:

- მასწავლებელთა პირველადი დახელოვნების სასწავლებლებში;

- კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ან პრაქტიკული სემინარების ადგილებზე გამოცდილი პედაგოგებისათვის და მასწავლებლებისათვის;
- ერთი კონკრეტული სკოლის, ბავშვთა ზრუნვის ინსტიტუციის და/ან არაფორმალური განათლების ცენტის თანამშრომელთა სპეციალური განვითარების პროგრამის ფარგლებში.

<u>ბავშვის საჭიროებების დადგენა:</u>

პედაგოგ-მასწავლებელი სწავლობდნენ ბავშვის საჭიროებებს და გეგმავდნენ და ნერგავდნენ სწავლებისა და მიდგომების თავისებურ პრაქტიკას. შედეგებისა და მიღწევების ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანი ელემენტი იყო მუშაობის თვითშეფასება ან შეფასება გამოცდილი კოლეგის მიერ.

**ბავშვის საჭიროება** გულისხმობს სხვადასხვა ფაქტორით განპირობებულ შედეგს, რომელშიც ზოგი ფაქტორი ბავშვია, ზოგი სოციუმი, ზოგი კი პოლიტიკა და სკოლა. ეფექტურია ბავშვთან ერთად საუბარი პირად გამოცდილებაზე.

**მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა, თუკი ეს შესაძლებელია, იმუშაოს სოციალურ მუშაკთან ან თვითონ შეითავსოს სოციალური მუშაკის ფუნქციები, რათა გაერკვეს ბავშვის მდგომარეობაში, იმ სოციალურ თუ ეკონომიკურ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებს ბავშვის ქუჩაში გასვლას, ცხოვრებას, ბავშვისათვის მძიმე სამუშაოს შესრულებას, სკოლისათვის თავის მინებებას, აგრესიულობას და თავის თავში ჩაკეტილობას, გამიჯვნას და იმედგაცრუებას.**

**ბავშვის საჭიროებების დადგენაში დაგვეხმარა შემდეგი მეთოდები:**

*დისკუსია*

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დისკუსიას, რომელსაც პედაგოგ-მასწავლებლები იყენებდნენ ბავშვებთან მიმდინარე მოვლენების გასაგებად და შესაფასებლად. დისკუსიას ყოველდღიური ხასიათი ჰქონდა და იგეგმებოდა ბავშვებთან ერთად. ერთნაირად სასარგებლო გამოდგა ბავშვებთან დისკუსიის სხვადასხვა ფორმა, როგორც ინდივიდუალურ ან

ჯგუფური, ასევე წინასწარ დაგეგმილი და სპონტანური, ბავშვის ან მასწავლებლის მიერ ინიცირებული, კითხვა-პასუხის ან უფრო ბავშვის მონოლოგის ფორმატში წარმართული, სწავლებისა თუ არაფორმალური საუბრების პროცესში წამოჭრილი – საჭიროებიდან და ვითარებიდან გამომდინარე. დისკუსია ბავშვებს დაეხმარა ხმამაღალი ფიქრსა და საკუთარი წარმატების აღქმაში.

შედეგიანი გამოდგა ბავშვების წყვილ-წყვილად საუბრის პრაქტიკა. ამ დროს ერთი ბავშვი მეორეს უსმენს, მაგ. თუ რას აკეთებდა იგი მთელი დღის განმავლობაში. აქტიური მოსმენა განმარტების ტოლფასი აღმოჩნდა, როცა ბავშვი ყურადღებით უსმენდა, ცდილობდა ნათქვამის გაგებას და რაიმე გაუგებარის შემთხვევაში, სვამდა კითხვას. ***კვლევის ამ კომპონენტის გამოყენებით შეიძლება ვთქვათ, რომ დისკუსიის მეშვეობით გარდა მოსმენის უნარის განვითარებისა, ბავშვები სწავლობენ საკუთარი აზრის, განცდებისა თუ შეხედულებების გარკვევით ჩამოყალიბებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული უნარ-ჩვევაა.***

**გამოკითხვა და ინფორმაციის შეგროვება:** კვლევის ფარგლებში დაგვეხმარა პედაგოგის მიერ გამოკითხვისა და ინფორმაციის შეგროვების ქვემოთ მოყვანილი აქტივობები, რომლებიც შემდგომ გამოყენებული იქნა სხვადასხვა ინტერვენციების დასაგეგმად და გასავითარებლად:

<u>აქტივობა</u>

- შეადგინეთ ბავშვის შესახებ შესაგროვებელი/გასარკვევი ინფორმაციის ნუსხა;
- განსაზღვრეთ, თუ როგორ ჩაატაროთ დისკუსია ბავშვთან;
- რადგანაც ბავშვთა პრობლემები და რეაბილიტაციის კურსი კომპლექსურია, განიხილეთ თქვენი მიდგომების მოსალოდნელი შედეგიანობა თქვენივე გუნდის სხვა კოლეგებთან, რომლებიც არიან სოციალური მუშაკები, ექიმები, ფსიქოლოგები, ცენტრის ინსტრუქტორი თუ სხვა მსგავსი სპეციალობის ადამიანი;
- მნიშვნელობა მიანიჭეთ და გაითვალისწინეთ კოლეგების მიერ მოწოდებულ ინფორმაცია ბავშვის მდგომარეობის და ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ;
- კარგად გაერკვიეთ ბავშვის სტრესის გამომწვევ სოციალურ ფაქტორებში, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ჯანმრთელობის

მდგომარეობაში, მიმდინარე სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამის დეტალებში;

- უკუგების საფუძველზე, შეიტანეთ შესწორებები თქვენს გეგმებსა და მიდგომებში ბავშვთან მიმართებაში.

პროცესის შესაფასებლად პედაგოგი შემდეგ კითხვებს უსვამს თავს:

1. როგორ უნდა გამოვიყენო გამოკითხვა სწავლების მეთოდების დასაგეგმად და გასაუმჯობესებლად?
2. რა სირთულეებს ვხედავ?

კვლევამ გვიჩვენა, რომ ქუჩის ბავშვებთან მიმართებაში გამოკითხვა და ინფორმაციის შეგროვება ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია, რომელიც ეხმარება პედაგოგს, რომ გახდეს «უკეთესი» პედაგოგი. კვლევის დროს სწავლების პროცესის პარალელურად ინფორმაციის შეგროვება გვეხმარებოდა, რომ პედაგოგებს უკეთესად აღექვათ სწავლების მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ინფორმაციის დიდი ნაწილის შეგროვება ბუნებრივად ხდებოდა ბავშვებთან მუშაობის დროს, როდესაც ვაკვირდებოდით ბავშვებს, მათთან ვსაუბრობდით, ყურს ვუგდებდით მათ საუბარს, ბევრ რამეს ვგებულობდით, რაც გვეხმარებოდა პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწაში. ინფორმაციის შეგროვების დროს ვცდილობიდით ვყოფილივიყავით კონკრეტულები, რაც შემდგომ გვეხმარებოდა სწავლების ასპექტების გაანალიზებაში. პედეგოგები საკუთარ თავს ვუსვამდით კითხვებს:

- რისი გაგება მსურს და რატომ?
- როგორ გავიგო?
- რას მამცნობს შეგროვილი ინფორმაცია?
- როგორ გამოვიყენო ის?

ინფორმაციის შეგროვების რამდენიმე, თანაბრად მნიშვნელოვანი გზა გამოიკვეთა:

**ინტერვიუ:** მარტივად, რომ ვთქვათ, *ინტერვიუ* უბრალო საუბარია, რომელსაც ვიყენებდით ინფორმაცის შეგროვებისას. ის მრავალნაირი იყო, რაც მისი ძლიერი მხარე იყო. ინტევიურს ტიპი იგეგმებოდა იმის მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაციის მოძიება გვჭირდებოდა კონტექსტუალური ფაქტორების და შეზღუდვების ფარგლებში. ინტევიუ იყო ხანგრძლივი და ხანოკლე; რეგლამენტირებული, წინასწარ მომზადებული მთელი რიგი კითხვებით, ან უშუალო, გათვლილი ინდივიდზე ან ბავშვთა ჯგუფზე. ინტერვიუს ყველაზე

დიდი უპირატესობა ის იყო, რომ მოულოდნელი კომენტარების და გაუგებარი პასუხების დაზუსტება შესაძლებელი ხდებოდა.

ინტერვიუს ჩატარება ხდებოდა კვლევის ფარგლებში ბავშვებისათვის, პედაგოგებისათვის, პროფესიული გადამზადების მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის შემუშავებული კითხვარების მიხედვით (იხ. დანართი).

ინტერვიუს მომზადებისას ვითვალისწინებდით ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა:

- ვისგან უნდა ავიღოთ ინტერვიუ?
- რა სახის შეკითხვები უნდა დავუსვათ?
- როგორ შევქმნათ შესაბამისი გარემო?
- როგორ ჩავიწეროთ პასუხები?

პედაგოგის წინასწარ მომზადებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ შედეგად სასარგებლო ინფორმაცია შეგვეგროვებინა ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

**შეკრება:** რადგანაც პედაგოგთა და სხვა სპეციალისტთა შეკრებას ინფორმაციის მიმოხილვის სტრატეგიაში ცენტრალური როლი ჰქონდა, მას ვანიჭებდით მიზნობრიობას, მოტივაციას და რაციონალურობას. შეკრებისათვის მიზნობრიობა რომ მიგვეცა, ამაში გვეხმარებოდა ქვემოთ მოყვანილი ეტაპები:

1. მონაწილეებს მოსამსამზადებლად წინასწარ ვურიგებდით ინფორმაციას განსახილველ საკითხზე;
2. შეკრებას ვასრულებდით დასკვნის გამოტანით; პედაგოგებს უყვართ სამუშაოს ირგვლივ დისკუსია, ამიტომ ვცდილობდით მსჯელობის საგანი კონკრეტულად ჩამოგვეყალიბებინა, რომ საუბარი მიზნობრივი ყოფილიყო.
3. შეკრების ბოლოს ვცდილობდით დასკვნის და გადაწყვეტილების შეჯამებას;
4. საჭიროების შემთხვევაში, დასკვნებს წერილობით ვაყალიბებდით და ვურიგებდით მონაწილეებს.
5. ვცდილობდით, შეკრება წარმართულიყო სასიამოვნო და ეფექტიან გარემოში, სადაც პედაგოგები თავს თავისუფლად იგრძნობდნენ.

**ანკეტის გამოყენება:** ანკეტირება არ არის მარტივი და პირდაპირი გზა ინფორმაციის შეგროვებისათვის. კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ მიდგომას თან უამრავი სირთულე ახლავს. არასწორად შედგენილმა ანკეტამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს მოპოვებული ინფორმაციის მაღალი ხარისხი. უფრო მეტი დრო დავუთმეთ ანკეტების ღია და დახურული კითხვები შედგენას. ღია დაუსრულებელი კითხვების შედეგად ისეთი მოულოდნელი პასუხები მივიღია, რომ შეგროვილი ინფორმაციის ანალიზი მეტისმეტად გართულებულა. ეს იყო ძირითადად რთულად ფორმულირებულ კითხვებზე გაუგებარი და ამოუწურავი პასუხების გაცემა. ამან ასევე გვაფიქრებინა, რომ მეტი ყურადღება დაგვეთმო კითხვარების წინასწარი გამოცდისათვის უფრო ვიწრო ფოკუს-ჯგუფებთან. თანდათან ანკეტირების მეთოდი დავხვეწეთ; გავამახვილეთ ყურადღება მის შინაარსზე, ფორმულირებაზე და თანმიმდევრობაზე.

**დოკუმენტების შეგროვება და ანალიზი:** ბავშვის შესახებ პედაგოგისათვის სასარგებო ინფორმაციის კიდევ ერთი წყარო არსებული მასალების შეროვება იყო. ამაში შედიოდა ბავშვის შესახებ როგორც ბავშვის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები (მაგ. დაბადების მოწმობა, რაიმე სახის სამედიცინო ან სხვა სოციალური მადგომარეობის ამღვნიშვნელი დოკუმენტი), ასევე სპეციალისტთა ინტერ-დისციპლინარული გუნდის მიერ ჩატარებული გამოკვლევები, გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები, ბავშვის ნამუშევრები და ა.შ. დოკუმენტების ანალიზის დროს, ყურადღებას ვამახვილებდით შემდეგზე:

1. რა სახის დოკუმენტია?
2. რას გვეუბნება იგი?
3. ვინ მოგვაწოდა?
4. როგორ შეიქმნა?
5. ტიპიური დოკუმენტია თუ განსაკუთრებული?
6. სრულად არის წარმოდგენილი? მოხდა თუ არა მისი გადაკეთება ან რედაქტირება?

**« გარეშე პირის » გამოყენება:** კვლევის დროს კარგი შედეგი მოგვცა გარეშე პირების მოწვევამ და მათმა გამოკითხვამ კვლევის მეთოდების შესახებ. საკონსულტაციოდ ვიწვევდით კონსულტანტ-პედაგოგებს, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ

ისინი კვლევის მეთოდებს განსხვავებული პერსპექტივიდან აღიქვამდნენ. მოწვეულ კონსულტანტებს წინასწარ მომზადებულ ინფორმაციას ვაწვდიდით, რომ კარგად გაეგოთ ჩვენი გამოკითხვის მიზნები და ამოცანები, რაზეც გვაძლევდნენ სასარგებლო რჩევებს.

**(შემთხვევა):** ნინო 11 წლის ასაკში მოვიდა ცენტრში. იგი იყო გულჩათხრობილი და კითხვებზე პასუხის გაცემას და სხვებთან (თანატოლებთან და უფროსებთან) კომუნიკაციას მტკივნეულად განიცდიდა, რაც გამოიხატებოდა მის ტირილში, ზურგის შექცევაში, გაქცევით პასუხში. პედაგოგს დასჭირდა სოციალურ მუშაკთან მუშაობა, რომ გაერკვია ის ძირითადი სოციალური მიზეზები, რამაც დაღი დაასვა ბავშვის ცხოვრებას, გამოიწვია ბავშვის უნდობლობა, აგრესია, ჩაკეტილობა. მიზეზების გარკვევის შემდეგ, პედაგოგი მუშაობას აგრძელებდა ბავშვის ფსიქოლოგთან, რომელმაც დაუხასიათა ბავშვის ფსიქოლოგიური მხარეები, რაც დაეხმარა პედაგოგს დაეგეგმა ნინოსთან მუშაობის პედაგოგიური მიდგომა და სწავლების მეთოდები. წამყვანი ადგილი ეჭირა ნინოსთან საუბარს, ნდობის მოპოვებას და გახსნას;

თავდაპირველად მასწავლებელი ნინოს სხვადასხვა ამბებს უყვებოდა, რომლებიც ნინოს ისტორიებს ჰგავდა, ჩანდა გამოსავალი პრობლემიდან და კეთილი დაბოლოება ჰქონდა; ეს ნინოს უღვივებდა ცნობისმოყვარეობას და ოპტიმიზმს. ბავშვმა თანდათან დაიწყო პასუხის გაცემა ჯერ მოკლე და მარტივ, ხოლო შემდეგ უფრო რთულ შეკითხვებზე; თანდათან დაიწყო ისტორიების მოყოლა, რომლებიც განიცადა ოჯახში და ქუჩაში; ჩაერთო დისკუსიებში თანატოლებთან და უფროსებთან და თანდათანობით გახდა კვლევის სხვადასხვა სექციური მუშაობის აქტიური მონაწილე. განსაკუთრებით მოსწონდა დრამის სექცია: დადგმულ სპექტაკლში შეასრულა მალვინას როლი «ბურატინოდან». ეს როლი გაითავისა და შეიყვარა. წარმატებამ გაათამამა და საკუთარ უნარებში დააჯერა. იგი თავდაჯერებულია თავის აზრებში, სურვილებში და ოცნებებში. ნინო ახლა 14 წლისაა და ოცნებობს გამოვიდეს მსახიობი.)

## §4 კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის მონაცემთა ანალიზი

ბავშვთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრები, რომლებშიც კვლევა ჩატარდა, ემსახურება საშუალოდ 550 ბავშვს. აქედან პირდაპირი დაკვირვებისა და კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ის 400 ბავშვი (100-100 თითო ცენტრიდან), რომლებიც მუდმივად მონაწილეობდნენ კვლევის პროცესში.

მათ გარდა, კვლევას ჰყავდა დაკვირვების დამატებით 50 ობიექტი - ბავშვები, რომლებიც არარეგულარულად ესწრებოდნენ კვლევის აქტივობებს/ღონისძიებებს. აქედან 25 ქუჩის ბავშვი და 25 ქუჩაში მომუშავე ბავშვი (რომლებსაც არასდროს უსარგებლიათ სარეაბილიტაციო ცენტრების მომსახურებით, არ გაუვლიათ საგანმანათლებლო კურსი და შესაბამისად ტესტირებაში მონაწილეობა არ მიუღიათ) სარგებლობდნენ მათთვის ქუჩაში გაწეული პედაგოგიური მუშაობით, რაც გამოიხატებოდა პედაგოგების და სოცმუშაკების მიერ მათთან ნდობის მოპოვებაში, თამაშში, ფიზაღზრდის აქტივობებში და სხვ. დანიშნულ ვადებში და საათებში ბავშვებში შეიმჩნეოდა მომატებული მოლოდინი პედაგოგებისადმი, ზრუნვისადმი, საგანმანათლებლო აქტივობებისადმი.

ბავშვთა რაოდენობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცენტრებით მოსარგებლე ბავშვების 80%-მა. თუ გავითვალისწინებთ 2008 წელს ჩატარებულ ურბანული კვლევის («ნუ მიწოდებთ «ქუჩის ბავშვს») მიხედვით დადგენილ ქუჩის ბავშვთა რაოდენობას საქართველოში, რომელიც მერყეობს 800-დან 1600-მდე, ჩვენი გამოკვლევა შეეხო ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვების დაახლოებით 30%-ს.

ბავშვების გარდა, გამოკითხვაში მონაწილეობდნენ პედაგოგები – 21, სოციალური მუშაკები – 12, მშობლები (ან სხვა მზრუნველები) – 117, ხელობის მასწავლებლები – 12. კვლევა მოიცავდა მენეჯმენტს, ფსიქოლოგებს, ჯანდაცვის სპეციალისტებს.

<u>მონაცემთა შეგროვება:</u> კვლევის ფარგლებში მონაცემების შეგროვების მიზნით გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. რაოდენობრივი კომპონენტისათვის ოთხი ტიპის კითხვარი იქნა

შემუშავებული ბავშვებთან, პედაგოგებთან, პროფესიული გადამზადების მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუების მიზნით (იხ. დანართი). კითხვარების საშუალებით შევაგროვეთ ისეთი საკვანძო ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ბავშვების ქუჩაში გასვლის ფაქტორებს, იმ პრობლემებს, რომლებსაც ბავშვებია აწყდებიან ქუჩებში, ინფრომაცია მათთვის ხელმისაწვდომი მომსახურების ფორმებსა და მომწოდებლების შესახებ, ბავშვების მიერ პრობლემებთან შეჭიდების უნარიანობა/სტრატეგიები და ურთიერთობა მშობლებთან, ბავშვთა განათლების ხელშემშლელი ფაქტორების მახასიათებლები, ბავშვების დამოკიდებულება პროფესიული განათლებისადმი და მათი აზრები და წინადადებები განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. თვისობრივი კომპონენტისათვის ინფორმაცია მიღებული იქნა ფოკუს ჯგუფებიდან, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ ბავშვები, პედაგოგები, პროფესიული გადამზადების მასწავლებლები და მშობლები.

მონაცემები შეგროვდა კითხვარების, ინტერვიუების, ტესტირების, არაფორმალური დისკუსიების და დოკუმენტების ანალიზის მეშვეობით; ტარდებოდა ინტენსიური ვიზიტები ადგილზე (ქუჩა, ოჯახი, სკოლა, ცენტრი), ფორმალური და არაფორმალური ინტერვიუები ცენტრის თანამშრომლებთან და რეზიდენტებთან, ინტერვიუები მომსახურეობის სხვა მიმწოდებლებთან და მთავრობის წარმომადგენელებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო), რომელთა ინტერესის სფეროში იმყოფება ცენტრები. კვლევა წარიმართა რამდენიმე მიმართულებით, რომელთაგან გამოიკვეთა ის უმთავრესი პრობლემები, რომელთა ანალიზი და გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქუჩის ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირებას.

კვლევის დროს წინასწარ შევისწავლეთ ბავშვთა ანკეტური მონაცემები, რომლებიც ეხებოდა მათ ასაკს, ოჯახს (თუკი ჰყავდა), ჯანმრთელობის მდგომარეობისა და განვითარების დონეს, სკოლის მიტოვების მიზეზებს, მათ დამოკიდებულებას მავნე ჩვევებისადმი, განუცდიათ თუ არა როდისმე ძალადობა, უწევდათ თუ არა ქუჩაში შრომა და ჰქონიათ თუ არა რაიმე სახის ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან.

ამ მონაცემთა დაზუსტებით ჩვენ წარმოდგენა გვექმნებოდა ყოველი კონკრეტული ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნებისმიერი ადამიანის და, მითუმეტეს, ბავშვის ქცევასა და მისწრაფებებს; საშუალებას გვაძლევდა, გამოგვეტანა შესაბამისი დასკვნები მათ მიერ მოცემული პასუხების ანალიზის დროს.

გამოიკითხა 6-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა შორის სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვების ასაკი 8-17 წლებს შეადგენდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა რესპოდენტ ბავშვთა ის კატეგორია, რომლებიც სოციალური დახმარების მიღმა არიან დარჩენილები და სარეაბილიტაციო ცენტრების ან მსგავსი ტიპის დაწესებულებების შესახებ არაფერი გაუგიათ. მათთან ურთიერთობის პირველ საფეხურს განსაზღვრავდა ის ფაქტორი, თუ როგორი ცხოვრების წესს მისდევდნენ ისინი.

გამოკითხვამ აჩვენა შემდეგი სურათი:

– სკოლის მიტოვების მოტივები

ბავშვები, რომლებიც ეკონომიკური გაჭირვების გამო იძულებულები გახდნენ სკოლა მიეტოვებინათ და საკუთარი შრომით ერჩინათ თავი (და ხშირად ოჯახიც), ხალისით პასუხობდნენ კითხვებზე. ისინი არ წუწუნებდნენ, უბრალოდ, თავიანთ მდგომარეობას აღიქვამდნენ როგორც ფაქტს, რომელსაც არაფერი ეშველება. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბავშვები თავს ირჩენდნენ კანონითა და მორალით დაშვებული შრომით და შესაბამისად, არც სამართალდამცავ ორგანოებთან ჰქონიათ შეხება, ფსიქოლოგიურად უფრო მყარად გრძნობდნენ თავს. მიუხედავად მძიმე სოციალური ყოფისა, ზოგიერთ ბავშვში ერთგვარი სიამაყეც შეინიშნებოდა საკუთარი მდგომარეობის გამო – ისინი არავისზე არ იყვნენ დამოკიდებულნი, პირიქით, ისინი სხვებს არჩენენ.

სარეაბილიტაციო ცენტრის გამოკითხული ბავშვებიდან უმრავლესობა მანამდე დადიოდა საჯარო სკოლაში (91%). მხოლოდ 9%-ს არ უვლია არასდროს სკოლაში, რომელთა შორის ძირითადად მცირეწლოვნები არიან, 8-9 წლის ასაკის. სკოლის მიტოვების მიზეზი უპირველეს ყოვლისა იყო ეკონომიკური გაჭირვება (68%), მათ არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები და სკოლისთვის საჭირო სხვა ნივთები, ასევე არ გააჩნდათ შესაფერისი

ტანსაცმელი, რომ საშუალო სკოლის სხვა ბავშვების გვერდით შეძლებოდათ სწავლა. ბავშვების 2% გონებრივი შეზღუდვის გამო გამოიყვანეს სკოლიდან, 22%-ში შემთხვევაში ოჯახმა არ იზრუნა შვილების სწავლაზე, ბავშვების 5%-მა კი დაადასტურა, რომ მათ თვითონ აირჩიეს ქუჩაში ცხოვრება, რადგან ასე მოსწონდათ, უფრო თავისუფლად გრძნობდნენ თავს და არც სწავლა აინტერესებდათ.

## დიაგრამა №1
## სკოლის მიტოვების მოტივები




ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (№2) პროცენტულთან ერთად მოყვანილია სკოლის მიტოვების მიზეზების რაოდენობრივი მაჩვენებლებიც:

## ცხრილი №1

| სკოლის მიტოვების მიზეზი | რაოდენობა | პროცენტი |
|---|---|---|
| ეკონომიკური გაჭირვება | 306 | 68 |
| ოჯახური პრობლემები | 99 | 22 |
| ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური ან გონებრივი შეზღუდულობა) | 36 | 8 |
| სწავლისადმი მოტივაციის უქონლობა | 9 | 2 |

იმ ბავშვების უმეტესობას, რომლებსაც სარეაბილიტაციო ცენტრებთან შეხება არ აქვთ, ეკონომიკურთან ერთად ოჯახური პრობლემები აიძულებთ ქუჩაში გამოსვლას (50-დან 34), 12 ბავშვი აუტანელ ოჯახურ ვითარებას გაექცა ქუჩაში, 4 ბავშვი კი მიზეზს ვერ ასახელებს.

– <u>დამოკიდებულება მავნე ჩვევებიხადმი</u>

მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, როგორიც არის დამოკიდებულება ნიკოტინზე, ალკოჰოლზე და ნარკოტიკულ საშუალებებზე, სურათი ასეთია: გამოკითხული ბავშვებიდან უმეტესობას, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სხვადასხვა დროს გასინჯული აქვს სიგარეტი (64%). აქედან მეტ-ნაკლები ინტენსივობით დღესაც ეწევა 47%. წებოს ისუნთქავს 13% ბავშვი, 40% – სრულიად თავისუფალია მავნე ჩვევებისაგან.

დიაგრამა №2
დამოკიდებულება მავნე ჩვევებიხადმი




– <u>ძალადობა ბავშვების მიმართ</u>

გამიკითხული ქუჩის ბავშვების არცთუ უმნიშვნელო ნაწილს (61%) განუცდია ძალადობის სხვადასხვა ფორმა. ხშირ შემთხვევაში ბავშვები იჩაგრებიან ალკოჰოლისტი მშობლის ან მშობლების მხრიდან, რაც მათი ოჯახიდან გაქცევის მიზეზი ხდება. აღსანიშნავია, რომ ბავშვები ნაკლებად გულგახსნილები იყვნენ ამ საკითხზე საუბრის დროს. ზოგმა საერთოდ აარიდა თავი პასუხის გაცემას. დანარჩენები კი, თუმცა ადასტურებდნენ,

მაგრამ არ აკონკრეტებდნენ, თუ რა სახის ძალადობა განხორციელდა მათ მიმართ. თუმცა პირისპირ საუბრის დროს, გოგონები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ სექსუალური ძალადობის მცდელობებს მამინაცვალების მხრიდან. ასევე კონფიდენციალური საუბრის შედეგების გათვალისწინებით, ხშირია სექსუალური ძალადობის ფაქტები ბიჭებს შორის, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ბიჭების მხრიდან.

– <u>ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან</u>

სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის მხრივ განსაკუთრებულად საგანგაშო ვითარება არ გამოკვეთილა. გამოკითხული ბავშვების უმეტესობა (88,7%) უარყოფს, რომ როდისმე ურთიერთობა ჰქონდა სამართალდამცავ ორგანოებთან. ბავშვების მეორე ნაწილს კი, როგორც ანკეტური მონაცემები აჩვენებს და თვით ბავშვებიც ადასტურებენ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში მოუწიათ ურთიერთობა პოლიციასთან. კანონდარღვევები უმთავრესად გამოიხატებოდა წვრილმანი ქურდობით, რომელსაც ბავშვები მიმართავდნენ სიღარიბის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის მუშაობის გააქტიურებისა, მათი განათლება პრობლემურ საკითხად რჩება, რადგან გარდა ობიექტური მიზეზებისა, არაერთგვაროვანია თვით ქუჩის ბავშვების დამოკიდებულება განათლებისადმი.

ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარები მოიცავდა ქუჩის ბავშვთა ცხოვრების მრავალ ასპექტს, რომელთა შორის უმთავრესი მათი სწავლა-განათლებისადმი დამოკიდებულება იყო.

– <u>დამოკიდებულება განათლებისადმი, პროფესიისადმი</u>

გამოკითხული ბავშვებიდან 27-ს (6%) არ მიაჩნია საჭიროდ განათლების მიღება. აქედან რამდენიმე ბავშვი მცირეასაკიანი (2%) იყო და არ ესმოდათ საკითხის არსი, მაგრამ დანარჩენები სრულიად შეგნებულად უარყოფდნენ განათლების მნიშვნელობას. ბავშვების 34% (153) აღიარებს განათლების მიღების აუცილებლობას. 36 ბავშვი (8%) საკმარისად მიიჩნევს მხოლოდ

ელემენტარულ განათლებას, ხოლო პროფესიულ განათლებას უპირატესობას ანიჭებს გამოკითხული ბავშვების დიდი ნაწილი (225 – 50%).

### ცხრილი №2
### დამოკიდებულება განათლებისადმი, პროფესიისადმი

| ბავშვების დამოკიდებულება განათლებისადმი, პროფესიისადმი | რაოდენობა | პროცენტი |
|---|---|---|
| საჭიროდ მიიჩნევენ განათლების მიღებას | 153 | 34 |
| არ მიიჩნევენ საჭიროდ განათლების მიღებას | 27 | 6 |
| საკმარისად მიიჩნევენ მხოლოდ ელემენტარულ განათლებას | 36 | 8 |
| საჭიროდ მიაჩნევენ მხოლოდ პროფესიულ განათლებას | 225 | 50 |
| არ აქვს პასუხი | 2 | 2 |

განათლებისადმი დამოკიდებულების პარალელურად შეკითხვა შეეხებოდა პროფესიისადმი დამოკიდებულებასაც. ამ შემთხვევაში ბავშვების პასუხებმა გარკვეულად განსხვავებული სურათი მოგვცა.

პროფესიის დაუფლების აუცილებლობას აღიარებს გამოკითხულ ბავშვთა 96% (423). ბავშვები პროფესის დაუფლებას მიიჩნევენ თავიანთი სოციალური გადარჩენის საშუალებად. ის ბავშვებიც კი, რომლებიც განათლებას ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, პროფესიის დაუფლებას საჭიროდ თვლიან. ამ შემთხვევაში იკვეთება განათლების რაობის გაუთვითცნობიერების ფაქტორი, როცა ბავშვები ერთმანეთს ვერ უკავშირებენ პროფესიასა და განათლებას. მათ წარმოდგენაში განათლება ზოგადი საკითხების ნაკრებია, რომელიც ცხოვრებაში პრაქტიკულად ნაკლებად გამოადგებათ და ამიტომ არც ღირს მათი სწავლისთვის თავის შეწუხება, მით უმეტეს, თუ შესასწავლი საგნების ათვისება უჭირთ. ქუჩის ბავშვთა ეს ნაწილი მხოლოდ წერა-კითხვისა და ანგარიშის შესწავლას მიიჩნევს აუცილებლად. შესაბამისად, საბაზისო განათლებაზე უფრო მეტად ქუჩის ბავშვები უპირატესობას პროფესიის პრაქტიკულ სწავლებას ანიჭებენ.

კითხვაზე, თუ რომელი პროფესია მიაჩნიათ პერსპექტიულად, ბავშვების პასუხები ასე გადანაწილდა: მშენებელი (72 – 18%), მანქანების შემკეთებელი (63 – 15,75%), დურგალი (54 – 13,5%), დალაქი-სტილისტი (45 – 11,25%), სპორტსმენი (45 – 11,25%), კომპუტერის სპეციალისტი (36 – 9%), ექიმი (27 – 6,75%), მსახიობი (9 – 2,25%). თანაბარი რაოდენობით პერსპექტიულად მიიჩნევენ ისეთ პროფესიებს, როგორებიცაა: მასწავლებელი (18 – 4,5%), ეკონომისტი (18 – 4,5%), იურისტი (18 – 4,5%), მზეინკალი (18 – 4,5%). დასახელებული იყო კიდევ რამდენიმე პროფესიაც. ბავშვების მცირე ნაწილმა (4,5%) ამ კითხვაზე ვერ შესძლო პასუხის გაცემა.

ცხრილი №3

დამოკიდებულება განათლებისადმი, პროფესიისადმი

| რომელი პროფესია მიაჩნიათ პერსპექტიულად | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| მშენებელი | 72 | 18 |
| მანქანების შემკეთებელი | 63 | 15,75 |
| დურგალი | 54 | 13,5 |
| დალაქი-სტილისტი | 45 | 11,25 |
| სპორტსმენი | 45 | 11,25 |
| კომპიუტერის სპეციალისტი | 36 | 9 |
| ექიმი | 27 | 6,75 |
| ზეინკალი | 18 | 4,5 |
| ეკონომისტი | 18 | 4,5 |
| მასწავლებელი | 18 | 4,5 |
| იურისტი | 18 | 4,5 |
| მსახიობი | 9 | 2,25 |
| სხვა | 9 | 2,25 |
| პასუხი ვერ გასცეს | 18 | 4,5 |

ორმა ბავშვმა ბიზნესმენის საქმიანობა მიიჩნია პერსპექტიულად, თუმცა ვაჭრობა, როგორც შრომის ფორმა, არავის დაუსახელებია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ბავშვების დიდი ნაწილი წვრილმანი ვაჭრობით ირჩენდა თავს, ასეთი დამოკიდებულება, სავარაუდოდ, აიხსნება იმ უსიამოვნო მოგონებით, რომელიც ვაჭრობამ, როგორც მათი ასაკისათვის შეუფერებელმა მძიმე და არც თუ ისე შემოსავლიანმა შრომამ დაუტოვა ბავშვებს.

– დამოკიდებულება სწავლისადმი

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ბავშვების დადებითი დამოკიდებულებისა განათლების მიღების საკითხის მიმართ, როგორც რეალობა აჩვენებს, ვიქტიმური ბავშვები დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან სხვა, ნორმალურ ვითარებაში გაზრდილი ბავშვებისაგან. ამის ახსნა შეიძლება არა მარტო ცხოვრებისა და განვითარების სხვადასხვა პირობებით, არამედ სუბიექტური ფაქტორითაც. ნებისმიერ ბავშვს სჭირდება სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისება, მეცადინეობის ვალდებულების ჩანერგვა დარწმუნებისა თუ, გარკვეული დოზით, იძულების გზით. ჩვეულებრივ ოჯახში ბავშვი მზრუნველი მშობლის ზედამხედველობის ქვეშ იზრდება, მაშინ, როცა ვიქტიმური ბავშვები თავისუფლები არიან მეცადინეობისადმი დამოკიდებულების არჩევანში. მათ არავინ აიძულებთ გაკვეთილების სწავლას. ასეთ შემთხვევაში თანხვდება სწავლისადმი ბავშვის დამოკიდებულების ორი ფაქტორი, ობიექტური – ეკონომიკური თუ ოჯახური პრობლემების გამო სკოლის მიტოვება და ქუჩაში გასვლა და, სუბიექტური – ჩვეულებრივი, ბავშვური სიზარმაცე.

სასწავლო საგნებიდან ბიჭები უპირატესობას ანიჭებენ მათემატიკასა, უცხო ენასა და ისტორიას. გოგონების დიდ ნაწილს მოსწონს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართულითა და ისტორიით (საქართველოს ისტორიით) უმეტესად ქართველ ბავშვები ინტერესდებიან. ხელოვნების დარგებისადმი (მაგალითად, მუსიკა, ხატვა, ცეკვა), ინტერესს ასევე უფრო გოგონები იჩენენ. სპორტისადმი ინტერესი პრაქტიკულად ყველამ გამოხატა, მაგალითად ფეხბურთისადმი დამოკიდებულება თითქმის ერთგვაროვანია (ბიჭები - 98% და გოგონები - 89.9%).

ცხრილი №4
დამოკიდებულება სწავლისადმი

| რომელი საგნები მოსწონთ | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| მათემატიკა | 72 | 18 |
| უცხო ენა | 63 | 15,75 |
| ქართული ენა და ლიტერატურა | 62 | 15,75 |

| | | |
|---|---|---|
| ისტორია | 46 | 11,5 |
| მუსიკა | 36 | 9 |
| გეოგრაფია | 26 | 6,5 |
| ბიოლოგია | 18 | 4,5 |
| ფიზკულტურა | 54 | 13,5 |
| სხვა | 18 | 4,5 |
| პასუხი ვერ გასცეს | 54 | 13,5 |

სწავლების პროცესიდან ბავშვების უმეტესობა (52%) სისტემატური მეცადინეობის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებს გაკვეთილებზე პერიოდულ დასწრებას. საკითხისადმი ასეთ მიდგომას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი:

- დროის ნაკლებობა (ბავშვები შრომობენ);
- სწავლის მოტივაცის ნაკლებობა;
- ათვისების შეზღუდული შესაძლებლობა, რომელიც თავის მხრივ ამუხრუჭებს სწავლის მოტივაციას;
- განათლების მნიშვნელობის შეუფასებლობა;
- სწავლების მოძველებული მეთოდოლოგია, რომელიც ნაკლებად მიმზიდველს ხდის სწავლების პროცესს ვიქტიმური ბავშვებისათვის;
- სახელმძღვანელოების სირთულე, არაადეკვატურობა მოსწავლეთა შესაძლებლობების მიმართ. ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების ნაკლებობა.

## §5 სსც-ს ბენეფიციართა რეაბილიტაციის ფორმები

ა) სწავლების მეთოდი და პროგრამა:

კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო სასწავლო მეთოდის და პროგრამის შედგენა, რომელიც მორგებული იქნებოდა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე და უნარების განვითარებაზე. თანამშრომობაზე დაფუძნებული სწავლა და სწავლება გამოყენებულ იქნა, როგორც ბავშვებში ნდობისა და წარმატების გარანტია. ჰიპოტეზურად, ეს მიდგომა ხელს შეუწყობდა ქუჩის ბავშვების ინტეგრირების

მცდელობას, მათი პერსონალური თუ სოციალური ურთიერთობების განვითარება-განმტკიცებას.

გამოყენებულ იქნა ჯგუფური მუშაობის პრინციპი და « კითხვა-წერა სწავლისათვის და საკუთარი აზრების გადმოცემისათვის » და არა « სწავლა კითხვისათვის », როგორც კვლევის პედაგოგიური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომელზედაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა. ბავშვებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზისათვის, განსაკუთრებით სასწავლო მეთოდების მიმართ, გამოყენებული იქნა ქვემოთ მოყვანილ წინადადებები, რომლებიც თემატურად დაიტვირთა და, რომლებიც ბავშვებს დამოუკიდებლად უნდა დაესრულებინათ. ასეთი ფორმა მათ ძალიან ახალისებდა და თუ ვერ წერდნენ, სიხარულით მონაწილეობდნენ ამ სავარჯოშოს ზეპარად შესრულებაში:

1. მე ნელა ვსწავლობ, როცა......
2. მე სწრაფად ვსწავობ, როცა........
3. მე ადვილად ვსწავლობ, როცა.........
4. ჯგუფში სწავლისას..........
5. წიგნით სწავლისას........
6. მე კარგად ვსწავლობ, როცა.......
7. მე სიამოვნებას მანიჭებს სწავლა, როცა.......

თუმცა ეს არ უნდა იქნას გააზრებული ისე, თითქოს ბავშვებს ყველა კითხვა ერთდროულად ეძლეოდათ. ეს არც თუ ისეთი იოლი 7 კითხვა ბავშვებთან ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის 7 ცალკეულ თემას შეადგენდა. თოთოეული თემის დამუშავება ხანგრძლივი პროცესი იყო, განსაკუთრებით, კვლევაში მონაწილე ახალი ბავშვებისათვის. ამ სავარჯიშოს მერე განცდა თავისი მნიშვნელობის შესახებ აშკარად მატულობდა ბავშვებში, იმიტომ, რომ მათი აზრების შესაბამისად და მათან ერთად, ხშირად ხდებოდა პედაგოგების მიერ საკვლევ მეთოდებში რედაქტირების შეტანა. მაგალითისათვის, ბავშვების რჩევით გავზარდეთ ჯგუფურად კითხვის ინტენსივობა და ხანგრძლივობა და მოტივაციის გაზრდის მიზნით დავუმატეთ მეტი ილუსტრაციები საკითხავ მასალას. ამის საშუალება მოგვცა ბავშვების პასუხებმა ზემოთ მოყვანილ 1, მე-2, მე-3 და მე-4 თემებზე. დანარჩენი საკითხებზე ჯგუფურ მეცადიენეობას დაემატა უფრო მეტი თვალსაჩინოება, რადგან ბავშვებს მოსწონდათ ხმამაღლა

საუბარი და მსჯელობა საგნების შესახებ, მაგალითად, სხვადასხვა სათამაშოების და თოჯინების შესახებ. გამოყენებული იყო მცენარეები, ზღვის კენჭები და სხვ., რომლებიც ინტერესს იწვევდა ბავშვებში და ეხმარებოდა საბუნებისმეტყველო საკითხების გარკვევაში.

იმის გარკვევაში, თუ რა მოსწონდათ ყველაზე მეტად ბავშვებს სასწავლო მასალიდან, სასარგებლო აღმოჩნდა შემდეგი აქტივობა:

ბავშვები დამოუკიდებლად ხატავდნენ სასწავლო გარემოს. ისინი ცდილობდნენ აღებეჭდათ ნახატზე ის საგანი (ნივთები), რომლებსაც ოთახში უმთავრეს ატრიბუტად მიიჩნევდნენ. რადგანაც არ ხდებოდა ნახატის ხარისხის შეფასება, ამიტომ ბავშვები ხატავდნენ, როგორც შეეძლოთ და სურდათ. ისინი სწავლობდენენ, თუ როგორ გამოეყენებინათ მუყაო, ფერები და კონტურები კონკრეტული ელემენტების აქცენტირებისათვის. ხატვისას ბავშვები ესაუბრებოდნენ სხვა მონაწილე ბავშვებს. ამ აქტივობის მიზანი იყო, ბავშვებს შეძლებოდათ აზრის დაფიქსირება, არჩევანის გაკეთება, გაანალიზება და ხატვით გადმოცემა. ნახატების დაჯამებითა და გაანალიზებით გასაგები ხდებოდა, თუ წარმოდგენილ სასწავლო ნივთთაგან რა იყო ბავშვებისათვის მომხიბვლელი და გამოყენებადი. ეს იძლეოდა საფუძველს ეს ნივთები უფრო მეტი რაოდენობით და ნაირსახეობით ჩართულიყო სასწავლო პროცესში.

***ზემოთ მოყვანილი სასწავლო მეთოდები პედაგოგს დაეხმარა ბავშვის მოტივირებისა და სწავლისათვის ისეთი კეთილმოსურნე, უშუალო და მეგობრული გარემოს შექმნაში, რომელშიც ბავშვი თავს უშუალოდ და თავსუფლად გრძნობდა, არ ერიდებოდა თავისი შესაძლებლობების, სურვილების, ოცნებებისა თუ ფანტაზიების გამოვლენაში, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის ბუნების გახსნისათვის, მიზნების ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებელი და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებისათვის.***

კვლევის სასწავლო პროგრამის მიხედვით, პედაგოგი თავდაპირველად განსაზღვრავს ბავშვის განვითარების მდგომარეობას თავის ასაკთან შედარებით, რისთვისაც იყენებს გასაუბრების ფორმას, სკოლის სახელმძღვანელოებს და სხვა სასწავლო თვალსაჩინოებს. ამ პროცესის შემდეგ ბავშვები ნაწილდებიან ***ოთხ*** ჯგუფში, რომლებსაც პირობითად "დონე" ვუწოდეთ. სასწავლო პროგრამაც, შესაბამისად, ოთხ დონედ არის

დანაწილებული: პირველი მოიცავს იმ მასალას, რომელიც პირველ, მეორე და მესამე წელს ისწავლება საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში; მეორე დონე მოიცავს მასალას მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასებისათვის, მესამე დონე ფარავს მასალას მეშვიდე და მერვე კლასებისათვის, ხოლო მეოთხე დონე მე-9 კლასის პროგრამას ითვალისწინებს. ცენტრის მუშაობის პრაქტიკიდან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვები პირდაპირ ვერ პასუხობენ ვერცერთ დონეს.

ბუნებრივია, თითოეულ დონეში სასწავლო პროგრამა შეძლებისდაგვარად შემჭიდროებულია, რაც გულისხმობს მასალის გამოხშირვასა და მიწოდების გამარტივებულ ფორმებსაც. ხოლო მასალის შერჩევისა და გამოყენების დროს კი უპირატესობა ენიჭება საკვანძო საკითხებს.

*პედაგოგის მუშაობა ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ მათ ხელთ ჰქონოდათ ადაპტირებული სახელმძღვანელოები. კვლევის ამ კომპონენტის შედეგი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა, რაც გულისხმობს სპეციალური, ადაპტირებული სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობას; ეს კი ხელს შეუწყობს ქუჩის და სხვა სპეციალური სწავლების საჭიროების მქონე ბავშვების მზაობას საჯარო სკოლებში ინტეგრაციისათვის.*

ასეთი მიდგომა მიზნად ისახავს ბავშვებს ასწავლოს ელემენტარული წერა-კითხვა, ანგარიში და ცოდნის ის ელემენტები, რომლებიც სჭირდება საჯარო სკოლაში შედარებით უმტკივნეულო ინტეგრაციისათვის.

სკოლებში ინტეგრაციის პროცესი რთულია, როგორც ბავშვისთვის ასევე პედაგოგისთვის. კვლევამ გვაჩვენა, რომ ბავშვების განვითარების **მაქსიმალური სრულყოფის** მიღწევა მათი სკოლისათვის მზაობის თვალსაზრისით, **თითქმის შეუძლებელია** თუნდაც იმიტომ, რომ განვითარების ჩვეულებრივ რიტმს მოკლებული ბავშვებისათვის თავისთავად რთულია ფორსირებული სწავლება. თუმცა, სკოლა ამისათვის უნდა იყოს მზად, რაც გამოიხატება პედაგოგიური კოლექტივის ლოიალურ მიდგომაში და აქტიური სწავლისა და სწავლების მეთოდების გააზრებულ და ეფექტურ გამოყენებაში.

მთელი კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია: სპეციალური საჭიროება ეროვნული კურიკულუმის[4] ნაწილად აღვიქვათ საჯარო სკოლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როცა სწავლაში ჩამორჩენა მთელი რიგი ფაქტორებით არის გამოწვეული, პედაგოგ-მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ ისეთი პირობების შექმნა, რომ განურჩევლად ყველა ბავშვმა სსც-სა თუ სკოლაში შეძლოს სწავლა. ამას ოპტიმისტურ ვარაუდამდე მივყავართ. რაც უნდა გააკეთოს პედაგოგ-მასწავლებელმა, რა გამოცდილებაც უნდა გამოიყენოს, რა ურთიერთობაც უნდა ჰქონდეს ბავშვთან, მთავარია ბავშვმა მოტივაცია შეიძინოს და წარმატებას მიაღწიოს სწავლაში თავისი პოტენციის შესაბამისად.

აქვე განიხილება საფრთხე, რომელიც შეიძლება ბავშვისათვის « იარლიყის» მიწებებამ გამოიწვიოს. აღმზრდელობით თუ სასწავლო პროცესში არ უნდა ხდებოდეს არა ცალკეული « განსაკუთრებული » ბავშვების გამოყოფა, არამედ ყველა ბავშვი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე განსაკუთრებულ ბავშვად უნდა იყოს აღქმული. ჩვენი მიზანია გვესმოდეს, რომ თითოეული ბავშვი ინდივიდია და ინდივიდუალობას პატივი უნდა ვცეთ. აქედან გამომდინარე, სკოლებში განსაკუთრებული ბავშვებისათვის ცალკე კურიკულუმი კი არ უნდა შეიქმნას, არამედ პედაგოგ-მასწავლებელმა უნდა გამონახოს ის ოპტიმალური გზა, რომელიც ერთიანი კურიკულუმის ფარგლებში გაითვალისწინებს ცალკეული ბავშვის თავისებურებას.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის სკოლისათვის მზაობის მიზნით, კვლევამ სავალდებულოდ ცნო სპეციალური და ადაპტირებული სახელმძღვანელოების საჭიროება, რომლებიც ბავშვს თავისი საჭიროებებიდან გამომდინარე, ეხმარება ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში (მაგ. წერა-კითვა, ელემენტარული ანგარიში და ზოგადი კურსის გავლა სხვადასხვა სასკოლო დისციპლინებში).

სასწავლო პროგრამაში ექსპერიმენტის სახით გამოყენებული იყო ენციკლოპედიური ტიპის ადაპტირებული სახელმძღვანელო “სამყარო ჩვენი სახლი” (შემდგ.: თამარ აბულაძე, იათამზე კოტეტიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, მარინა შოსტაკი. – თბ., 2003), რომელშიც ინფორმაცია

---

[4] კურიკულუმი – სწავლების კურსი, სასწავლო გეგმა, პროგრამა

მოწოდებულია მარტივი ენით. მასში შესული მასალა თანხვდება საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასის სავალდებულო სასწავლო საგნებს. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული, რათა ქუჩის ბავშვების მწირი ცოდნა ვიზუალური ინფორმაციითაც შეავსოს. სახელმძღვანელო ისე არის აგებული, რომ პედაგოგმა შესძლოს კონკრეტული შემთხვევების საჭიროებებიდან გამომდინარე თავისი შეხედულებისამებრ გადაადგილოს შესასწავლი მასალა. სახელმძღვანელო არ არის დატვირთული სამეცნიერო ტერმინოლოგიით, ამიტომ ბავშვებისთვის ადვილია მისი გამოყენება.

კვლევის მეორე და მესამე ეტაპებზე პერიოდულად ხდებოდა ბენეფიციარებზე დაკვირვებები, ხოლო ტესტირება მათი ზოგადი პროგრესისა და განვითარების მონიტორინგისათვის ჩატარდა ორჯერ – სასწავლო კურსის საწყის და ბოლო ეტაპებზე. დაკვირვების ობიექტები დანაწილდნენ ორ ასაკობრივ ჯგუფად: 6 – 11 და 11 – 17 წელი. ტესტებში მოცემული საკითხები არ სცილდებოდა სწავლებისათვის დადგენილ ოთხ დონეს. თუმცა ორივე ეტაპის ტესტები ერთსა და იმავე სასწავლო მასალას მოიცავდა, მაგრამ მეორე ეტაპზე ტესტების კითხვებში მასალა უფრო დაკონკრეტდა, გაიზარდა მოცულობით და გართულდა.

ტესტებში საკითხები პირობითად ოთხ თემატურ ჯგუფად განაწილდა: 1) ქართული ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნება (ცოცხალი ორგანიზმები). როგორც დაბალ ასევე მაღალ ასაკობრივ ჯგუფების ტესტებში 10-10 საკითხი იყო შეტანილი. თითო საკითხი ერთ ქულად ფასდებოდა. **(ტესტის ნიმუში №1 და ტესტის ნიმუში №2 იხილეთ დანართში)**

ტესტების შედეგები ასახულია დიაგრამა #3 (I ასაკობრივი ჯგუფი: 6-11 წელი) და დიაგრამა #4-ში (II ასაკობრივი ჯგუფი 12-17 წელი) შესაბამისი ცხრილებით (#5-6). თვალსაჩინოა, რომ თუკი ბავშვის საგანმანათლებლო პროგრამის საწყის ეტაპზე კვლევის 10-ქულიან სისტემაში I ასაკობრივი ჯგუფში ყველაზე დაბალი ქულების (0-1) პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 54%-ს, პროგრამის ბოლო ეტაპზე იმავე მაჩვენებელმა დაიწია 0%-მდე. II ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაშიც მსგავსი შედეგი მივიღეთ, როდესაც საწყის ეტაპზე ყველაზე დაბალი ქულების (0-1) პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 57%-ს, ხოლო პროგრამის ბოლო ეტაპზე იმავე მაჩვენებელმა დაიწია 2%-მდე.

10-ქულიანი შედეგი როგორც I, ასევე II ასაკობრივ ჯგუფებში საწყის ეტაპზე უდრიდა 0%-ს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო ეტაპზე I ასაკობრივ ჯგუფში აიწია 49%-მდე, ხოლო II ასაკობრივ ჯგუფში – 4%-მდე. **დიაგრამა #3-4 და ცხრილი #5-6.**

**ტესტირების შედეგები**

ქულათა რაოდენობა საწყის და ბოლო ეტაპებზე: 6 – 11 ასაკობრივი ჯგუფი

## დიაგრამა №3




## ცხრილი №5

## ტესტირების შედეგი:

| 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფი | საწყისი ეტაპი | ბოლო ეტაპი |
|---|---|---|
| ქულები | % | % |
| 0-1 | 54 | 0 |
| 2-3 | 31 | 3 |
| 4-5 | 9 | 6 |

| | | |
|---|---|---|
| 6-7 | 4 | 15 |
| 8-9 | 2 | 27 |
| 10 | 0 | 49 |

**ტესტირების შედეგი**

ქულათა რაოდენობა საწყის და ბოლო ეტაპებზე: 12 - 17 ასაკობრივი ჯგუფი

## დიაგრამა №4




## ცხრილი №6

## ტესტირების შედეგი

| 6-17 წლის ასაკობრივი ჯგუფი | საწყისი ეტაპი | ბოლო ეტაპი |
|---|---|---|
| ქულები | % | % |
| 0-1 | 57 | 2 |
| 2-3 | 29 | 4 |

| | | |
|---|---|---|
| 4-5 | 7 | 23 |
| 6-7 | 4 | 41 |
| 8-9 | 3 | 26 |
| 10 | 0 | 4 |

გამოკითხვა-საუბრებითა და ტესტების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრში შემოსულ ბავშვებს კვლევის საწყის ეტაპზე ჰქონდათ განათლების დაბალი დონე, მწირი ინფორმაციულობა. ბავშვების დიდმა ნაწილმა არ იცოდა წერა-კითხვა და ანგარიში. მცირე ნაწილმა ზოგადად იცოდა საქართველოს ისტორია, სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა. სასწავლო დისციპლინების სიღრმისეული ცოდნა თითქმის არავის არ გააჩნდა. არაქართველი ეროვნებისა და, მით უმეტეს, არაადგილობრივმა ბავშვებმა პრაქტიკულად არაფერი იცოდნენ იმ ქვეყნის შესახებ, რომელშიც ცხოვრობდენ. მათი ცოდნა შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ ქვეყანაში გამუდმებით მიტინგებია და, რომ ომია რუსეთთან.

ბავშვების უმრავლესობამ არაფერი იცოდა ტექნიკის თანამედროვე მიღწევების შესახებ. მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერის გამოყენება სამომხმარებლო დონეზე მხოლოდ იმ მცირე ნაწილს შეეძლო, რომლებმაც სარეაბილიტაციო ცენტრში გაიარეს მომზადება.

**პირველი ნაბიჯები ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირების და განათლებაში ჩართვის იყო** წერა-კითხვისა და ანგარიშის უნარ-ჩვევების გამომუშავება. ეს იყო კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა. როგორც აღინიშნა, ცენტრებში მოსვლის პირველ ეტაპზე ბავშვების დიდმა უმრავლესობამ არ იცოდა წერა-კითხვა და ვერც მათემატიკის ელემენტარულ საკითხებში ერკვეოდა (მაგალითად, არ იცოდნენ გამრავლების ტაბულა). კვლევის საწყის და ბოლო ეტაპებს შორის შედეგების მხრივ გამოიკვეთა რაოდენობრივი და თვისობრივი სხვაობა.

წერა-კითხვა ისწავლა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრის ბავშვების უმრავლესობამ. მათემატიკის ელემენტარული კურსის გავლა შეძლო 386-მა ბავშვმა (400-დან, ე.ი. 96,5%-მა), რაც 87%-ით მეტია წინა შედეგზე. საქართველოს ისტორიის უფრო მეტი ცოდნა გამოამჟღავნა 23,5%-ით მეტმა ბავშვმა. გეოგრაფიაში ცოდნა გაიღრმავა 72%-ით მეტმა ბავშვმა.

## ცხრილი №7
## ქულათა რაოდენობა საწყის და ბოლო ეტაპებზე

| განათლების დონე ზოგადად | საწყისი ეტაპი | | ბოლო ეტაპი | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % |
| | | | | |
| არ იცის წერა-კითხვა | 354 | 88,5 | 14 | 7 |
| იცის წერა-კითხვა და ანგარიში | 46 | 11,5 | 386 | 93 |
| არაფერი იცის საქართველოს შესახებ | 62 | 15,5 | 11 | 2,75 |
| იცის მცირე რამ საქართველოს ისტორიიდან | 174 | 43,5 | 288 | 72 |
| იცის საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა (ჰიმნი, დროშა, ღერბი) | 108 | 27 | 366 | 91,5 |
| ბევრი რამ იცის ზოგადად საქართველოს შესახებ | 72 | 18 | 198 | 49,5 |
| არაფერი სმენია ტექნიკის თანამედროვე მიღწევებზე | 349 | 87,25 | 104 | 26 |
| შეუძლია მობილურის გამოყენება | 14 | 3,5 | 136 | 34 |
| იცის კონტინენტების დასახელება | 22 | 5,5 | 228 | 57 |
| სმენია კომპიუტერის შესახებ | 46 | 11,5 | 310 | 77,5 |
| შეუძლია რუკაზე გეოგრაფიული პუნქტების მოძებნა. | 12 | 3 | 292 | 73 |
| შეუძლია კომპიუტერთან მუშაობა | 0 | 0 | 162 | 40,5 |
| ერკვევა უცხოური მანქანების სახეობებში | 41 | 10,25 | 229 | 57,25 |

ინფორმირებულობის დონის მატების მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა საკითხებშიც. მაგალითად, ცენტრში მოსვლამდე მხოლოდ რამდენიმე ბავშვს თუ სმენოდა კომპიუტერის შესახებ. ზოგ მათგანს ნანახიც ჰქონდა, მაგრამ არ ესმოდათ მისი დანიშნულება. კომპიუტერს ისინი უკავშირებდნენ სათამაშო აპარატებს, რომლებიც ქუჩაში ან ე.წ. ინტერნეტ-კაფეებში იდგა. საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში ბავშვებს მიეცათ საშუალება შეესწავლათ კომპიუტერთან მუშაობა.

ბავშვების არც თუ მცირე ნაწილმა იცოდა საქართველოში მოქმედი სოციალურად დაუცველ ბავშვთა სარეაბილიტაციო სამსახურების არსებობის შესახებ. ბოლო წლებში სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების

მიერ ჩატარებული ღონისძიებების მეოხებით შესაძლებელი გახდა ქუჩის ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართვა სარეაბილიტაციო პროგრამებში. ამით აიხსნება დადებითი პასუხების დიდი პროცენტი იმ კითხვებზე, რომლებიც ეხება ბავშვთა სოციალური დახმარების სამსახურებს. კითხვარები ძირითადად შეავსეს სარეაბილიტაციო ცენტრში მყოფმა ბავშვებმა. ცენტრების გარეთ მყოფი ბავშვები, მართალია, არ სარგებლობდნენ ამ ტიპის დახმარებით, მაგრამ იცოდნენ მისი არსებობის შესახებ.

განათლებისა და ინფორმირებულობის დონემ ზოგადად უფრო მაღალი ნიშნული აჩვენა, ვიდრე ეს იყო კვლევის საწყის ეტაპზე, რამაც სასიკეთოდ იმოქმედა ცენტრის ბენეფიციართა ფსიქოლოგიაზე.

როგორც აღინიშნა, კვლევა ითვალისწინებდა ბავშვების მოსამზადებელი და შუალედური განათლების მიღების შემდეგ საჯარო სკოლაში ინტეგრაციას. 2005 - 2007 წლებში სულ 35 (6 დან 14 წლამდე) ქუჩის ბავშვი ჩაირიცხა 44-ე საჯარო სკოლაში. სსც-ს პედაგოგები მონაწილეობდნენ ბავშვების სკოლაში ადაპტაციის პროცესში.

დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა როგორც სკოლის პედაგოგებთან, ასევე 44-ე სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. მომსახურების ხარისხისა და კარგი ინტერაქციის გამო ადგილობრივ საზოგადოებასა და მშობლებთან, სახლში ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად, პროგრამა ადგილობრივ დონეზე საუკეთესო მოქმედ პროგრამად აღიარეს.

**ბ) სსც-ს პედაგოგ/მასწავლებლებისა და ბავშვების შეხვედრა, როგორც ინტერვენციის ერთ-ერთი მეთოდი:**

სსც-ს პედაგოგ/მასწავლებლები და ბავშვები სხვადასხვა პერიოდულობით (თუმცა, სასურველია შეხვედრები ყოველ კვირას გაიმართოს) ერთად იკრიბებიან, რომ საუბრის დროს კეთილდღეობისთვის აუცილებელ სხვადასხვა ფაქტორებს შეეხონ. ისინი განიხილავენ დასწრების, სისუფთავის, ვიტამინების ნაკლებობის, პირადი ჰიგიენის, კვების, ცენტრისა და სკოლის დისციპლინის, გამოცდების შედეგების და სხვა საკითხებს.

მასწავლებლებისა და ბავშვების პერიოდული ე.წ. «საქმიანი შეხვედრები» მოულოდნელ დადებით ეფექტებს იძლევა. ამ შეხვედრებში

სხვადასხვა ასაკის ბავშვები მონაწილეობენ, შეხვედრებზე პედაგოგები ცდილობენ ბავშვები ჩართონ ცენტრის მუშაობის პროცესში, როგორც დამოუკიდებელი მხარეები. საუბრის დროს პედაგოგები პრობლემებს განიხილავენ არა ბავშვების თანდასწრებით, არამედ ბავშვებთან ერთად. ასეთი მიდგომა ცხოვრებისაგან დაჩაგრულ ბავშვებში საკუთარი თავის პატივისცემას აჩენს. მოზარდები, რაკი ხედავს, რომ მათ აზრებსაც იზიარებენ მათსავე პრობლემებზე მსჯელობის დროს, უფრო თავდაჯერებული ხდებიან. მათ ემატებათ პედაგოგებისადმი ნდობა. ისინი გარკვეულად პასუხისმგებლობასაც გრძობენ მათზე უმცროსი ასაკის ბავშვების მიმართ. მოზარდების მსჯელობის ტონი და პათოსი ისეთივეა, როგორც შეიძლება ჰქონდეთ უფროს და-ძმას ან მზრუნველ პედაგოგს.

მოზარდების დადებით დამოკიდებულებას მსგავსი ღონისძიებების მიმართ აჩვენებს გამოკითხვის შედეგები, სადაც გამოკითხული მოზარდებიდან უფროსებთან საქმიან შეხვედრებს დადებითად აფასებს 84%, ასეთი შეხვედრებში აზრს ვერ ხედავს (12%), მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი პედაგოგთა მხრიდან მხოლოდ მოჩვენებითი საქმიანობაა და მეტი არაფერი.

დიაგრამა № 5

ბავშვების დამოკიდებულება პედაგოგებისა და ბავშვების საქმიანი შეხვედრებისადმი



მასწავლებლებისა და ბავშვების პერიოდული შეხვედრები, რომლებზეც ცენტრის ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე თანასწორად მსჯელობენ, წარმოადგენს სოციალური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ზემოქმედების სინთეზს. ასეთი მიდგომა რეალური ფაქტორია მოზარდებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გაჩამოყალიბებისათვის, რადგან ისინი ნოყიერ ნიადაგს ქმნის მოზარდებში საკუთარი თავის რწმენის, აგრეთვე პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებისა როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ.

**გ) კონსულტაციები სახლში**

ცენტრების მასწავლებლები და სოციალური მუშაკები რეგულარულად ეწვევიან ხოლმე ბავშვთა ოჯახებს მშობლების მოტივაციის ამაღლების მიზნით. ამ ვიზიტებმა ცენტრებსა და სკოლაში დასწრება მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. მშობლების უმრავლესობა ვიზიტის მნიშვნელოვნობას გრძნობს, რადგან მათ შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ცენტრების პროგრამების და მათი ბავშვების პროგრესის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შემდგომ თანამშრომლობა არაერთგვაროვნად გრძელდება, რაზეც მოქმედებს თვით მშობელთა ფსიქოლოგიური და სოციალური მდგომარეობა. ხშირ შემთხვევაში მშობელი ბავშვს უყურებს, როგორც მარჩენალს, ვერ აცნობიერებს განათლების როლს.

**დ) მშობლის და სოციალური პედაგოგის შეხვედრები**

მშობლებისა და პედაგოგის შეხვედრები ყოველ ორ თვეში ერთხელ იმართება. მშობლები და მასწავლებლები ერთად იკრიბებიან და განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა განათლების და სოციალური ჩართულობის მნიშვნელობა, მათ ბავშვებზე მზრუნველობა და ძალადობისაგან თავისუფალი ოჯახური გარემოს შექმნა, ბავშვის განათლების მნიშვნელობა და საჭიროება, ასევე პროფესიული ტრენინგი, სახლში ბავშვის მოვლა და ყურადღების გამოვლენა, შეძლებისდაგვარად სრულფასოვანი საკვების მომზადების წესები, სუფთა წყლის მიღების მნიშვნელობა, ჯანმრთელობის, სანიტარული და პირადი ჰიგიენის დაცვის წესები და ა.შ.

მასწავლებლები და მშობლები ზოგიერთ სპეციფიკურ დავალებებს და ვალდებულებებს ინაწილებენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, რომ ამ შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები აღასრულონ. დავალებები და მათი შესრულება შემდეგ შეხვედრებზე განიხილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობლებთან მუშაობა ერთ-ერთი ძნელად შესასრულებელი სტრატეგიაა. უმრავლეს შემთხვევებში მშობლები უარს აცხადებენ თანამშრომლობის გაღრმავებაზე, ზოგ შემთხვევაში კი სწორედ მშობლები ხდებიან ბავშვების მიერ სკოლის მიტოვების მთავარი მიზეზი. ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ ასეთ პოზიციას ძირითადად სამი საფუძველი აქვს:

1) ეკონომიკური სიდუხჭირე (75%), როცა მშობელს სურს ბავშვის კეთილდღეობა, მაგრამ სიღატაკის გამო იძულებულია ბავშვი სამუშაოდ გაუშვას ქუჩაში;

2) დისფუნქციური ოჯახები – ალკოჰოლისტი ან ნარკომანი მშობლები (16%), რომლებსაც არ აინტერესებთ საკუთარი შვილების კეთილდღეობა და მათი შრომით ირჩენენ თავს. ასეთი მშობლები მხოლოდ მაშინ მოდიან თანამშრომლობაზე, როცა რაიმე მატერიალურ სარგებელს გამოელიან;

3) მშობლები განვითარების დაბალი დონით, რომლებიც ვერ აცნობიერებენ განათლების მნიშვნელობას თავიანთი შვილების კეთილდღეობისათვის (9%).

**დიაგრამა №6**

**მიზეზები, რომელთა გამოც მშობელი ხელს უშლის ბავშვს განათლების მიღებაში**




მშობლებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა, მიუხედავად სირთულეებისა, ბავშვთა კეთილდღეობისათვის მიმართულ ღონისძიებების აუცილებელი კომპონენტია. პრაქტიკამ აჩვენა, რომ სოციალურ პედაგოგთა ამ მუშაობას დადებითი შედეგი მოაქვს. თუ შევადარებთ კვლევის საწყის და ბოლო ეტაპების შედეგებს, თვალსაჩინო ხდება პოზიტიური ცვლილება მშობლების დამიკიდებულების თვალსაზრისით საკუთარი შვილების განათლების საკითხთან დაკავშირებით.

100 გამოკითხული მშობლიდან თავდაპირველად მხოლოდ 49% აღიარებდა განათლების მნიშვნელობას საკუთარი შვილებისათვის, ხოლო კვლევის ბოლო ეტაპისათვის ასეთი მშობლების რიცხვმა 69%-ს მიაღწია. განათლების მიღებას საჭიროდ არ მიიჩნევდა 13%. მოგვიანებით, ბავშვის მიერ სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ, ეს რიცხვი დავიდა 2%-მდე. მშობელთა შეხედულებების ცვლილება არა მარტო სიტყვით, არამედ თანამშრომლობის გააქტიურებით გამოიხატებოდა. ამ ფაქტორმა განაპირობა ის დადებითი შედეგი, რომ ბავშვების ერთი ნაწილი, რომლებიც მშობლების მოთხოვნით შრომობდნენ (ან მათხოვრებდნენ) ეკონომიკური შემოსავლების მიღების მიზნით, გათავისუფლდნენ ამ ტვირთისაგან. თუმცა ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ სოციალურმა მუშაკებმა მოახერხეს უკიდურესად გაჭირვებული მშობლების სახელმწიფო სოციალური დაცვის პროგრამებში ჩართვა.

ორივე გამიკითხვის დროს მშობელთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ სასკოლო განათლებასთან შედარებით უპირატესობა მიანიჭა ხელობის შესწავლას (27%-23%). განსაკუთრებული სხვაობა არც იმ კატეგორიის

მშობლების შეხედულებებს შეეხო, რომლებსაც არ აინტერესებთ საკუთარი შვილების განათლება (9%-6%).

### დიაგრამა №7 მშობლის პოზიცია შვილის განათლებისადმი




### ცხრილი №8

| მშობლის პოზიცია შვილის განათლების მიმართ | არ მიიჩნევს განათლების მიღებას საჭიროდ | აღიარებს განათლების მნიშვნელობას | უპირატესობა ანიჭებს ხელობის ფლობას | არ აინტერესებს საკუთარი შვილის კეთილდღეობა |
|---|---|---|---|---|
| საწყისი ეტაპი | 15% | 49% | 27% | 9% |
| ბოლო ეტაპი | 2% | 69% | 23% | 6% |

არის სხვაგვარი პრობლემებიც. მაგალითად, მარტოხელა დედებთან თანამშრომლობა, საუბრები და დარწმუნება რთულია. მარტოხელა დედები ღარიბი ოჯახებიდან არიან და მათთან თანამშრომლობას განსაკუთრებული ტაქტი, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, როგორც მასწავლებელს, ასევე სხვა პერსონალს, რომ დაეხმაროს მშობლებს/დედებს, გადალახონ საზოგადოებაში გამეფებული სტიგმები, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მარტოხელები არიან, ბავშვები ხშირად თავის გვარზე ჰყავთ, არასრულწლოვნების ასაკში შეეძინათ შვილები და ა.შ.

ე) თავისუფალი დროის ორგანიზება: დასვენება და თამაში

სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრში ბავშვების დასვენება განიხილება, როგორც რეაბილიტაციის და უნარჩვევების განვითარების წინაპირობა და საშუალება, როგორც ამას ითვალისწინებს ბავშვის უფლებების კონვენცია (31-ე მუხლი).

ბავშვების ფიზიკური და გონებრივი განვითარების მიზნით ეწყობა სპორტული და სასწავლო ტურნეები. ასეთი პროგრამების საშუალებით ბავშვები დაჰყავთ ეროვნულ მუზეუმში, ზოოპარკში. ასწრებენ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. ახლომდებარე სათამაშო სტადიონზე პერიოდულობით ეწყობა სპორტული შეხვედრები. რეაბილიტაციის კონტექსტში, ბავშვები მუდმივად გადიან არტ-თერაპიას, რის საფუძველზეც მონაწილეობენ და დგამენ სპექტაკლებს და კონცერტებს ცენტრში, სკოლებში და თეატრებშიც კი ფართო მაყურებლისათვის.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ბავშვების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ განვითარებაზე. ამ მიმართულებით ცენტრში ბავშვთა კუთხე ანუ ოთახები და პატარა ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს, სადაც მოთავსებულია შერჩეული საგანმანათლებლო მასალები და იმართება სექციური მუშაობა. გარდა ამისა, დროდადრო ეწყობა დაგეგმილი დისკუსიები, ხატვის კონკურსები, მხატვრული კითხვის, პოეზიის საჯარო კითხვის საღამოები, მუსიკალური კონკურსები და ა.შ.

კვლევის დაკვირვებით, ბავშვთა კუთხემ ბავშვებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ბევრმა ბავშვმა შესანიშნავი კრეატიულობის უნარი და ტალანტი გამოავლინა. საგანმანათლებლო, კულტურულ და რეკრეაციულ აქტივობებში ბავშვთა ინტესიურმა და გეგმიურმა მონაწილეობამ დაგვანახა, თუ რამდენად შეეცვალათ ბავშვებს დამოკიდებულება ფასეულობებთან და ღირებულებებთან, რამდენად გაიხსნენ თანატოლებთან და უფროსებთან, რამდენად თავის თავში დარწმუნებულები გახდნენ და ირწმუნეს უფროსების დახმარება; შეეცვალათ დამოკიდებულება და ქცევა ჯანმრთელობის, სანიტარული ჰიგიენის, გუნდურობის პრინციპის მიმართ.

ცენტრი ბავშვთა კუთხის შემდგომ განვითარებას გეგმავს, სადაც ადგილობრივ ბავშვებს ექნებათ საშუალება დაკავდნენ კითხვით, ერთმანეთს იდეები გაუზიარონ, განიხილონ პრობლემები და დაისვენონ. კუთხეს ასევე ექნება უფრო დიდი რაოდენობით წიგნები, კომპიუტერები, თამაშები და აქსესუარები იმისთვის, რომ სკოლის გაკვეთილების შემდეგ ბავშვებმა შესძლონ დროის კარგად გატარება.

განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სპორტული ღონისძიებები, მით უმეტეს, როცა ეწყობა სსც-ს ბენეფიციარებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ერთობლივი (და არა მათ შორის) შეჯიბრებები. ბავშვებს საშუალება ეძლევათ თანატოლებთან ერთად თანაბარ ვითარებაში გამოავლინონ საკუთარი სპორტული და ფიზიკური შესაძლებლობები. ეს ღონისძიებები დადებითად მოქმედებს ქუჩის ბავშვთა ფსიქოლოგიაზე მიუხედავად იმისა, მათი მონაწილეობა წარმატებული იყო თუ – წარუმატებელი. წარმატება ბავშვებს საკუთარი თავის რწმენას მატებს. ბავშვები მარცხს განიცდიან, თუმცა არ უკავშირებენ ამას თავიანთ სოციალურ მდგომარეობას, რადგან მათთან ერთად მარცხდებოდნენ ხოლმე საჯარო სკოლის მოსწავლეებიც.

ერთობლივ სპორტულ ღონისძიებებთან ერთად, სასურველია პერიოდულად ეწყობოდეს ცნობილი სპორტსმენების შეხვედრები სსც-ს ბავშვებთან როგორც ცენტრში, ასევე სპორტსმენთა სავარჯიშო ადგილებზე (საწვრთნელი ბაზებზე, სპორტული დარბაზებში და ა.შ.). სსც-ს ხელმძღვანელობამ უნდა იმუშაოს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენა, ამ შემთხვევაში კი სპორტსმენები, ჩართოს ქუჩის ბავშვთა პრობლემების მოგვარების საქმეში. საჭიროა, ინფორმაციის მომზადება, მისაღები წინადადებების შეთავაზება, რომლებიც სპორტსმენებს არ ექცევა ტვირთად (მაგალითად, ფინანსურ ტვირთად). ამ შეხვედრების მთავარი ეკონომიკური მოგებაა ბავშვების განცდები, მათი სიამაყე ცნობილი სპორტსმენების პირადად გაცნობის გამო. ამავე დროს, ბავშვები თვალნათლივ რწმუნდებიან ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობაში.

**ვ) ინფორმაციის მიწოდების ხერხები**

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-17 მუხლის რეალიზაციის მიზნით ინტენსიურად ეწყობა ბავშვების უზრუნველყოფა ყველანაირი ინფორმაციითა და მასალით, რომელიც მათი განვითარებისათვის საჭიროა. ცენტრში თვეში ორჯერ მაინც ეწყობა შემეცნებით-გასართობი ფილმების ჩვენება, რომელთა უპირველესი დანიშნულებაა ბავშვებში ინფორმირებულობის ამაღლება სხვადასხვა სოციალური და განვითარების საკითხების მიმართ. ეს, აგრეთვე, ბავშვების გართობის საშუალებაცაა.

2008 წელს 9 ფილმი იქნა ნაჩვენები, მათ შორის იყო ზღაპრები და დოკუმენტური ფილმები გოგონა-ბავშვის უფლებებზე, პრევენციული ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ ინფორმირებულობაზე. ვიდეოფილმებს ცენტრის შენობაში აჩვენებდნენ. 2008 წელს ორი ფილმის ჩვენება მოეწყო მშობლებისთვის.

ბავშვებს ამხნევებთ ის ფაქტი, რომ მშობლებს აცნობენ იმ ინფორმაციას, რომლებიც ბავშვთა და მასწავლებლის შეხვედრებზე განიხილება პირველადი ჯანდაცვის, სრულფასოვანი კვების და ადრეული ქორწინების საკითხებზე.

ბავშვების ინფორმაციით უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებიდან კვლევამ ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნია ფერადი, ილუსტრირებული წიგნებისა და ფილმების გამოყენება, რომლებიც ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელია და არ მოითხოვს მათგან გონებრივ დაძაბულობასა.

**ზ) კვლევის შედეგად გამოვლენილი ბავშვთა წინაშე არსებული პრობლემები**

საუბრებში და დისკუსიებში კვლევის ბავშვებმა დააყენეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სასწავლო გარემოს უკავშირდება:

ა) იგი უნდა იყოს ფიზიკურად მიმზიდველი და კომფორტული;

ბ) უნდა იყოს ადგილი დასვენების, თამაშის, გართობის და გამოხატვისათვის;

გ) გარემო თავისუფალი უნდა იყოს ძალადობისაგან (ფიზიკური დასჯა), საფრთხის და ემოციური შეურაცხყოფისაგან;

დ) მოსწავლეები დაცული უნდა იყვნენ სექსუალური შევიწროებისა და ექსპლუატირებისაგან;

ე) მოსწავლეები დაცული უნდა იყვნენ გარემოს საფრთხეებისგან და ხელი მიუწვდებოდეთ სასმელ წყალზე. ნაგავი დროულად გაიტანონ;

ვ) ბავშვების სოციალური, ემოციური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რჩევები ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

კვლევამ გამოავლინა ერთი-ერთი გამოწვევა, რომლიც ცენტრის წინაშე იდგა: ბავშვების მიერ კვლევის აქტივობების და მათ შორის მეცადინეობების გაცდენა ქუჩებში შრომის გამო.

ერთ-ერთი პრობლემა ბავშვების მიმართ გამოვლენილი **ძალადობაა**. ქუჩაში ძალადობა, საფრთხე და ემოციური შეურაცხყოფა ის პრობლემებია, რომლებიც ბავშვებს ძალიან დიდ განცდას უქმნის და რაც მათ რეაბილიტაციისა და სწავლებაზე უარყოფითად მოქმედებს. ცენტრებში დაფიქსირდა პატარა ბავშვების ცემა უფრო მოზრდილი და დიდი ბავშვების მიერ. ძალადობის სხვა ფორმა, რასაც ბავშვები აწყდებოდნენ, იყო ფიზიკური დასჯა უფროსების მიერ, ხანდახან ხმამაღალი საუბარი და დაყვირება მასწავლებლების და ცენტრის სხვა პერსონალის მხრიდან.

ასევე ფიქსირდება ბავშვების შეურაცხყოფები (ფსიქოლოგიური ძალადობა) სხვა ბავშვების მხრიდან, რომელიც მტკივნეულად აღიქმება ბავშვის მიერ და იწვევს მის ნეგატიურ განწყობილებას, რომელიც რეალურად ხელს უშლის განვითარებასა და ურთიერთობებში. სკოლებში ერთ-ერთი ვიზიტისას მოსწავლე (ცენტრის ბავშვი) დირექტორის კაბინეტში შეიჭრა და განაცხადა: „მასწავლებელო, გიორგიმ (ეს ნამდვილი სახელი არ არის) შეურაცხყოფა მომაყენა. მან მითხრა, რომ დედაჩემი მრუშია და მამაჩემი უსაქმური ლოთია...“.

ამ ფაქტის გამოვლენის შემდეგ კვლევის ფარგლებში მოხდა სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან საუბარა, სადაც მათ კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც პრევენციას გაუკეთებს მსგავს კონფლიქტურ სიტუაციებს და სასწავლო გარემოს უფრო ბავშვზე ორიენტირებულს გახდის. მაგალითად, მასწავლებელმა უნდა

იცოდეს, თუ როგორ მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია ცენტრის ახალი ბავშვის შესახებ ისე, რომ გამოირიცხოს ამ ბავშვის დაცინვა და მასხრად აგდება თანაკლასელების მიერ.

ბავშვების მიერ გამოთქმული შეურაცხყოფები უმეტესად ბილწია. ეს ქცევა, როგორც პედაგოგები აცხადებენ, ხშირია. აქ არის რისკი, რომ ბავშვებმა შესაძლოა ძალადობრივი და შეუფერებელი სოციალური ქცევა გაითავისონ და ცხოვრების წესად გაიხადონ.

### თ) კვლევის შედეგად გამოვლენილი პედაგოგთა პრობლემები

პედაგოგთა გამართულმა დისკუსიებმა და ინტერვიუებმა გამოავლინა ის პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებოდნენ მუშაობის პროცესში:

- ***გაორმაგებული შრომა,*** *რაც გამოწვეულია შესაბამისი წიგნებისა და სასწავლო მასალების ნაკლებობის გამო* – პედაგოგები იძულებულები არიან დიდი რაოდენობით წიგნებს გადახედონ და მოიძიონ სასწავლო მასალა.

- ***პროფესიული დაუკმაყოფილებლობის განცდა, რომელსაც იწვევს გაწეული შრომის არაადეკვატურად დაბალი შედეგი.*** პრობლემას ქმნის ბავშვების უდისციპლინობა და სწავლის დაბალი მოტივაცია, რომელსაც ჩვეულებრივ სიზარმაცესთან ერთად განაპირობებს აღქმის დაბალი დონეც. მასწავლებლები უკმაყოფილოები იყვნენ, რომ ქუჩის ბავშვებთან დახარჯული შრომის შედეგი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ჩვეულებრივი სკოლის ბავშვებთან ჰქონდათ.

- ***პედაგოგ/მასწავლებლების მოუმზადებლობა*** ქუჩის ბავშვებთან ურთიერთობის დროს მათი განსხვავებული ასაკის, უნარებისა და ზნე-ჩვევების გამო. სპეციალური მომზადების გარეშე მასწავლებლებს უჭირთ. საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრების ბავშვების სწავლება ზემოთმოყვანილი პრობლემების მიზეზით, რის გამოც ზოგიერთი ახლად დაქირავებული მასწავლებელი ცენტრს მალე ტოვებს.

- ***დაბალი ანაზღაურება, რომელიც, პედაგოგ/მასწავლებელთა აზრით, გაწეული მძიმე შრომის არაადეკვატურია.***

პედაგოგ/მასწავლებელთა წინაშე გამოვლენილი პრობლემები მეტყველებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლის მაღალი მზაობა, უნარები და გამოცდილება რთულ ბავშვებთან მუშაობის პროცესში.

კვლევამ გვაჩვენა, რომ არსებობს დეფიციტი პროფესიონალი სოციალური პედაგოგებისა, რომლთაც ექნებოდათ თეორიული მომზადება და საფუძვლები სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან (მათ შორის ქუჩის ბავშვებთან) მუშაობისა.

ამ ხარვეზის აღმოფხვრას ემსახურებოდა ის ტრენინგ-კურსები და სემინარები, რომლებიც ცენტრის მასწავლებლებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციების (მათ შორის UNICEF- ის) მიერ არის ორგანიზებული 2006 - 2008 წლეში:

- რეპროდუქცია და ბავშვთა ჯანდაცვა, ორგანიზებული *კარიტას გეორგიას* მიერ;
- საგანმანათლებლო მასალების განვითარება, ორგანიზებული *UNICEF-ის მიერ;*
- ბავშვთა უფლებები და განათლება, ორგანიზებული *UNICEF- ის ბავშვის უფლებების ფორუმის მიერ;*
- მოზარდი გოგონების პრობლემები, ორგანიზებული *Claritas 21-ეს მიერ*;
- ჯანმრთელობა და სანიტარული ჰიგიენა, *ორგანიზებული ჯანდაცვის დახელოვნების ინსტიტუტის მიერ;*
- ადამიანთა უფლებების დაცვის მდგომარეობა - *ორგანიზებული ომბუდსმენის ბავშვთა უფლებების ცენტრის მიერ;*
- საკითხავი ბავშვებისათვის, ორგანიზებული *გადავარჩინოთ ბავშვები, ამერიკა-ს* მიერ.

კვლევაში მონაწილე ყველა პედაგოგ/მასწავლებელმა, გარდა ერთისა (მოხალისე), გაიარა გადამზადების პროგრამა და ტრენინგი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დახმარებით. ადგილზე გადამზადება უფრო შესაფერისი აღმოჩნდა, რადგან მასწავლებელები ქუჩის ბავშვებთან მუშაობის უშუალო გამოცდილებას უკვე ფლობდნენ. კვლევის დაკვირვებით,

მასწავლებლები და ცენტრის სხვა პერსონალი დიდ უპირატესობას ანიჭებნენ ადგილზე გადამზადებას (როდესაც გამოცდილი სპეციალისტი აკვირდება და ამარაგებს რჩევებით სხვადასხვა არაორდინალური ხასიათის ვითარების შესახებ.

მასწავლებლების აზრით, გადამზადება, რაც მათ გაიარეს, არ არის საკმარისი ქუჩის ბავშვებთან ურთიერთობისათვის; სხვადასხვა კურსი (ინტერაქტიული სწავლება, სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებული სხვა ტრეინინგები) შექმნილია რეგულარულ სკოლებში სწავლებისათვის. ზოგიერთი სფერო, სადაც მასწავლებლებმა გამოხატეს უფრო მეტი გადამზადების საჭიროება, მოიცავდა ბავშვთა პედაგოგიკას განსაკუთრებით რთულ ვითარებაში, მრავალმხრივ სასწავლო მეთოდებს და ბავშვის ფსიქოლოგიას (იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ).

კვლევა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ, რასაც სკოლები გვთავაზობს, არაა მზა მასალა იმისათვის, რომ ქუჩის ბავშვთა პრობლემები პირდაპირ მოგვარდეს. ის, რაც სჭირდებათ მასწავლებლებს, არის ადაპტაცია და ინოვაცია და მათი დამატებითი გადამზადება ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მოხდეს ამდაგვარი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრების მჭიდრო თანამშრომლობა უმაღლესი სასწავლებლელების განათლების, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტებთან, რათა მოხდეს  დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ჩართვა ცენტრების მუშაობაში პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით.

ასაკობრივი განსხვავების სიმცირე სტუდენტებსა და ბენეფიციარებს შორის შექმნის უშუალობისა და ნდობის ატმოსფეროს. ასეთი თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლოა ორივე მხარისათვის. ბავშვები და მოზარდები უფრო გახსნილები არიან თავიანთ პრობლემებზე საუბრის დროს, რადგან მიაჩნიათ, რომ ახალგზრდა პრაქტიკოსები უფრო გაუგებენ, ვიდრე უფროსი ასაკის პედაგოგები.

თავის მხრივ, სტუდენტებს ეძლევათ თეორიულ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საშუალება. სტუდენტები აღმოჩნდებიან ისეთ ვითარებაში, რომელიც მოითხოვს მათი თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული და

ზოგჯერ არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღებას. თუმცა თანამშრომლობის ასეთ ფორმას არ უნდა ქჰონდეს სპონტანური და დაუგეგმავი ხასიათი.

მიზანშეწონილია უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ პედაგოგებს, სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს და განათლების დარგთან მიახლოვებულ სპეციალისტებს, დაუკავშირდნენ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებს და მათთან თანამშრომლობით შეადგინონ სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის (სტაჟირების) დეტალურად გათვლილი საკითხები და პროგრამები (ვადები, სტუდენტთა რაოდენობა და განაწილების გეგმები, ანგარიშგების ფორმა). ამ პროცესში ყურადღება, სასურველია, დაეთმოს პრაქტიკოს სტუდენტთა წახალისების სისტემის შექმნას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს წარჩინებულთათვის სიგელების გადაცემაში და რეკომენდაციის მიცემაში შემდგომი დასაქმების დასახმარებლად.

## §6 პროფესიული სწავლების პროგრამა

ბავშვის განვითარების რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ინტერვენცია, მით უფრომ ადვილად მისაღწევი ხდება მთავარი მიზანი: ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარება და სკოლისათვის მზაობა. ბევრად რთულდება მიზნის მიღწევა, როცა ბავშვის განათლება დიდად ჩამორჩება მის ასაკს. პრაქტიკულად შეუძლებელია ასეთი მოზარდის მომზადება სკოლაში სრულყოფილი ინტეგრაციისათვის. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოდის მათი პროფესიული მოზადები საკითხი.

მოცემულმა კვლევამ გამოკვეთა შეუსაბამობა ბავშვისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უფლებასა და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს შორის. სარეაბილიტაციო ცენტრებში ჩვენ მიერ გამოკითხულ ბავშვთა 50% 14-იდან 18 წლამდეა. მათ შორის მხოლოდ 15%-ს აქვს სავალდებული ზოგადი განათლების ატესტატი. შესაბამისად ბავშვთა 35%-ს არა აქვს ატესტატი და მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს პროფესიულ-ტექნიკური განათლება. შემთხვევა გვაქვს ბავშვის უფლებების (მუხლები * 28, 29, 30, 31, 32) დარღვევასთან, როდესაც კანონი და სისტემა

ვერ უზრუნველყოფს ვერც ზოგადი (სავალდებულო) და ვერც პროფესიული განათლების და უნარ-ჩვევების განვითარების ხელმისაწვდომობას დაუცველი ჯგუფებისათვის, ამ შემთხვევაში ბავშვებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩებში (6).

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ვიტყვით, რომ კვლევის ფარგლებში შევეცადეთ პროფესიული განათლების სკოლებში ჩაგვერიცხა რამდენიმე მოზარდი, რომლებმაც კვლევის მიმდინარეობის დროს გამოავლინეს განსაკუთრებული უნარები ხატვასა და სადურგლო პროგრამებში. მიუხედავად მკვლევარის მრავალგზის მცდელობისა, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ვერ დაუშვა პრეცედენტი ამ მოზარდების ჩარიცხვისა პროფესიულ სასწავლებლებში, რადგან კანონი ზოგადი განათლების შესახებ ასეთ შემთხვევებს არ ითვალისწინებს და შესაბამისად, გამონაკლისებს არ უშვებს.

კვლევით მიჩნეულია, რომ პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირება იწყება სკოლისათვის მზაობის ეტაპზე და გადამწყვეტ ფაზაში შედის საბაზისო განათლების პერიოდში. ერთი წლის მანძილზე რამდენიმე უნარ-ჩვევის განვითარება ხერხდება. ეს პერიოდი, ამავე დროს, მოზარდებისთვის სამუშაო სამყაროს გაცნობასაც ემსახურება. მათ უვითარდებათ შრომისადმი დაფასების გრძნობა და იქმნება პირობები იმისათვის, რომ გაიგონ ნიშანდობლივი კავშირი შრომასა და კარგ ცხოვრებას შორის.

კვლევის ელემენტარული უნარ-ჩვევების პროგრამის განხილვისას ლ. აპტეკერის (161) მიერ დასმული ფუნდამენტური შეკითხვა უნდა იქნას გათვალისწინებული: „რამდენად შეესაბამება ეს უნარ-ჩვევები იმ პირობებს, რაც რეალურ სამუშაო ადგილებზეა და რამდენად შეუძლიათ ინდივიდებს აქტიურად გამოიყენონ ის უნარები, რომლებიც აითვისეს ეკონომიურად პროდუქტიული გზებით?“.

ლ. აპტეკერი ამატებს, რომ არაფორმალური განათლების პროფესიული გადამზადების კურსების წარმატება ნიშნავს, რომ დიდი მასშტაბით შესაფერისი პროგრამები საბაზრო მოთხოვნების თანმხვედრი იყოს. წარმატებულ პროგრამებად შეიძლება თანმიმდევრულად მიჩნეული იქნას ისეთები, რომლებიც შინაგანად ეფექტურია, ე.ი. ათვისებული უნარების გამოიყენებით შესაძლებელი გახდეს თავის შენახვა.

არაფორმალური უნარ-ჩვევების გადამზადების პროგრამა ეხმარება ახალგაზრდებს როგორც ქუჩებიდან, ისე ღარიბი, დაუცველი ოჯახებიდან და გარეუბნებიდან. ამ კვლევის განმავლობაში პროგრამამ 227 მოსწავლე გადაამზადა. ეს განსაკუთრებული პროგრამა შეიძლება მიჩნეული იქნას, როგორც გარდამავალი ეტაპი დასაქმებისა და მოზარდთა ეკონომიკური აქტივობას შორის.

უნარ-ჩვევების დაუფლებისა და ხელობის განვითარების შემდეგ ახალგაზრდებს ამხნევებენ და ეხმარებიან, აირჩიონ არაფორმალური სექტორიდან ოსტატი, ვისთანაც იმუშავებენ ერთი წლის განმავლობაში, რათა მეტი გამოცდილება და პრაქტიკა შეიძინონ. კვლევამ შეიმუშავა არა მარტო კრიტერიუმები „მასპინძელი" ოსტატების შესარჩევად, ისე პროცედურები ამ ადგილებში სამუშაო პირობების პერიოდულად გადამოწმებისათვის.

ცენტრების მუშაობის პროექტით მოზარდების მცირე ჯგუფები ეუფლებოდნენ ხელობას თავიანთი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ზოგი უნარ-ჩვევის (კერვა, ქარგვა, კომპიუტერი, ხეზე მუშაობა) განვითარების ხელშეწყობა ხდებოდა მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრებში. რაც შეეხება სამშენებლო, ავტოშემკეთებლის, დალაქი/სტილისტის უნარებს განვითარება ხდებოდა სასწავლო-დასაქმებიც ცენტრებში[5]. მათი პრაქტიკის შემდეგ ბევრი ახალგაზრდა აბარებს ხელობის ტესტებს, რის შემდეგაც ისინი მზად არიან დასაქმებისთვის.

აღსანიშნავია, რომ პრობლემური საკითხი იყო ხელობის მასწავლებელთა დათანხმება თანამშრომლობისათვის. ისინი სიფრთხილით ეკიდებოდნენ იმ წინადადებას, რომ ეკისრათ ყოფილი ქუჩის ბავშვების სწავლება. ამ შემთხვევაში თავი იჩინა ქუჩის ბავშვების მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებულმა უარყოფითმა სტერეოტიპმა. მეორე მხრივ, არც შეთავაზებული ხელფასი მიაჩნდათ საკმარისად. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, მაინც შეიკრიბა პროფესიის (ხელობის) მასწავლებელთა ჯგუფი, რომლებიც არა მარტო სწავლების პროცესში ჩაერთვნენ, არამედ ამ ბავშვზე დადებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედებაც იქონიეს.

---

[5] კვლევის ფარგლებში სასწავლო-დასაქმების ცენტრი (სდც) არის ის ობიექტი ( მშენებლობა, ავტოშემკეთებელი სახელოსნო, სილამაზის სალონი და ა.შ.), სადაც მიმდინარეობდა მოზარდთა პროფესიული სწავლება და დასაქმება.

კითხვარების ანალიზმა აჩვენა, რომ აბსოლუტურად ყველა მასწავლებელი აღნიშნავდა თავიანთი მოსწავლეების ფსიქო-სოციალური იერსახის აშკარა ცვლილებას სწავლების პროცესის თანმიმდევრულად. მოზარდები ხელობასთან ერთად ითვისებდნენ ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს, ე.ი. სწავლობდნენ თვით ცხოვრებას თავისი ყოველდღიური მარცხითა და წარმატებებით.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო მოზარდებში ისეთი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება, როგორიცაა პასუხისმგებლობა სწავლის და შრომის რეჟიმისადმი, სრული დატვირთვით მუშაობა სამეცადინო/სამუშაო საათებში, ყურადღების მობილიზაცია და მოსმენა, მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზება, მასწავლებლის მითითებებისა და რჩევების ზუსტი შესრულება ან მცდელობა ზუსტი შესრულებისა, შედეგის ანალიზი, როგორ პედაგოგთან, ასევე თანატოლებთან ერთან, შეგუება იმ ფაქტთან, რომ დახარჯულმა შრომამ შეიძლება ყოველთვის არ მოიტანოს სასურველი შედეგი, ამის შემდეგ პროცესის განმეორებითი მცდელობა და ამით ნებისყოფის გამომუშავება, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარის განვითარება, საკუთარი პოზიციისა და აზრის დაცვა მშვიდობიანი გზით სხვებთან დისკუსიის რეჟიმში.

ხელობის მასწავლებლებთან შეთანხმების მიხედვით, ბიჭების ერთი ჯგუფი დადიოდა ავტოსახელოსნოში და სწავლობდა ავტომობილების შეკეთებას, მეორე ჯგუფი მშენებლობაზე მუშაობდა. გოგონებმი დადიოდნენ სილამაზის სალონში და სწავლობდნენ დალაქის (სტილისტის) პროფესიას. ნაყოფიერი აღმოჩნდა საიუველირო ოსტატებთან და კერვის მასწავლებლებთან თანამშრომლობა. ბავშვების ერთი ჯგუფი ინტერესით სწავლობდა ბინების სარემონტო საქმეებს (ღებვა, ლესვა, კაფელის გაკვრა და ა.შ.).

მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება ხდებოდა სოციალურ მუშაკთა მიერ შერჩეულ სასწავლო-დასაქმების ცენტრებში. აქ პერსონალს უტარდებოდა არაფორმალური კურსი, რომელიც ეხება მოზარდთა მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა მათი შეზღუდული უნარ-ჩვევები და ამის გამომწვევი ფაქტორები. ასეთი საუბრები სავალდებულოა, რამეთუ ასეთი მიდგომა უმრავლეს შემთხვევაში აყალიბებს

დაუცველთა მიმართ სოლიდარობის გრძნობის განცდას და თანამშრომლობისათვის მზაობას.

თუმცა იყო ცალკეული შემთხვევები, როცა ვერ მოხერხდა ოსტატისა და ბავშვის ურთიერთობა. ასეთ დროს თავი იჩინა, ერთი მხრივ, ბავშვების მხრიდან გამოვლენილმა უდისციპლინობამ, რაც აღზრდის დეფიციტს უკავშირდება, მეორე მხრივ კი, ოსტატის მოუმზადებლობამ. ხელობის მასწავლებლები არ იყვნენ პროფესიონალი პედაგოგები და უჭირდათ რიგ შემთხვევებში ასეთი რთული ქცევის მოზარდებთან სწორი მიდგომის გამონახვა.

იმისათვის, რომ მოზარდების ჩართვა სამშენებლო თუ სხვა პროფესიის სწავლებაში არ ყოფილიყო მათი ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის საზიანო და ყოფილიყო ჰარმონიაში საქართველოს შრომისა და დასაქმების კანონმდებლობასთან, ექიმებთან, პედაგოგებთან და ფსიქოლოგებთან კონსულტაციით შეირჩა პროფესიული აქტივობების შესაბამისად იოლი ფორმები (მაგალითად მშენებლობის კუთხით, დაკვირვება, აზომვები, კალატოზობის ელემენტების დაუფლება) და პრაქტიკული მეცადინეობის შემოკლებული სამუშაო დღე.

**– ავტოშემკეთებელი**

სარეაბილიტაციო ცენტრის რამდენიმე ბიჭმა ავტომობილების შემკეთებლებთან დაიწყეს მუშაობა შეგირდად. ეს პროფესია მათ თვითონვე აირჩიეს, რადგან, ჯერ ერთი, მოსწონდათ ავტომანქანებთან ურთიერთობა, თანაც პერსპექტიულად მიაჩნდათ. სწავლების პროცესში მოზარდები მეტნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდნენ. მიუხედავად შრომისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხისა, პედაგოგთა დაკვირვებით, მოზარდებმა აითვისეს ავტომობილების შემკეთებლის ხელობა, რამაც მათ დამოუკიდებლად არსებობის რეალური საფუძველი შეუქმნა.

პედაგოგთა დაკვირვებით, სწავლების პროცესში იცვლებოდა ბავშვთა ფსიქო-სოციალური იერსახე. ისინი სწავლობდნენ არა მარტო ტექნიკურ საქმეს, არამედ – ადამიანებთან საქმიან ურთიერთობებსაც. ბავშვებს მუშაობის პარალელურად განუმტკიცდათ საკუთარი შრომის პატივისცემა, რაც თავისთავად იწვევს სხვისი შრომის პატივისცემასაც, ეს კი კრიტიკულ

სიტუაციაში ქუჩის ბავშვის ასოციალური ქცევის ერთგვარი მუხრუჭი შეიძლება გახდეს.

– სარემონტო სამუშაოები

სარემონტო სამუშაოების პროფესიების დაუფლების სურვილი ბიჭების ერთმა ჯგუფმა გამოთქვა. ეს ინტერესი, როგორც ჩანს, უკავშირდება თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დაწყებულ მშენებლობის ბუმს. ბიჭები საუბარში აღნიშნავდნენ, რომ შენების დროს მრავალნაირი ხელობის ცოდნა არის საჭირო და, რომ ასეთი პროფესიები ყოველთვის იქნება მოთხოვნადი. ბიჭები, ამავე დროს, მიუთითებდნენ, რომ, როცა ამის დრო მოვიდოდა, ისინი თვითონვე შეძლებდნენ საკუთარი სახლის გარემონტებას. ასეთ მიდგომაში ჩანს მოზარდების ოპტიმიზმი, რადგან ამ პროფესიის არჩევით არა მარტო თავის სარჩენ საშუალებას იძენდნენ, არამედ უკეთეს ცხოვრებას გეგმავდნენ.

– კომპიუტერი მოხმარება

კომპიუტერის სწავლების კურსები ბავშვებმა გაიარეს ცენტრებში. ისინი არ ეუფლებოდნენ ინფორმატიკის საწყისებს. სწავლება მოიცავდა მხოლოდ სამომხმარებლო დონეს (Windows, Internet, Word, Excel). ბავშვების აქტიურობა სწავლების პროცესში შესამჩნევი იყო. სხვა საგნებთან შედარებით, რომელთა შესწავლისადმი აშკარად დაბალი მოტივაცია აღინიშნებოდა, კომპიუტერით დაინტერესებამ მოლოდინს გადააჭარბა. ბავშვებისადმი ეს იყო ახალი სამყარო, რომლის აღმოჩენამ მათ ინტერესი გაუღვივა ზოგადად განათლებისადმი. მათ თავი იგრძნეს თანამედროვე სამყაროს ნაწილად, იმ სამყაროსი, რომელიც, მათივე წარმოდგენით, მათთვის მიუწვდომელი იყო.

კომპიუტერთან მუშაობის პროცესში ბავშვების ლექსიკა შეივსო შესაბამისი ტერმინებით. ინტერნეტის შესწავლამ მათთვის მრავალგვარი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადა. ამავე დროს წარმოქმნა უცხო ენების შესწავლის აუცილებლობის აზრიც.

აღსანიშნავია, რომ ბავშვების ერთი ნაწილი მხოლოდ კომპიუტერული თამაშების ათვისებით დაკმაყოფილდა, უმრავლესობამ კი ადვილად აუღო

ალღო სიახლეს და სწავლების პროცესში თვითონვე დამოუკიდებლად გაიღრმავა ცოდნა.

კომპიუტერით სარგებლობის უნარ-ჩვევების დაუფლებამ მოზარდებში გაზარდა საკუთარი თავისადმი რწმენა. პედაგოგთა დაკვირვებით, ისინი გახდნენ უფრო მეტად თავდაჯერებულები. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერის სამომხმარებლო დონეზე სწავლა მათ ამ ეტაპზე თავის რჩენის საშუალებას არ აძლევდა (როგორც, მაგალითად, დურგლობა ან ავტომანქანების შემკეთებლის პროფესია), მაგრამ ქუჩის ბავშვებისათვის, რომლებსაც ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ კარგად ასწავლა თავის რჩენის გზები, თვით ეს ფაქტი იყო მიმზიდველი.

**– დალაქობა (სტილისტობა)**

დალაქის (სტილისტის) პროფესია უფრო გოგონებისთვის აღმოჩნდა მისაღები. რამდენიმე გოგონა, რომლებიც სილამაზის სალონში ეუფლებოდა დალაქის (სტილისტის) ხელობას, ამბობდა, რომ ეს პროფესია მათ თავის რჩენის საშუალებას მისცემდა. რაკი ადამიანებს მუდმივად ესაჭიროებათ თმებისა და პირისახის მოწესრიგება, ეს საქმიანობა მუდმივად მოთხოვნადია. მოზარდების მიერ გამოტანილი დასკვნები ეფუძნება ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელმაც ასწავლა პრაქტიკული თვალსაზრისით დაეგეგმათ საკუთარი მომავალი.

აღსანიშნავია, რომ გარდა პრაქტიკული საჭიროებისა, ეს პროფესია გოგონებს სხვა მოსაზრებითაც იზიდავდა. მათი თქმით, ვარცხნილობის გაკეთება შემოქმედებითი პროცესია. იგი ოსტატობასთან ერთად გემოვნებასაც მოითხოვს, რომლის გარეშეც პროფესიონალი ვერ გახდები. ამავე დროს, გოგონებს მოსწონთ სილამაზის სალონის გარემო, რომელიც გარკვეულად ოჯახურ მიკროკლიმატს ქმნის.

ხელობის მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ გოგონებს სტილისტის ხელობის ელემენტარული უნარ-ჩვევების შესწავლა არ უჭირთ. მათ ესმით სწავლების პროცესის აუცილებლობა და გულმოდგინედ ცდილობდნენ ცალკეული დეტალების დაუფლებას. რა თქმა უნდა, სწავლებისათვის გამოყოფილი პერიოდი საკმარისი არ იყო პროფესიული სრულყოფის მისაღწევად, მაგრამ მან გარკვეული ზეგავლენა მაინც მოახდინა გოგონებზე.

მათ გაუჩნდათ მომავლის იმედი და ინტერესი, რომ კიდევ უფრო დაეხვეწათ ახლად შეძენილი უნარ-ჩვევები.

18 წლის ასაკამდე 12 გოგონას დასაქმება მოხერხდა 12 სტილისტურ სალონში, რომლებიც თანამშრომლობაზე დათანხმდნენ. უშუალოდ პროფესიის ათვისების პარალელურად გოგონები ასრულებდნენ სხვადასხვა მსუბუქ სამუშაოს ანაზღაურებით, რაც მათ სწავლისა და დასაქმების მოტივაციას ამყარებდა. ეს გამოჩნდა თავიდანვე, როგორც კი გოგონებმა დიდი სიხარულით შეიტყვეს სოციალური მუშაკებისგან და პედაგოგებისაგან მათი პროფესიული სწავლება/დასაქმების პერსპექტივის შესახე. ისინი არ აგვიანებდნენ და სრულად ესწრებოდნენ სწავლებას სალონებში, ბრუნდებოდნენ სარეაბილიტაციო ცენტრებში გახარებულები და სიამაყით უყვებოდნენ თანატოლებს და პედაგოგებს ყოველდღიური სიახლეების შესახებ. გოგონებმა სიამოვნებით გაიარეს მეცადიენეობის სრული კურსი.

კვლევის პერიოდში ხდებოდა მჭიდრო ინფორმაციული გაცვლა მკვლევარსა და სალონის თანამშრომლებს შორის, რომლებიც, რა მოულოდნელიც არ უნდა იყოს, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ გოგონების დასწრების, აქტიური ჩართულობისა და დავალებული ამოცანების ხარისხიანი შესრულების გამო. თუმცა, როგორც ბიჭების შემთხვევაში, გოგონებთან დაკავშირებითაც იყო რამდენიმე კონფლიქტური სიტუაცია (მაგ. ოსტატის მიერ მიცემული ინფორმაციის და დავალების ვერ გაგება, რომელსაც გოგონას მიერ მოჰყვა შინაგანი დაძაბულობა და აგრესია; ასეთ შემთხვევაში მიცემულ შენიშვნას გოგონა არ იღებს, რადგან ჰგონია, რომ ჩაგრავენ).

მნიშვნელოვანი და ეფექტური იყო პედაგოგებისა და სოციალური მუშაკების სწრაფი რეაგირება, რაც გამოიხატებოდა არა მარტო გოგონებთან, არამედ, ასევე სალონის ოსტატებთან მუშაობაში, როდესაც მათ განემარტებოდათ ის ფსიქო-სოციალური დილემები და ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იყო ამ კატეგორიის მოზარდებთან ურთიერთობის და მუშაობის პროცესში. აღსანიშნავია, რომ გოგონებთან დაკავშირებული კონფლიქტური შემთხვევები ბიჭებთან შედარებით საგრძნობლად ცოტა, თუმცა არა ნაკლები სირთულის იყო.

მასწავლებლებთან დისკუსიებში გამოვლინდა, რომ ყოფილი შეგირდები, რომლებმაც უკვე თავი დაიმკვიდრეს თავი ხელობის სამყაროში, ოსტატებზე უკეთესები იყვნენ. მასწავლებლებმა გამოთქვეს აზრი, რომ

ყოფილი შეგირდები კარგად უგებენ თავიანთ კოლეგებს და ეხმარებიან მათ დადებითი დამოკიდებულებისა და ღირებულებების ფორმირებაში, ასევე სამუშაოს დაფასებაში.

ცენტრი გეგმიურად აწყობს პროფესიულ ტრეინინგებს არა მარტო მოსწავლეების, არამედ მათი დედებისათვისაც. 2007-2008 წლებში, 92 მოსწავლე და 10 სტრესის ქვეშ მყოფი დედა დაესწრო პროფესიულ ტრენინგს. 20 მოსწავლე დაესწრო ტრენინგს ელექტროობაში, 37 - ჭრაში, ხოლო დანარჩენი 35 - კერვასა და ქარგვაში. გარდა ამისა, 10-მა დედამ გაიარა ტრენინგი ჭრაში. ტრენინგ-კურსები უფასოა. მოსწავლეებს საჭირო მასალებით ამარაგებენ. ტრენინგის პერიოდში დამზადებული პროდუქცია საქველმოქმედო-საგამოფენო აქციებზე იყიდება და გაყიდვის შემდეგ მიღებული თანხა შემდეგი ტრენინგის გასამართავად იხარჯება.

“ბავშვი და გარემო” დონორებთან ერთად წელიწადში ერთხელ ორგანიზებას უკეთებს გამოფენას ცენტრალურ ოფისში ამ პროდუქციის მარკეტინგის ხელშეწყობის მიზნით. მშობლები ძალიან დაინტერესებულნი არიან პროფესიული ტრენინგის პროგრამით ფულის შოვნის პოტენციალის გამო.

სავარაუდოდ, ახალგაზრდები გავლენას მოახდენენ თავიანთ თანატოლებზე; პირველ რიგში, როგორც მაგალითი, მეორეც, – როგორც ამ პროგრამებში მოზიდვის საშუალება და მესამე - პრობლემების ჯგუფური ანალიზის ნიმუში.

<u>რეკომენდაცია:</u>

1) კარგი იქნებოდა ერთი-ერთ მაღაზიასთან კონტრაქტის გაფორმება, რომელიც იმუშავებდა პროდუქციის გამოფენასა და მარკეტინგზე.

2) ბევრად უფრო ეფექტური და სისტემას მორგებული იქნება, თუ კი მოხდება ბავშვების გეგმიური ჩართულობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აკრედიტირებული პროფესიული განვითარების ცენტრებში.

3) მიზანშეწონილი იქნება, თუკი საკრედიტო საშუალებებს შევთავაზებთ ახალგაზრდებს, რომლებსაც საკუთარი ბიზნესის დაარსება სურთ. ეს საშუალებას მისცემს მათ ერთად შეიკრიბონ, ხელსაწყოები იყიდონ და სამუშაო ადგილისათვის ქირა გადაიხადონ. ახალგაზრდებმა

სესხის დაფარვა უნდა დაიწყონ, როგორც კი საქმესააწყობენ. თუმცა არსებობს რისკის ფაქტორები, რომ ახალგაზრდების უმეტესობამ საზრუნავი ფონდის დაარსების პირველადი მიზანი ვერ შესრულოს და საკრედიტო პროგრამა ამის შემდეგ აღარ გაგრძელდეს.

პრაქტიკის პროგრამა ორმხრივ მიზანს მოემსახურება: იგი იმუშავებს, როგორც ტექნიკური ცოდნის გადაცემის მოგვარების გზა და როგორც შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების განვითარების საშუალება ახალგაზრდებში, რომლებიც ამის ნაკლებობას განიცდიან.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ინტერვენციული პროგრამა შემოსავლის შესაძლებლობებს უქმნის ქუჩის ბავშვებსა და მათ ოჯახებს; იგი ხელმისაწვდომს ხდის საკრედიტო და მარკეტინგის საშუალებებს იმ პროდუქციისათვის, რომელიც იქმნება ან იყიდება ქუჩის ბავშვების და მათი ოჯახების მიერ. ეს პროგრამა ასევე აწვდის მოზარდებს ინფორმაციას სამსახურებისა და შემოსავლის შექმნის პროექტებზე.

კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქუჩის ბავშვებს უნდა დავეხმაროთ მათი მიზნების ასრულებაში, უნარების განვითარებასა და რეალიზაციაში; ყოველგვარი ძალისხმევა მოგვცემს უკუჩვენებას, თუკი ქუჩებიდან მოვიყვანთ ბავშვებს ცენტრში, ჩავუტარებთ რეაბილიტაციის პროგრამას, გავაცნობთ ცხოვრების განსხვავებულ სტილს, ხოლო შემდეგ დახმარების გარეშე გავუშვებთ ცენტრიდან. საჭიროა გრძელვადიანი ხედვისა და სტრატეგიების გამომუშავების საშუალებით შეიქმნას ბავშვთა უწყვეტი განათლების, განვითარების და სოციალური დაცვის კომპლექსური სისტემა.

კვლევის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო - სარეაბილიტაციო ცენტრების მუშაობის მექანიზმი ზოგადად ასე გამოიყურება:

- ზუსტდება და იხვეწება სამუშაო გარემო და პირობები *(კადრები, ავეჯი, ჯანმრთელობისა და სანიტარული ჰიგიენის ნივთები, სასწავლო და საკანცელარიო ნივთები, წიგნები, სარეაბილიტაციო მასალა და*

*სხვ.).* ცენტრი აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით (ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური), რომლებიც პასუხობს კვლევის მიზნებს.

- კონკრეტდება სამუშაო ვალდებულებები და ფუნქციები მომუშავეთა შორის;
- შეირჩევა და კომპლექტდება მრავალდარგობრივი სპეციალისტების ჯგუფი (პედაგოგები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ექიმები, ცენტრის მენეჯერები (დირექცის/ადმინისტრაცია).
- ცენტრი ახორციელებს წინასწარ დაგეგმილ ინტერვენციებს (ქუჩაში მობლილური მუშაობა, ბავშვების იდენტიფიკაცია და მობილიზაცია, მათში ნდობის მოპოვება და თანამშრომლობისათვის თანხმობის მოპოვება, ინდივიდუალური შეფასება და გეგმების შედგენა) ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევის ფორმირებისათვის.
- კვლევაში მონაწილეობისათვის შერჩევის კრიტერიუმებიდან ამოსავალია ბავშვების ნებაყოფილობითი თანამშრომლობა. ბავშვთა ასაკი უნდა შეეფარდებოდეს სასკოლო ასაკს.
- დგინდება ბავშვების დემოგრაფიული მონაცემები მათი წარმოშობის, ასაკის და მიღწეული განათლების დონის შესახებ. დემოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია, რადგან განსხვავებული დემოგრაფიული (ეროვნება, ასაკი, სხვა ქვეყნიდან ჩამოსული და ა.შ.) მონაცემების მქონე ბავშვებს განვითარების განსხვავებული დონე და ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ, რაც გასათვალისწინებელი ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში მათი განათლებისა და რეაბილიტაციისათვის.
- სპეციალისტები იკვლევენ გამოვლენილი ბავშვების ჯანმრთელობას, გონებრივ შესაძლებლობას, მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულების ხარისხს (თუ ასეთი გამოვლინდა), ოჯახურ, სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას, ამყარებენ კონტაქტებს მშობლებთან და ან სხვა მეურვეებთან.

- სკოლისათვის ბავშვთა მომზადებას ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება. შემუშავებული ინკლუზიური განათლების პროგრამა და მეთოდი უზრუნველყოფს ბენეფიციარების სკოლებში ჩართულობას, პროფესიული უნარების განვითარებსა და სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში მათ ინკლუზიას.

- ერთი ექიმი (სასურველია ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულებიდან, როგორიცაა, მაგალითად, პოლიკლინიკა) ეწვევა ცენტრს კვირაში ერთხელ და აწარმოებს კონსულტაციებსა და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მის რეფერირებას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

- ქუჩის ბავშვებისთვის განათლების მიღების დროს წარმოშობლი სირთულეები განიხილება სპეციალისტთა შეკრებებზე, სადაც მიმდინარეობს პროფესიული მსჯელობა პრობლემების მოსაგვარებლად.

- პერიოდულად ეწყობა საქმიანი შეხვედრები, როგორც ბავშვებსა და პედაგოგებს, ასევე პედაგოგებსა და მშობლებს (ან მზრუნველებს) შორის, სადაც გულახდილობისა და ნდობის პირობებში მიმდინარეობს წამოჭრილ საკითხების ანალიზი. საჭიროების გათვალისწინებით, შეხვედრები ეწყობა როგორც ცენტრებში, ასევე ოჯახებში.

- ცენტრს მუშაობის პროცესში აქვს ინტენსიური კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სასწავლო-დასაქმების ცენტრებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა ინსტიტუციებთან. ამით ხდება ინფორმაციული გაცვლა, ანალოგიური ცენტრების მუშაობის გამოცდილების გაზიარება, შედეგების პრეზენტაცია და დისკუსიები, სხვა მკვლევარებისაგან თუ აკადემიური წრეების წარმომადგენლებისაგან რჩევებისა და კონსულტაციების მიღება. ამ პროცესში მნიშვნელობას იძენს საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება პრობლემის გარშემო, რითაც კვლევის აქტუალურობა და გადაწყვეტილებების მასშტაბი არ შემოიფარგლება მხოლოდ მკვლევართა ვიწრო ჯგუფით.

### §7 კვლევის პროგრამებში პარტნიორობა

კვლევით დაგეგმილი ინტერდისციპლინარული აქტივობების მთავარი მახასიათებელი არის პარტნიორობა განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სამსახურებთან, ახალგაზრდობის და სპორტის, კულტურისა და იუსტიციის სამინისტროებთან, ამასთან პროფესიული გადამზადების ინსტიტუტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

### კვლევის საგანმანათლებლო პროგრამებში პარტნიორთა მონაწილეები და მათი როლი

| პარტნიორი | როლი |
|---|---|
| თბილისი მერია / ქალაქის საბჭო | სწავლების ადგილის/ფართით უზრუნველყოფა |
| ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი | სასწავლო პროგრამებით, სასწავლო სტრატეგიებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და სპეციალური პედაგოგებით უზრუნველყოფა |
| მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი (ამჟამად შპს) | სასწავლო გეგმის შემუშავება, სასწავლო მასალებით დახმარება და მასწავლებელთა გადამზადება |
| დონორები | ფინანსური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა |
| განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სამოდელო სკოლები | დაწყებით, საშუალო და პროფესიულ სკოლებში ბავშვთა ჩართულობა |
| სპორტის ეროვნული | სპორტული და ფიზიკური განვითარების |

| | |
|---|---|
| ფედერაცია | ღონისძიებების ჩატარება |
| ბავშვთა ფედერაცია | არაფორმალური განათლების დაგეგმვა და გადამზადება |
| სასწავლო-დასაქმების ცენტრები | ბავშვების პროფესიული სწავლება |
| თემი | საზოგადოების სახეების პროგრამებში მონაწილეობა ბავშვებთან შეხვედრის, საუბრების, მათზე მზურნველობის და უზრუნველყოფის ფორმით |

ანალიზისათვის, პარტნიორები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: ა) მთავრობა; ბ) თემი და გ) არასამთავრობო ორგანიზაციები.

**– მთავრობა**

მთვარობა აცნობიერებს, რომ განათლება ადამიანის უფლებაა და ის პასუხისმგებელია ამ უფლების რეალიზაციაზე. მთავრობის ვალდებულებაა, რომ ყველა ბავშვი, მათი ოჯახების განსხვავებული სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, ჩააყენოს თანაბარ პირობებში, რითიც უზრუნველყოფს მათი სოციალურ დაცვას, სკოლისათვის მზაობას და ასაკისათვის შესაფერსი და საჭიროებებზე გათვლილი, როგორც სავალდებულო ასევე არაფორმალური განათლების მიცემას.

**– თბილისი მერია**

კვლევის ცენტრი მდებარეობდა თბილისში გრიშაშვილის ქუჩაზე. შენობა ცენტრს დროებით სარგებლობაში გადაეცა თბილისი მერიის მიერ. მერია უზრუნველყოფდა კომუნიკაციების თანხებს. შენობას ჰქონდა პატარა სათამაშო და სპორტული მოედანი. ცნტრი მდებარეობდა 44-ე საჯარო სკოლასთან ახლოს, რაც აიოლებდა ბავშვების წაყვანას სკოლაში. ცენტრი უზრუნველყოფილი იყო მინი ავტობუსით, რაც ასევე საშუალებას იძლეოდა ბავშვების გადაადგილებას და მათ მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიმდინარეობის და შედეგების ანალიზი პერიოდულად ხდებოდა მერიის მესვეურებთან, თუმცა მათი უფრო ინტენსიური მინაწილეობა და ჩართულობა კვლევაში ხელსშეუწყობდა მათ უფრო მეტ ინფორმირებულობას, სიღრმისეული ხედვის ჩამოყალიბებას პრობლების გადაწყვეტის მეთოდებზე და გაგებას იმის შესახებ, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი კვლევის შედეგეების გრძელვადიანი და ფართო მასშტაბიანი დანერგვა.

მასწავლებლებმა ასევე აღიარეს, რომ ძალიან ცოტა რამ გაკეთდა იმისთვის, რომ პროექტში პოლიტიკური ლიდერები ჩაერთოთ. ადგილობრივი პოლიტიკოსების მიერ კვლევის საგანმანათლებლო პროგრამების გაგებისა და დაფასების არარსებობის გამო მოხდა ისე, რომ მერიამ კვლევის ცენტრისთვის გამოყოფილი ფართი სხვა მიზნისთვის (საბავშვო ბაღი) გამოიყენა, რომელიც არანაკლები მნიშვნელობის არის, მაგრამ ამ დაუცველი ბავშვების ბედის, განათლების და სოციალური ინკლუზიის საკითხი კვლავ ღიად დატოვა.

– **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სპეციალური განათლების პედაგოგების მომზადება საქართველოში დაიწყო 1992 წელს მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. იმხანად მას ერქვა დეფექტოლოგიის სპეციალობა, რადგან მთელ სსრკ –ში და მათ შორის საქართველოშიც ამ მეცნიერებას დეფექტოლოგია ერქვა. 2000 წლამდე აღნიშნული ინსტიტუტი (შემდგომში უკვე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი), ამზადებდა სპეციალური სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების პედაგოგებს : ოლიგოფრენოპედაგოგებს –გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებთან სამუშაოდ და სურდოპედაგოგებს- სმენადაზიანებულ ბავშვებთან სამუშაოდ. წელიწადში მზადდებოდა 15–20 სპეციალისტი, რომლებიც ძირითადად დაუსაქმებელი რჩებოდნენ; რადგან მათი ადგილი სპეციალურ დაწესებულებებში არ იყო.

2000 წლიდან საქართველოში გაჩნდა ინკლუზიური განათლების იდეა, რომლის პრინციპები სრულიად ახალი იყო ჩვენი სინამდვილისათვის. ამ იდეის შემომტანი საქართველოში იყო საერთაშორისო ორგანიზაციები და მათ შორის გაეროს ბავშვთა ფონდი “იუნისეფი”2002 წლიდან დაიწყო ინკლუზიური განათლების ფილოსოფიისა და პრინციპების შესახებ

ტრენინგების ჩატარება, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით. 2005 წლიდან შეიცვალა სპეციალური პედაგოგების მომზადების პროგრამებიც. ნაცვლად ცალკეული სპეციალობებისა (ოლიგოფრენოპედაგოგები და სურდოპედაგოგებიბისა) დაიწყო ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იმუშავებდნენ ყველა სახის უნარშეზღუდულ ბავშვებთან. 2006 წლიდან უნივერსიტეტი გახდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – სადაც სპეციალური პედაგოგების მომზადება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გადაიქცა. ცვლილებები განიცადა სპეციალისტთა მომზადების პროგრამებმა, სილაბუსებმა და საერთოდ მეთოდოლოგიამ. ამ სპეციალობის სტუდენტები სწავლობენ არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებებს, არამედ ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს, რომლებსაც განათლებასთან დაკავსირებული პრობლემები გააჩნიათ (მათ შორის სოციალურად დაუცველი ბავშვებისაც). ამჟამად უნივერსიტეტი ამზადებს სპეციალურ პედაგოგებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. გაიზარდა ამ დარგისადმი სტუდენტთა ინტერესი მას შემდეგ, რაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მომზადება დაიწყო, რადგან მათ დასაქმების მეტი შანსი გაუჩნდათ.

დისერტანტი პრაქტიკულად მონაწილეობს მომავალი სპეციალისტების მომზადების პროცესში. ილიას უნივერსიტეტში ხდება არა მარტო მომავალი სპეციალისტების მომზადება, არამედ იმ პედაგოგების გადამზადებაც, რომლებსაც სურვილი აქვთ იმუშაონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან.

**– მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი (ამჟამად შპს “დიდაქტიკა”)**

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან თანამშრომლობით, კვლევამ მიზნად შემდეგი ამოცანები დაისახა:

ა) შესაფერისი სასწავლო გეგმის დიზაინი, განვითარება და განხორციელება ბავშვებისათვის, მათი მომზადება იმისათვის, რომ აითვისონ უნარ-ჩვევები,

რაც შემდგომ დაეხმარება მათ, ჩააბარონ პროფესიული გადამზადების ცენტრებში და სხვა ასეთ ორგანიზაციებში, სადაც ტექნიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ისწავლება;

ბ) ბავშვებში იმ ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩანერგვა, რაც საჭიროა სასურველი ცხოვრების მისაღწევად საზოგადოებაში;

გ)ტრენინგების ჩატარება და პროგრამის შექმნა სკოლის მასწავლებლებისათვის

**– თემი**

თემების მონაწილეობა კვლევის ერთ-ერთი წარმატების მთავარ გასაღებს წარმოადგენს. ეს გამორჩეული ასპექტი კარგადაა გაცნობიერებული კვლევის მიერ, როგორც მენეჯმენტის ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა: „პროექტის არსებობა ერთი რამაა, ხოლო თემის მიერ მისი აღიარება - მეორე. თემის მიერ პროექტის მიღება წარმატების საწინდარია".

თემის მონაწილეობის განხილვისას აშკარაა, რომ მათი ჩართულობა სპონტანურია, ხშირად დაუგეგმავი და არასრულია. მაგალითად, მოხალისე მასწავლებლები ან სტუდენტები შესაძლებელია მონაწილეობდნენ, მაგრამ რა ფორმით და როგორი მეთოდებით, არ არის კარგად გააზრებული; მნიშვნელოვანია ის, რომ თემი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ისეთი კვლევების და ცენტრის მუშაობის საქმეებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუკი ისინი, ვისთვისაცაა კვლევები და პროგრამები შექმნილი, არ იქნებიან სრულად ჩართული დაგეგმვასა და აღსრულებაში, შედეგები იმედგამაცრუებელი იქნება.

**სხვა შესაძლო პარტნიორები და მათი შესაძლო როლები**

| ჯგუფი | როლი |
|---|---|
| მერია | ფართის, სასწავლო მასალების, კვების და გადასახადების უზრუნველყოფა, კურსდამთავრებულების პრაქტიკაზე გაშვება და დასაქმება |

| | |
|---|---|
| უმაღლესი სასწავლებლები | კვლევა, პერსონალის გადამზადება და სასწავლო მასალების მომზადება |
| რელიგიური ორგანიზაციები | ბავშვების დამოძღვრა, რჩევები და საკვებით მომარაგება |
| ადგილობრივი ბიზნეს ორგანიზაციები | პრობლების გააზრება და გათავისება, ქველმოქმედება, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღება ბენეფიციარების და კურსდამთავრებულების სამსახურით და ფინანსებით დახმარება |
| საავადმყოფოები | ბენეფიციარების სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა |
| სათემო ორგანიზაციები | მოხალისეები და გაჭირვებული შემთხვევების იდენტიფიცირება |
| დონორები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად მსოფლიოს სასურსათი პროგრამა | ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, საკვებითა და მოხალისეებით უზრუნველყოფა |

## დასკვნები და რეკომენდაციები

1. პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების თანმხვედრი პროცესია მოსახლეობის ფართო მასების სოციალური დაუცველობა, რომლის უცილობელ ელემენტს წარმოადგენს ე.წ. “ქუჩის ბავშვების” ფენომენი. ქუჩის ბავშვები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყველაზე დაჩაგრული ფენაა, რადგან უკიდურესი სიღატაკის პარალელურად მათ აკლდებათ თავიანთი ასაკის შესატყვისი აღზრდა-განათლება, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. ამავე დროს, ისინი ხდებიან მრავალი სტრესისა

და ფსიქოლოგიური ტრავმის ობიექტი, რაც გარკვეულ ნეგატიურ კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაზე.

2. ადამიანზე სხვადასხვა სახის ტრავმის ზეგავლენით მიღებული ნეგატიური შედეგების დიაგნოსტირებასა და კორექციას სწავლობს მეცნიერების დარგი სოციალურ-პედაგოგიკური ვიქტიმოლოგია. ვიქტიმურობა არის ადამიანის მიდრეკილება, გახდეს სხვადასხვა გარემოების, მათ შორის, სოციალურად არახელსაყრელი გარემოების მსხვერპლი. სოციალურად დაუცველი ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო აღმოჩნდნენ ქუჩაში, თავიანთი სოციალური სტატუსით მიეკუთვნებიან ე.წ. ვიქტიმური ბავშვების კატეგორიას.

***სპეციალური პედაგოგი*** მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლებაზე და მათ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში. ***სოციალური მუშაკი*** სწავლობს და იკვლევს ვიქტიმური და სოციალურად დაუცველი ბავშვის და ოჯახის პირობებს და მდგომარეობებს, ადგენს იმ ეკონომიკურ თუ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც ოჯახებს ხშირად დისფუნქციურს ხდის. სოციალური მუშაკის ფუნქცია არის დაეხმაროს ოჯახს სოციალურ რეაბილიტაციაში. სპეციალური პედაგოგისა და სოციაური მუშაკისაგან განსხვავებით ***სოციალური პედაგოგის მთავარ მიზანს*** წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვა გარკვეულ კონკრეტულ გარემოში, მათი სოციალური საჭიროებების განსაზღვრა და ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით ისეთი კომპლექსური მიდგომების შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას, განათლებას, სოციალური ფაქტორების შესწავლას და უნარ-ჩვევების განვითარებას. სოციალური პედაგოგიკა ჰარმონიული სინთეზია, რომელშიც გარკვული დოზით შესულია სპეციალური პედაგოგისა და სოციალური მუშაკის მიზნები და ფუნქციები.

სოციალური პედაგოგი პასუხობს ბავშვის საჭიროებების ფართო სპექტრს, რომელშიც სოციალური და ფიზიკური საჭიროებებიც შედის. ეს არ არის მხოლოდ სწავლება. ეს არის სოციალური ფაქტორებისა და საჭიროებების გათვალისწინება ბავშვის აღზრდის პროცესში, რომელშიც სწავლება თავისთავად შედის, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი.

სოციალური პედაგოგიკა მიზნად ისახავს ბავშვის ბედნიერებაზე ზრუნვას და მასთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებას. სოციალურ პედაგოგს შემოაქვს თავისი პერსონალური მიდგომები, ცოდნა და

გამოცდილება ბავშვებთან მუშაობის პროცესში. ეს პროცესი კი არის ორმხრივი და თანამშრომლობითი. ბავშვი თავისი მრავალმხრივი პრობლემებით მიანიშნებს პედაგოგს ამ პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა საშუალებებზე, რომელიც ეხმარება პედაგოგს პროფესიულ სრულყოფაში.

3. ქუჩის ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ტოვებენ სკოლას და, ხშირ შემთხვევაში ოჯახსაც, რჩებიან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტის – ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ათვისების გარეშე.

ქუჩის ბავშვების უმრავლესობამ, ასაკის მიუხედავად, არ იციას ელემენტარული წერა-კითხვა და ანგარიში. ისინი, მით უმეტეს, არ ფლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროგრამის მინიმუმსაც კი. მკაცრი რეალობა ბავშვებს აიძულებს, აითვისონ ასაკისთვის შეუფერებელი ზნე-ჩვეულებები, რაც მათ ბავშვურ ფსიქოლოგიაზე მნიშვნელოვან ზეწოლას ნიშნავს.

საჭიროა, კომპლექსური, მიზანმიმართული მუშაობა ამ ბავშვების, როგორც სოციალური, ასევე ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისათვის.

**ცნება "ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები" განიხილება, როგორც ფასეულობითი ორიენტაციის საფუძველზე შემუშავებული პიროვნული მახასიათებლების სისტემა. მისი სტრუქტურა შეიცავს:**

– ცხოვრებისეულ მხნეობას;

– საკუთარ ძალებზე დაყრდნობას;

– ზნეობრივ სიმტკიცეს;

– საკუთარი ცხოვრების აქტიურად მოწყობისათვის მზადყოფნას და უნარს;

– საქმიანობის მოთხოვნილებას;

– პასუხისმგებლობას როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვაზეც;

– სიხალისეს და საკუთარი ძალებისადმი რწმენას;

– გულგახსნილობას და ადეკვატურ თვითშეფასებას;

4. სოციალურად დაუცველ ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფოებრივი მიდგომა ათეული წლების განმავლობაში შემოიფარგლებოდა მხოლოდ მათი ინტერნატის ტიპის დაწესებულებებში განთავსებით, რომლებშიც სკოლისათვის მზაობის პროგრამა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ქუჩის ბავშვები თავიანთი ცხოვრების წესის გამო ვერც ინტერნატისეულ აღზრდას იღებდნენ, რის გამოც მათ განვითარებაში მნიშვნელოვანი შეფერხებები აღენიშნებათ.

5. ვიქტიმურ ბავშვებს ინდივიდუალური დახმარება ესაჭიროებათ ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს განათლებას. უკანასკნელ ხანს ქუჩის ბავშვთა დახმარების მიზნით ინტერნატის ტიპის დაწესებულებათა პარალელურად ამოქმედდა რეაბილიტაციის ალტერნატიული მოდელები – ქუჩის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრები. ასეთი ცენტრების პრინციპული განსხვავება ინტერნატის ტიპის დაწესებულებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ აქ ბავშვების მოსვლა და წასვლა ნებაყოფილობითია, რაც იწვევს მათ ნდობას ცენტრის მიმართ, ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია ცენტრის მიზნების შესრულებისათვის.

6. სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის ბენეფიციარებს ეძებენ და არჩევენ სოციალური პედაგოგები ქუჩებსა და დისფუნქციურ ოჯახებში, შემდეგ კი აანალიზებენ მონაცემებს და შესაბამის კანდიდატურებს იღებენ. ინტერვენციის პროგრამების მიზნების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა, მიღების პროცესი ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მხოლოდ ყურადსაღები შემთხვევები მიიღონ.

მიღების დროს უნდა შედგეს ბენეფიციარების დეტალური და კარგად დოკუმენტირებული ცხოვრების ისტორია. ეს გადამწყვეტია ინტერვენციების წარმატებისთვის, რადგან პროგრამები ზუსტად უნდა მოერგოს სპეციფიკურ მახასიათებლებს, ქუჩისა და დასაქმებულ ბავშვებს, ასევე სხვადასხვა სიტუაციებს, სადაც ბავშვები ცხოვრობენ და მუშაობენ.

7. სარეაბილიტაციო ცენტრების თავდაპირველი დანიშნულება ქუჩის ბავშვთა სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციით უზრუნველყოფა იყო. ცენტრების რამდენიმეწლიანი მუშაობის ანალიზიდან და ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, დამატებულიყო განათლების კომპონენტი, როგორც ქუჩის ბავშვებში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მძლავრი ინსტრუმენტი. ფუნქციების გაზრდის გამო **სარეაბილიტაციო ცენტრს ეწოდა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრი (სსც).**

საჯარო სკოლებში სსც-დან მოხვედრილი ბავშვები ნაწილდებიან კლასებში მათი განვითარების დონის მიხედვით, რაც ბევრ პრობლემას ქმნის. **კვლევის მიერ შემუშავებული ახლებური მიდგომა** გულისხმობს სკოლაში ბავშვების განაწილებას ასაკობრივი ნიშნით, ხოლო სსც-ში ბენეფიციარები სწავლების პროცესში ნაწილდებიან თავიანთი განვითარების მიხედვით, ასაკის გაუთვალისწინებლად.

**ექსპერიმენტის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ, მიუხედავად ზოგიერთი პრობლემური საკითხისა, შესაძლებელია კვლევის მთავარი მიზნის მიღწევა, რაც გულისხმობს შემდეგს:** სსც-მ უნდა გამოავლინოს და ამოავსოს ხარვეზები ბავშვების განვითარებაში, შეძლებისდაგვარად შესძინოს მათ თავიანთი ასაკის შესაფერისი განათლება, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ბავშვების საჯარო სკოლებში ინტეგრირება უკვე ასაკის მიხედვით.

8. სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის ბენეფიციარებს ეძებენ და არჩევენ სოციალური პედაგოგები ქუჩებსა და დისფუნქციურ ოჯახებში, შემდეგ კი აანალიზებენ მონაცემებს და შესაბამის კანდიდატურებს იღებენ. ინტერვენციის პროგრამების მიზნების სრულად განხორციელებისათვის საჭიროა, მიღების პროცესი ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მხოლოდ ყურადსაღები შემთხვევები მიიღონ.

მიღების დროს უნდა შედგეს ბენეფიციარების დეტალური და კარგად დოკუმენტირებული ცხოვრების ისტორია. ეს გადამწყვეტია ინტერვენციების წარმატებისთვის, რადგან პროგრამები ზუსტად უნდა მოერგოს სპეციფიკურ მახასიათებლებს, ქუჩისა და დასაქმებულ ბავშვებს, ასევე სხვადასხვა სიტუაციებს, სადაც ბავშვები ცხოვრობენ და მუშაობენ.

9. ბავშვები სწავლის პროცესი ინკლუზიურია და განსხვავდება საჯარო სკოლების მახასიათებლებისაგან. სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დახმარებით, ითვალისწინებს ოთხ დონეს. ამ დონეებში ბავშვები ნაწილდებიან არა ასაკის, არამედ განვითარებისა და ცოდნის მიხედვით.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვები პირდაპირ ვერ თავსდებიან ვერცერთ დონეში. ამიტომ, აუცილებელია ერთი, წინარე-დონის დაარსება, რომელიც გამოიყენებული იქნება რაიმე გამორჩეული ნაკლოვანებების/სირთულის აღმოსაფხვრელად.

10. ბავშვები სწავლობენ საჯარო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით, რაც ქმნის პრობლემას, რადგან განვითარების არათანაბარი დონის გამო ძნელდება ბავშვებისთვის ერთგვაროვანი სასწავლო მასალის მიწოდება. მასწავლებლები იძულებული ხდებიან, თვითონ მოიძიონ მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაფერისი მასალა, რაც აორმაგებს და არაეფექტურს ხდის მათ შრომას. საჭიროა, შემუშავდეს ინკლუზიური განათლების სახელმძღვანელოები ქუჩის ბავშვების განათლების მიზნობრივი მიმრთულებით. ადაპტირებული სახელმძღვანელოების შექმნა საჭიროა ყველა სასწავლო საგანში. ერთი წიგნის შექმნა თითოეული საგნისთვის თითოეულ ფაზაში არა მხოლოდ ეფექტური იქნება ხარჯის თვალსაზრისით, არამედ ასევე გააუმჯობესებს ამ პროგრამების როგორც შინაგან, ისე გარეგნულ ეფექტიანობას.

სსც-ში სწავლების დროს ექსპერიმენტის სახით გამოყენებული იყო ენციკლოპედიური ხასიათის ადაპტირებული სახელმძღვანელო («სამყარო – ჩვენი სახლი» / თამარ აბულაძე, იათამზე კოტეტიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, მარინა შოსტაკი. – თბ., 2003), რომელშიც მარტივი ენით არის წარმოდგენილი მასალა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. ყოველ მონაკვეთს მოსდევს შესაბამისი ტესტები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება შესწავლილი მასალის შემოწმება და კორექცია. მოცემულ წიგნი წარმატებით იქნა გამოყენებული, მაგრამ იგი მაინც შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ, როგორც დამხმარე და არა ძირითადი სახელმძღვანელო.

11. სსც-დან საჯარო სკოლაში გადასული ბავშვები ხშირად განიცდიან აგრესიას თანატოლების, მათი მშობლებისა და მასწავლებელთა მხრიდან, რაც კიდევ ერთი სტრესის მიზეზი ხდება. აუცილებელია, საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების მომზადება სსც-დან გადმოსულ ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობისათვის.

სპეციალური საჭიროება ეროვნული კურიკულუმის ნაწილად უნდა აღვიქვათ საჯარო სკოლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როცა სწავლაში ჩამორჩენა მთელი რიგი ფაქტორებით არის გამოწვეული, სკოლას უნდა შეეძლოს ისეთი პირობების შექმნა, სადაც იარლიყის» მიწებება ბავშვისათვის გამორიცხული იქნება და განურჩევლად ყველა ბავშვი შეძლებს სწავლას. აღმზრდელობით თუ სასწავლო პროცესში არ უნდა ხდებოდეს არა

ცალკეული « განსაკუთრებული » ბავშვების გამოყოფა, არამედ ყველა ბავშვი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე განსაკუთრებულ ბავშვად უნდა იყოს აღქმული. ჩვენი მიზანია გვესმოდეს, რომ თითოეული ბავშვი ინდივიდია და ინდივიდუალობას პატივი უნდა ვცეთ. აქედან გამომდინარე, სკოლებში განსაკუთრებული ბავშვებისათვის ცალკე კურიკულუმი კი არ უნდა შეიქმნას, არამედ პედაგოგ-მასწავლებელმა უნდა გამონახოს ის ოპტიმალური გზა, რომელიც ერთიანი კურიკულუმის ფარგლებში გაითვალისწინებს ცალკეული ბავშვის თავისებურებას

12. ქუჩის ბავშვების პრობლემის მოგვარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალ სოციალური პედაგოგების კადრების მომზადებას. საჭიროდ მიგვაჩნია, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრების მჭიდრო თანამშრომლობა უმაღლესი სასწავლებლელების განათლების, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტებთან, რათა მოხდეს დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ჩართვა ცენტრების მუშაობაში პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით.

მიზანშეწონილი იქნება, ამ ინსტიტუციებმა ურთიერთთანამშრომლობით შეადგინონ სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის (სტაჟირების) დეტალურად გათვლილი საკითხები და პროგრამები (ვადები, სტუდენტთა რაოდენობა და განაწილების გეგმები, ანგარშგების ფორმა). ამ პროცესში ყურადღება, სასურველია, დაეთმოს პრაქტიკოს სტუდენტთა წახალისების სისტემის შექმნას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს წარჩინებულთათვის სიგელების გადაცემაში და რეკომენდაციის მიცემაში შემდგომი დასაქმების დასახმარებლად.

13. სარებილიტაციო ცენტრებში განათლების ელემენტის გაძლიერება განაპირობებს ქუჩის ბავშვთა განვითარების საერთო დონის ამაღლებას. სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრებში ბავშვის განვითარების და ასაკის გათვალისწინებით ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესი მოიცავს ეტაპებს ელემენტარული წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლებიდან პროფესიული განათლებისაკენ.

პროფესიული განათლება, ხელობის სწავლა ქუჩის ბავშვებს აძლევს პატიოსანი შრომით დამოიკიდებლად თავის რჩენის საშუალებას ცენტრის დატოვების შემდეგ. სსც-ს პროგრამებით ბავშვებმა აითვისეს სხვადასხვა

პროფესიული უნარ-ჩვევები, რამაც შეცვალა მათი ფსიქო-სოციალური იერსახე. ბავშვებს განუმტკიცდათ საკუთარი თავის რწმენა. გაუჩნდათ პატივისცემის გრძნობა არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი შრომის მიმართ, რაც, თავის მხრივ ამ ბავშვების მხრიდან მომავალში არაკანონიერი ქმედებების შემაკავებელი ფაქტორია.

14. ხელობის ათვისებასთან ერთად, ახალგაზრდების დასაქმების ხელისშეწყობის მიზნით, საჭიროა სხვადასხვა ღონისძიების გატარება. მაგალითად, ისეთი საქმიანობის შემთხვევაში, როცა იქმნება გასაყიდი პროდუქცია (მაგალითად, საიუველირო, სადურგლო და ა.შ.), კარგი იქნებოდა ერთი-ერთ მაღაზიასთან კონტრაქტის გაფორმება, რომელიც იმუშავებდა პროდუქციის გამოფენასა და მარკეტინგზე.

ასევე, მიზანშეწონილი იქნება, თუკი საკრედიტო საშუალებებს შევთავაზებთ ახალგაზრდებს, რომლებსაც საკუთარი ბიზნესის დაარსება სურთ. ეს საშუალებას მისცემს მათ ერთად შეიკრიბონ, ხელსაწყოები იყიდონ და სამუშაო ადგილისათვის ქირა გადაიხადონ. ახალგაზრდებმა სესხის დაფარვა უნდა დაიწყონ, როგორც კი საქმესააწყობენ. თუმცა არსებობს რისკის ფაქტორები, რომ ახალგაზრდების უმეტესობამ საბრუნავი ფონდის დაარსების პირველადი მიზანი ვერ შესრულოს და საკრედიტო პროგრამა ამის შემდეგ აღარ გაგრძელდეს.

15. სასწავლო პროცესს არაეფექტურს ხდის ბავშვების ერთი ნაწილის სწავლისადმი დაბალი მოტივაცია. ბავშვებს არ აქვთ განათლება და არც ესმით მისი მნიშვნელობა, ზოგ შემთხვევაში კი უჭირთ მიწოდებული მასალის ათვისება.

დაბალმა აკადემიურმა მოსწრებამ, აჩვენა ცენტრის ბავშვების საჯარო სკოლაში ჩარიცხვის მექანიზმის მთავარი ნაკლი, რომელიც გამოიხატება ბავშვების გადანაწილებით ასაკობრივი ნიშნისა და არა შესაძლებლობებისა და განვითარების დონის მიხედვით. გადანაწილებისას შეცდომების თავიდან აცილებისათვის რეკომენდებულია მოსწავლეების წინა-მისაღები შეფასების ძირეული დიაგნოსტიკა.

16. ქუჩის ბავშვების იმ ნაწილს, რომლებიც ვერ იღებენ სკოლის ატესტატს, ხელი ეშლებათ, პროფესიულ განათლებას დაეუფლონ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკრედიტირებულ პროფესიულ-ტექნიკური პროფილის სასწავლებლებში.

ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს უფასო ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის, კანონი უნდა უშვებდეს გამონაკლისებს, რათა სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენილ მოზარდებს ხელი მიუწვდებოდეთ პროფესიული და ტექნიკური განათლებისკენ მაინც.

17. კვლევით დაგეგმილი ინტერდისციპლინარული აქტივობების მთავარი მახასიათებელი არის პარტნიორობა განათლების, ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურებთან, ახალგაზრდობის და სპორტის, კულტურისა და იუსტიციის სამინისტროებთან და პროფესიული გადამზადების ინსტიტუტებთან. ამავე დროს, პრობლემების მოგვარების პროცესის დაჩქარებისათვის აუცილებელია მიზანმიმართული მუშაობა საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

18. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემოთავაზებული არაფორმალური განათლების სარეაბილიტაციო ცენტრის მოდელი, რომელიც ბავშვის უფლებებზეა ორიენტირებული, ითვალისწინებს მრავალმხრივი მომსახურების კომპლექსურ გადაწყვეტილებებს არსებულ საკითხთან მიმართებაში. იგი წარმოადგენს გარდამავალ მოდელს ბავშვისთვის სახიფათო გარემოდან მათი განათლებისა და სოციალური ჩართულობისაკენ.

**საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრებში გათვალისწინებულია სწავლების ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის ქუჩის ბავშვთა შედარებით უმტკივნეულო ინტეგრაციას საჯარო სკოლებში.**

ქუჩის ბავშვებს დახმარება მათი მიზნების ასრულებაში, უნარების განვითარებასა და რეალიზაციაში სასარგებლოა არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თვალსაზრისითაც. არაპროდუქტიული, ეკონომიკურად პასიური და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებისათვის პოტენციურად საშიში მოქალაქეების ნაცვლად, ქვეყანა იძენს ეკონომიკურად აქტიურ, სოციალურად დაცულ ადამიანებს.

ყოველგვარი ძალისხმევა მოგვცემს უკუჩვენებას, თუკი ქუჩებიდან მოვიყვანთ ბავშვებს ცენტრში, ჩავუტარებთ რეაბილიტაციის პროგრამას,

გავაცნობთ ცხოვრების განსხვავებულ სტილს, ხოლო შემდეგ დახმარების გარეშე გავუშვებთ ცენტრიდან. ამიტომ, საჭიროა, გრძელვადიანი ხედვისა და სტრატეგიების გამომუშავების საშუალებით შეიქმნას ბავშვთა უწყვეტი განათლების, განვითარების და სოციალური დაცვის კომპლექსური სისტემა.

კვლევის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრის მოდელი ქუჩის ბავშვებისათვის ეფუძნება ამ სფეროში დაგროვილ გამოცდილებას და ითვალისწინებს თითქმის ყველა რეკომენდაციას, რომელიც კვლევის აზრით, მისაღებია მოცემულ ვითარებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე ნინო.** საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის პრობლემები გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს // გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა. – თბ., 2009. – გვ.8-10.
2. **აბულაძე მ.** ბავშვი და ოჯახური კონფლიქტები „საქართველოს ქალი“. – 1990, №1, გვ.
3. **აგლაძე ე.** მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებისათვის. – თბ., 1979. – 31გვ.
4. **ანგარიში.** ბავშვთა 29 საზედამხედველო დაწესებულებაში ჩატარებული კვლევის შედეგები / საქ. განათლების სამინისტრო. – თბ., 2000.
